178
1976

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა სამართალი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

1976 2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხანაგ. ა. ა. შუშანაშვილის საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრად
დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ალექსანდრე ამირანის ძე შუშანაშვილი საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1976 წლის 22 მარტი

178
1976
ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სამართალი

№ 2

1976 წელი

მარტი — აპრილი

ჟურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს ორგანო
ორთვიური ჟურნალი

შინაარსი

სკკპ XXV ისტორიული ყრილობა 3

საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების შედეგების შესახებ 10

ვ. ქვაჩახია — ტრადიციები: რა დავგმოთ? რა შევინარჩუნოთ, განვავითაროთ? . 16

დ. სუხიტაშვილი — უპატრონო ქონების სამართლებრივი რეჟიმი 26

გ. ნაჭუბია — ქცევის დეტერმინისტული კონცეფცია — დანაშაულთა თავიდან აცილების მეთოდოლოგიური საფუძველი 36

ბ. ბეგეჰკორი — თავისუფლების აღკვეთის ვადა და მისი როლი სასჯელის მიზნის მიღწევაში 43

დაუნდობელი ბრძოლა მავნე წეს-ჩვეულებებს

ლ. ბოჭორიშვილი — აჭარის ჩვეულებითი სამართლის ისტორიიდან 47

დ. დავითულიანი — ფიცის როლი სვანურ სამართლებრივ ჩვეულებებში 51

ივ. სიდამონიძე — ივ. მაჩაბელი სამსჯავროს წინაშე 53

გ. შეთეკაური — ხალხური ზნეობრივი პრინციპების პოეტური გამოძახილი 57

ნ. გელაშვილი — ისქანდერ მუნში უნდილაძეთა უკანასკნელი დღეების შესახებ ირანში . 62

ზ. ღაზნელი — ღვაწლმოსილი იურისტი 66

ხ. როგავა — ნაშრომი საერთაშორისო-სამართლებრივ საკითხებზე 68

გ. თამარიშვილი — უნგრელი მეცნიერის ნაშრომი საკუთრების საკითხებზე რომის სამართლის მიხედვით 72

შ. კუჭუხიძე — დამხმარე სახელმძღვანელო მილიციის მუშაკთა იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდის შესახებ 76

ნარევი 78

ოფიციალური მასალა 82

ინფორმაცია 90

ს. ვისოცკი — ცოცხლებს შორის გაუჩინარებულნი 83

მოკლე ცნობები 93

ნეკროლოგი 95

ნეკროლოგი 96

13451

ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

Исторический XXV съезд КПСС 3
Об итогах выборов народных судей народных судов Грузинской ССР 10
В. Квачахиа — Какие традиции осудить, какие сохранить и развивать . . . 16
Д. Сухиташвили — Правовой режим бесхозного имущества 26
Г. Начкебиа — Детерминистическая концепция поведения — методологическая основа предотвращения преступлений 36
Г. Гегечкори — Срок лишения свободы и его роль в достижении цели наказания 43

ВЕСТИ НЕПРИМИРИМУЮ БОРЬБУ С ВРЕДНЫМИ ОБРЯДАМИ И ОБЫЧАЯМИ

Л. Бочоришвили — Из истории обычного права Аджарии 47

Д. Давитулиани — Роль присяги в сванских правовых обычаях 51
В. Сидамонидзе — Иван Мачабели перед судом 53
В. Шетекаури — Поэтический отзвук народных нравственных принципов . . . 57
Н. Гелашвили — Искандер Мунш о последних днях Ундиладзевых в Иране . . 62
З. Газнели — Маститый юрист 66
Х. Рогава — Труд по вопросам международного права 68
Г. Тамарашвили — Труд венгерского ученого о собственности по римскому праву 72
Ш. Кучухидзе — Учебное пособие о идейно-политическом и нравственном воспитании работников милиции 76
Пестрая смесь 78
Официальные материалы 82
С. Высоцкий — Пропавшие седи живых 83
Информация 90
Краткие сообщения 93
Некролог 95
Некролог 96

შეკვ. № 1251
ტირაჟი 22.100
უე 04314

სარედაქციო კოლეგია
ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი, თ. დადიანი, გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე, მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, ა. ტაკიძე, ვ. ქვაჩახია, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

© „საბჭოთა სამართალი“, 1976 წ.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. 103. ტელ. 95-58-87; 95-88-49

გადაეცა წარმოებას 1/IV 76 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/VIII 76 წ. ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,87.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ XXV ისტორიული ყრილობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობას მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩვენი სამშობლოსა და ხალხისათვის, არამედ თანამედროვე კომუნისტური და მუშათა მოძრაობისათვის, მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის. ყრილობამ, რომელიც წარმოადგენდა თხუთმეტ მილიონზე მეტ საბჭოთა კომუნისტს, ყოველმხრივ შეაჯამა და გააანალიზა ის დიდი მიღწევები, რაც მოიპოვა პირველმა სოციალისტურმა სახელმწიფომ მეცხრე ხუთწლედის მანძილზე პოლიტიკური, ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, დასახა პარტიის ახალი ამოცანები, ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები ხანგრძლივი პერიოდისათვის.

ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია, რომელშიც მოცემულია თანამედროვე საზოგადოებრივი განვითარებისა და რევოლუციური პროცესების ამომწურავი ანალიზი, შემუშავებულია კომუნიზმისაკენ საბჭოთა საზოგადოების შემდგომი წინსვლის ნათელი პროგრამა. მოხსენებაში ბევრია ახალი თეორიული დებულება და დასკვნა, რომლებიც ახალი პირობების გათვალისწინებით ამდიდრებს მარქსიზმ-ლენინიზმს, ბიძგს აძლევს საზოგადოებრივი მეცნიერებების შემდგომ განვითარებას.

ყრილობამ ერთსულოვნად მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება და დაავალა ყველა პარტიულ ორგანიზაციას მთელი თავისი საქმიანობა, პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა დაუქვემდებაროს XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, ამასთან განუხრელად იხელმძღვანელონ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებებში ჩამოყალიბებული ამოცანებით, თეორიული დებულებებით და დასკვნებით.

დიდი მნიშვნელობა საბჭოთა სახელმწიფოსათვის აქვს აგრეთვე ყრილობის მიერ მიღებულ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითად მიმართულებებს, ა. ნ. კოსიგინის მოხსენებას, რომლებშიც განსაზღვრულია პარტიის ეკონომიური პოლიტიკის სტრატეგიული ხაზი, რაც ის არის, რომ ყოველმხრივ ამაღლდეს ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონე, დაჩქარდეს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, გაიზარდოს წარმოების ეფექტიანობა, შეიქმნას ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ჩვენს ეპოქაში საზოგადოებრივი პროცესების სრულყოფილი და ობიექტური მართვა წარმოუდგენელია მარქსისტულ-ლენინური თეორიის მოუმარჯვებლად. კომუნიზმის მშენებლობა, რომელიც ახალი თვისებრივი ნახტომია კაცობრიობის პროგრესის გზაზე, წარმოუდგენელია სტიქიურად, თეორიის უცოდნელად და გამოუყენებლად. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ თეორიის პრობლემებს, მის მნიშვნელობას ასე დიდი ყურადღება დაეთმო ყრილობაზე მოხსენებაში და გამოსვლებში.

ყრილობის მასალებში ბევრი რამ არის საინტერესო სწავლული და პრაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიკოსი იურისტებისათვის. არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ საბჭოთა სახელმწიფოს და სამართლის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემების დეტალურად და მრავალმხრივ განხილვას სხვა ყრილობებზე არ დათმობია ესოდენ დიდი ყურადღება.

საბჭოთა პოლიტიკური სისტემის, სოციალისტური სახელმწიფოებრიობის, დემოკრატიის, სამართლის სრულყოფის, კანონიერების განმტკიცების დარგში XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანები ხანგრძლივი დროის მანძილზე იქცევა საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის მეცნიერების განმსაზღვრელ და ძირითად მიმართულებად.

ყრილობამ პარტიის ყურადღება განსაკუთრებით გაამახვილა სოციალისტური საერთო სახალხო სახელმწიფოს და დემოკრატიის, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამართლებრივი საფუძვლების ყოველმხრივი განმტკიცების აუცილებლობაზე. თავისთავად ცხადია, რომ ასეთ ვითარებაში კიდევ მეტად იზრდება სახელმწიფოს ძირითადი კანონის — კონსტიტუციის მნიშვნელობა. ამის გამო იყო, რომ ლ. ი. ბრეჟნევი თავის მოხსენებაში შეეხო სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის შემუშავების საკითხსაც.

„გაკეთებულია უკვე ბევრი. — თქვა ამის თაობაზე ლ. ი. ბრეჟნევმა, — და ახლა დროა განვაზოგადოთ უკვე მიღწეული. ამით ვხელმძღვანელობთ **სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის** პროექტის მომზადების დროს. ეს მუშაობა მიმდინარეობს გულმოდგინედ, აუჩქარებლად, რათა რაც შეიძლება ზუსტად ავწონ-დავწონოთ თვითეული წამოჭრილი პრობლემა და შემდეგ პროექტი გავიტანოთ საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. მაგრამ აქ, ყრილობაზე, მინდა შევეხო ზოგიერთ მთავარ მომენტს, რომლითაც ვხელმძღვანელობთ ამ მუშაობაში.

კონსტიტუციის ახალ პროექტში, როგორც ჩანს, უნდა აისახოს სოციალიზმის დიადი გამარჯვებანი, აღინუსხოს არა მარტო სოციალისტური წყობილების ზოგადი პრინციპები რომლებიც გამოხატავენ ჩვენი სახელმწიფოს კლასობრივ არსს, არამედ აგრეთვე განვითარებული სოციალისტური საზოგადოების, მისი პოლიტიკური ორგანიზაციის ძირითადი თვისებებიც“[1].

კომუნისტური პარტია ახალი კონსტიტუციის პროექტის შემუშავებისას ითვალისწინებს ძირეულ და არსებით ცვლილებებს, რაც მოხდა ჩვენს სახელმწიფოში, სოციალისტურ საზოგადოებაში ბოლო ოთხი ათწლეულის მანძილზე, ანუ დღეისათვის მოქმედი კონსტიტუციის მიღების დროიდან. ცვლილებები კი მართლაც გრანდიოზულია. სსრ კავშირში აშენებულია განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, რომელიც თანდათანობით გარდაიქმნება კომუნისტურ საზოგადოებად. საბჭოთა სახელმწიფო ამჟამად იქცა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ, რომელიც გამოხატავს მთელი ხალხის ინტერესებსა და ნებას. შეიქმნა ახალი ისტორიული ერთობა—საბჭოთა ხალხი. კიდე ვუფრო განმტკიცდა ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების მეგობრობა. ყოველნაირად ვითარდება სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზციების აქტივობა და ინიციატივა. ხორციელდება ღონისძიებანი სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი სრულყოფისათვის. თავისთავად ცხადია, რომ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ეს ცვლილებები უნდა აისახოს საბჭოთა სახელმწი-

[1] ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, გვ. 119-120.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოს ძირითად კანონში. ამასთან ერთად აუცილებელია კონსტიტუციური ნორმის ძალა მიენიჭოს სახელმწიფო ორგანოების, სახალხო მეურნეობის და საერთოდ მთელი ჩვენი პოლიტიკური სისტემის, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ხემლძღვანელობისა და მართვის ახალ, უფრო სრულყოფილ ფორმებს.

„კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობასთან დაკავშირებული ამოცანები — აღნიშნა ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევმა — საჭიროს ხდის უფრო დაწვრილებით შევეხოთ კონსტიტუციაში სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის პრინციპებს. ამასთან მიზანშეწონილია ავსახოთ აგრეთვე სახელმწიფოს როლი საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში, მეცნიერების, სახალხო განათლების, კულტურის განვითარების პირობების უზრუნველყოფაში. ამით ჩვენ ხაზს გავუსვამთ სოციალისტურ სახელმწიფოს, როგორც ისეთ სახელმწიფოს ჰუმანურ ხასიათს, რომელიც მიზნად ისახავს კომუნიზმის აშენებას მშრომელი ადამიანის საკეთილდღეოდ, მთელი ხალხის საკეთილდღეოდ.

ახალი კონსტიტუციის პროექტის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება იქნება სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განმტკიცება და განვითარება.

დასახულია შეიქმნას ხელისუფლების არჩევითი ორგანოების წინაშე ყველა აღმასრულებელი ორგანოს ანგარიშვალდებულების უფრო მკაცრი სისტემა. შემდეგ, გათვალისწინებულია საერთო-საკავშირო კანონების პროექტები გამოვიტანოთ ხოლმე საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის, რაც დღესაცაა მიღებული, მაგრამ არ არის კანონმდებლობით დამტკიცებული...

ჩვენ კვლავინდებურად ვხელმძღვანელობთ იმით, რომ ახალმა კონსტიტუციამ უნდა დააკანონოს და ზუსტად განსაზღვროს ჩვენი სახელმწიფოს უმაღლესი მიზანი, ხოლო ეს უმაღლესი მიზანია კომუნისტური საზოგადოების აშენება“[2].

საანგარიშო მოხსენებაში გაშუქებულია კონსტიტუციის პროექტის მხოლოდ ზოგიერთი ძირითადი მომენტი. მაგრამ წამოყენებულ ყველა დებულებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საკონსტიტუციო კანონმდებლობის თეორიისა და პრაქტიკისათვის, აგრეთვე მიმდინარე საბჭოთა მშენებლობისათვის. სკკპ XXV ყრილობის ფუძემდებლური იდეები ახალი საბჭოთა კონსტიტუციის შესახებ ეს არის სოციალისტური სახელმწიფოსა და სამართლის თეორიაში შეტანილი უდიდესი წვლილი.

საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემა შემდგომ ვითარდება, სულ ურო სრულყოფილი ხდება სოციალისტური სახელმწიფო, განუწყვეტლივ მტკიცდება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის სამართლებრივი საფუძვლები, რასაც დიდი სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

ყრილობაზე ითქვა, რომ ბოლო დროს პარტიის, აგრეთვე ხელისუფლების ორგანოების ინიციატივით მიღებულ იქნა ახალი კანონები, ნორმატული აქტები ჩვენი ცხოვრების ზოგიერთ მთავარ პრობლემაზე, რომელიც წინათ მოწესრიგებული არ იყო კანონმდებლობით.

სკკპ XXV ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „ჩვენ იურიდიული ნორმები შევუსაბამეთ ჩვენი საზოგადოების მიერ მიღწეულ ახალ დონეს. მომზად-

[2] ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, გვ. 120.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კანონმდებულებანი, რომელიც ეხება ცხოვრების ისეთ სფერობს, როგორიცაა, მაგალითად გარემოს, მათ შორის წყალსატევების, წიაღის, საჰაერო სივრცისა და სხვათა დაცვა რაც წინათ სამართლებრივი რეგულირების ფარგლებს გარეთ რჩებოდა. ძალიან კარგია, რომ ახლა გვაქვს იურიდიულად დასაბუთებული ნორმები, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევენ მიზანდასახულად ვაწარმოოთ მუშაობა ბუნების დასაცავად.

ახლახან პოლიტბიურომ შესაბამის ორგანოებს დაავალა მოამზადონ წინადადებანი შრომის, ადმინისტრაციული უფლებებისა და ზოგიერთი სხვა კანონის შემდგომი სრულყოფის შესახებ, რათა გავითვალისწინოთ ახალი მოვლენები საზოგადოებრივ ცხოვრებაში"[3].

პარტიის XXIV ყრილობის დავალებით ბოლო პერიოდში დიდმნიშვნელოვანი მიზანდასახული მუშაობა წარმოებდა კანონმდებლობის კოდიფიკაციისა და სისტემატიზაციისათვის, მოქმედი საბჭოთა კანონების გამოსაქვეყნებლად, აგრეთვე იმ აქტების ძალადაკარგულად ცნობისათვის, რომლებიც თანამედროვე პირობებში მკვდარ ნორმებად იქცნენ, მაგრამ კანონმდებლის მიერ არ იყო გაუქმებული. საკმარისია ითქვას, რომ კანონმდებელმა და მთავრობამ ოფიციალურად ძალადაკარგულად ცნო რამოდენიმე ათასი მოძველებული ნორმატული აქტი და გააუქმა ისინი. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ თითქმის 400.000 მოქმედი ნორმიდან ჯერ კიდევ ბევრია მოძველებული, რომელთა გამოყენება აღარ შეიძლება. ყოველივე ეს გათვალისწინებულ უნდა იქნას ამჟამად მიმდინარე ინტენსიური საკოდიფიკაციო მუშაობისა და კანონების გამოცემის დროს.

საკავშირო ორგანოებში მზადდება ახალი სამეურნეო კანონი, რომელმაც გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს სახალხო მეურნეობის მართვის გაუმჯობესებაში, მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დონის ამაღლებაში.

ამასთან დაკავშირებით ლ. ი. ბრეჟნევმა თავის მოხსენებაში სკკპ XXV ყრილობაზე თქვა: „ბევრი რამ უნდა გაკეთდეს აგრეთვე სამეურნეო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების გაუმჯობესებისათვის. ჩვენი კანონები ამ სფეროში უფრო ქმედითად უნდა უზრუნველყოფდენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, მომჭირნეობის რეჟიმის დაცვის ამოცანების გადაწყვეტას. ისინი უფრო ეფექტიანად უნდა ებრძოდნენ სახელმწიფოს მოტყუების წამატებების, სოციალისტური საკუთრების დატაცების ფაქტებს, კუთხურობის გამოვლინებებსა და სხვ.

როგორც ჩანს დროა გამოვუშვათ საბჭოთა სახელმწიფოს კანონთა კრებული. ეს ხელს შეუწყობს მთელი ჩვენი მართლწესრიგის სტაბილურობის ამაღლებას. ეს ჩვენს კანონებს უფრო ხელმისაწვდომს გახდის ყველა საბჭოთა მოქალაქისათვის"[4].

უკანასკნელ ხანს პარტიამ და სახელმწიფომ განახორციელეს დიდი ღონისძიებანი, რომელიც მიმართულია დემოკრატიის ყოველმხრივ განვითარებისაკენ. ბოლომდე აღმოფხვრილია წარსულში დაშვებული ნეგატიური მოვლენები, უკანონობანი და შეცდომები, განმტკიცდა სოციალისტური კანონიერება.

---

[3] ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, გვ. 114.

[4] ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, გვ. 114.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სახელმწიფოს მტრები ამ ღონისძიებებს, რაოდენ პარადოქსალურიც არ უნდა იყოს ეს, ხშირად წარმოსახავენ როგორც დემოკრატიისა და მოქალაქეთა უფლებების დარღვევას. მათ ავიწყდებათ, რომ დემოკრტია წარმოუდგენელი დისციპლინისა და მტკიცე საზოგდოებრივი წესრიგის გარეშე.

დემოკრატიისა და პიროვნებების უფლებათა ასეთი ვაი დამცველების საყურადღებოდ ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „ჩვენთვის დემოკრატიულია ის, რაც ემსახურება ხალხის ინტერესებს. კომუნისტური მშენებლობის ინტერესებს. იმას, რაც ეწინააღმდეგება ამ ინტერესებს უარვყოფთ, და ვერავინ ვერ დაგვარწმუნებს, რომ ეს მცდარი მიდგომა იყოს. მტკიცედ ვიცით, რა მიმართულებით მივდივართ, როცა სრულვყოფთ ჩვენს პოლიტიკურ სისტემას. ჩვენ საკმაოდ დარწმუნებული ვართ, რომ სწორია ჩვენს მიერ არჩეული კურსი.

ახლა ჩვენ არა მარტო თეორიიდან ,არამედ მრავალი წლის პრაქტიკიდანაც ვიცით: როგორც ნამდვილი დემოკრატია შეუძლებელია უსოციალიზმოდ, ისევე სოციალიზმი შეუძლებელია დემოკრატიის მუდმივი განვითარების გარეშე. ჩვენ სოციალისტური დემოკრატის სრულყოფა გვესმის უწინარეს ყოვლისა, ისე, რომ განუხრელად უზრუნველვყოთ მშრომელთა სულ უფრო ფართო მონაწილეობა საზოგადოების ყველა საქმის მართვაში, კიდევ უფრო განვავითაროთ ჩვენი სახელმწიფოებრიობის დემოკრატიული საფუძვლები, შევქმნათ პიროვნების ყოველმხრივი აყვავების პირობები“[5].

სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას ემსახურება საბჭოების ერთიანი სისტემის ყველა რგოლი ადგილობრივიდან დაწყებული და უმაღლესამდე დამთავრებული. კანონიერების უზრუნველყოფაში, მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვაში მშრომელთა დეპუტატების საბჭოები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ. საბჭოები კანონიერების განმტკიცების მიზნით სისტემატურად ამოწმებენ თუ როგორ სრულდება შრომის და ტექნიკური უსაფრთხოების წესები, როგორაა დაცული მუშებისა და მოსამსახურეების საბინაო უფლებები, სრულდება თუ არა მთავრობის დადგენილებები მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებზე და სხვ.

კომუნისტურ მშენებლობაში საბჭოებს დიდმნიშვნელოვანი როლი აკისრიათ. ამით უნდა აიხსნას, რომ სკკპ XXV ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საბჭოების მუშაობას. უნდა ვიფიქროთ ეს ახალ ძალას შემატებს მშრომელთა ამ ყველაზე მრავალრიცხოვან თვითმოქმედ ორგანოებს.

ისე როგორც წინა ყრილობაზე, სკკპ XXV ყრილობაზეც მაღალი შეფასება მიეცა ჩვენი ქვეყნის ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობას. თავის მოხსენებაში ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „გასაგებია, ამხანაგებო, რომ ვუთმობდით და კვლვაც დავუთმობთ ყურადღებას მილიციის, პროკურატურის, სასამართლო-

5 ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, გვ. 119.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ების, იუსტიციის ორგანოების საქმიანობის სრულყოფას, რომლებიც დგანან საბჭოთა კანონების, საბჭოთა საზოგადოების ინტერესების, საბჭოთა მოქალაქეების უფლებების დაცვის სადარაჯოზე. პარტია, სახელმწიფო დიდად აფასებენ ამ დაწესებულებათა მუშაკების ძნელ და საპატიო შრომას, ზრუნავენ, რომ მათი შემადგენლობა ივსებოდეს მომზადებული ღირსეული კადრებით.

იმპერიალისტური სახელმწიფოთა დაზვერვების, ნაირ-ნაირი საზღვარგარეთული ანტისაბჭოური ცენტრებისა და სხვა მტრული ელემენტების ძირგამომთხრელი მოქმედებისაგან საიმედოდ იცავენ საბჭოთა საზოგადოებას **სახელმწიფო უშიშროების ორგანოები**"[6].

შეუძლებელია აქ ჩამოვთვალოთ და მოკლედ მაინც გადმოვცეთ ყველა ის საკითხი, რომლებიც ყოველმხრივ და ამომწურავად იქნა განხილული ყრილობაზე სახელმწიფოსა და სამართლის სფეროდან. ყრილობის მასალების პროპაგანდა მასობრივი ინფორმაციის ყველა ორგანოს, მთელი ჩვენი მოქნილი პროპაგანდისტური აპარატის პირველხარისხოვანი ამოცანაა მეტად ხანგრძლივი პერიოდისათვის.

ჟურნალ „საბჭოთა სამართლის" რედაქციამ უკვე შეიმუშავა სკკპ XXV ყრილობის მასალების პროპაგანდის სპეციალური გეგმა, რომელიც ითვალისწინებს თეორიული სტატიების გამოქვეყნებას, რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელების წერილების დაბეჭდვას, სადაც გაშუქდება პრაქტიკოსი იურისტების წინაშე მდგომი ამოცანები და სხვ. ეს ხელს შეუწყობს ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების პროპაგანდას.

ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები მოვალენი არიან ღრმად შეისწავლონ სკკპ XXV ყრილობის მასალები, გასწიონ მათი აქტიური პროპაგანდა, უზრუნველყონ ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარება.

ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები უნდა იყვნენ სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის მოწინავე ხაზზე, **აამაღლონ** დისციპლინა, თავიანთ მუშაობაში ყოველთვის დაეყრდნონ კანონს **და გამომდინარეობენ** კანონიდან, რომ ამით კიდევ უფრო განამტკიცონ სოციალისტური კანონიერება და ხალხი სოციალისტურ სახელმწიფოებრიობას **აზიარონ.**

პროკურატურის, იუსტიციის, სასამართლო ორგანოები მოვალენი არიან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ბიუროკრატიზმთან და საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლას. „საბჭოთა კანონები — წერდა ვ. ი. ლენინი — ძალიან კარგია იმიტომ, რომ ყველას შესაძლებლობას აძლევს ებრძოლოს ბიუროკრატიზმს და საქმის გაჭიანურებას, შესაძლებლობას, რომელიც არცერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოში მინიჭებული არა აქვთ მუშასა და გლეხს"[7].

უნდა გვახსოვდეს, რომ ხშირად ბიუროკრატი თავის არსებითად ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებას ნიღბავს კანონის ტექსტზე მითითებით, სწორედ ამ

---

[6] ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, გვ. 114-115.

[7] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 68.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს კი ხდება მოქალაქეთა უფლებების ისეთი შელახვა, რომელიც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა დაახასიათა, როგორც ფორმალურად სწორი, მაგრამ არსებითად პიროვნების აბუჩად ამგდები საქციელი[8].

საბჭოთა კანონები, მსოფლიოში ყველაზე ჰუმანური კანონები დგანან სოციალისტური სახელმწიფოსა და მოქალაქეთა ინტერესების სადარაჯოზე, მკაცრად სჯიან თანამდებობის ყველა პირს, რომელსაც ბრალი მიუძღვის უყაირათობაში, საგეგმო დავალებათა ჩაშლაში, სახელმწიფო სახსრების განიავებაში, სახელმწიფოს მოტყუებაში, საშტატო-საფინანსო დისციპლინის დარღვევაში, ბიუროკრატიზმსა და მშრომელთა უფლებების შეზღუდვაში.

ამოცანა ის არის რომ ყოველმხრივ გავუფრთხილდეთ საბჭოთა კანონების ავტორიტეტს, ავღზარდოთ ხალხი მისდამი მოწიწების სულისკვეთებით, განუხრელად დავიცვათ კანონის მოთხოვნა და ვაიძულოთ თანამდებობის ყველა პირი პატივი სცეს მას.

ეჭვი არ არის, რომ რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები ძალღონეს არ დაზოგავენ და მთელს ჩვენს ხალხთან ერთად შეასრულებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

---

[8] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 545.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების შედეგების შესახებ

კვირას, 1976 წლის 11 აპრილს, გაიმართა საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნები.

არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობდა დიდი შრომითი და პოლიტიკური აქტივობის, სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ფართოდ გაშლილ მოძრაობის ვითარებაში.

ხმის მიცემა დაიწყო 6 საათზე და დამთავრდა საღამოს 10 საათზე ადგილობრივი დროით.

არჩევნები ყველგან ჩატარდა ორგანიზებულად, სსრ კავშირის კონსტიტუციის, საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების სრული შესაბამისობით. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 99,99 პროცენტმა. საქართველოს სსრ სახალხო მოსამართლეობის კანდიდატებს ხმა მისცა არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა 99,98 პროცენტმა.

სახალხო მოსამართლეობის 168 კანდიდატმა მიიღო ამომრჩეველთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობა და საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების 61-ე მუხლის შესაბამისად არჩეულია სახალხო მოსამართლეები.

ახლად არჩეულ საქართველოს სსრ სახალხო მოსამართლეთა შემადგენლობაში 36 ქალია, რაც არჩეულ მოსამართლეთა 21,4 პროცენტს შეადგენს, 159 სახალხო მოსამართლე, ანუ 94,6 პროცენტი, სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატია. 67 სახალხო მოსამართლე, ანუ 39,9 პროცენტი ადრე არ ყოფილა არჩეული სახალხო მოსამართლედ.

საქართველოს სსრ სახალხო მოსამართლეთა არჩევნებმა ახალი ძალით ცხადყო სოციალისტური დემოკრატიის გამარჯვება, რესპუბლიკის მშრომელთა მონოლითური ერთიანობა და შეკავშირება კომუნისტური პარტიისა და მთავრობის გარშემო.

ეჭვი არ არის, რომ სახალხო სასამართლოების ახლად არჩეული სახალხო მოსამართლეები ყველაფერს გააკეთებენ სოციალისტური კანონიერების, საზოგადო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებრივი წესრიგის, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის, თავიანთ წვლილს შეიტანენ პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

საქართველოს სსრ სახალხო მოსამართლეების სია

ქ. თბილისი

ლენინის რაიონი

1. გიორგობიანი გროზა ავთანდილის ძე
2. დათეშიძე თამაზ ნიკოლოზის ძე
3. კურტანიძე ბონდო ვარლამის ძე
4. ნარმანია ნორა ეგნატეს ასული
5. ღლონტი ოთარ ნიკოლოზის ძე
6. წულუკიანი ავთანდილ ვლადიმერის ძე

პირველი მაისის რაიონი

1. ბებია ორდე სარდიონის ძე
2. შადური ვალენტინა იოსების ასული
3. შანიძე თამაზ ალექსანდრეს ძე
4. ცხადაძე აკაკი ნიკოლოზის ძე
5. ჭიპაშვილი ოთარ ნიკოლოზის ძე

ოქტომბრის რაიონი

1. აბულაძე ნორა ივანეს ასული
2. ბოსტოღანაშვილი სოლომონ ბესარიონის ძე
3. ნამორაძე ნინა ივანეს ასული

კალინინის რაიონი

1. ჩერქეზია ნათელა გიორგის ასული
2. წიქარიძე ავთანდილ პავლეს ძე
3. ხაბეიშვილი გულა ბესარიონის ასული

კიროვის რაიონი

1. მგალობლიშვილი ნანული ვასილის ასული
2. ყვანია ვახტანგ გრიგოლის ძე
3. ქაჯაია ლეილა სერგის ასული
4. შერვაშიძე თენგიზ პროკოფის ძე

ორჯონიკიძის რაიონი

1. თათელაძე გიორგი დავითის ძე
2. კვაჭაძე ფელიქს ლავროსის ძე
3. კიკაძე ვაჟა ლევანის ძე
4. სვანიძე თინათინ პარმენის ასული
5. ქადაგიშვილი ნოდარ გიორგის ძე
6. წიქორიძე ნოე ალექსის ძე

26 კომისრის რაიონი

1. ადამიანი სურენ გელამის ძე
2. ანდღულაძე ნოდარ ილარიონის ძე
3. კობერიძე ნელი ვასილის ასული
4. მესხიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძ. ფოთი

1. აბუევა ლეილა შამილის ასული
2. კოკაია ნუგზარ ანტონის ძე

ქ. ქუთაისი

1. კალანდაძე დავით პეტრეს ძე
2. მაღლაკელიძე სერგო კონსტანტინეს ძე
3. სოფრომაძე ცირა გიორგის ასული
4. ჯაფარიძე გივი დომენტის ძე
5. ცხელაშვილი ბონდო დავითის ძე

ქ. ჭიათურა

1 ოევზაძე გიორგი აპოლონის ძე
2. ობოლაძე გრიგოლ გიორგის ძე

რაიონის სახალხო მოსამართლეები

ამბროლაურის რაიონი

1. რეხვიაშვილი თეოდორე სპირიდონის ძე

აბაშის რაიონი

1. გაბელაია ნოდარ პეტრეს ძე

ადიგენის რაიონი

1. ჩაფიძე ნელი ჭიჭიკოს ასული

ასპინძის რაიონი

1. გორგაძე ციციონ ვლადიმერის ასული

ახალციხის რაიონი

1. ჯღარკავა ლევან გიორგის ძე

ახალქალაქის რაიონი

1. შირინიანი ერვანდ სუმბათის ძე

ახმეტის რაიონი

1. ოსეფაშვილი გიორგი ალექსის ძე

ბორჯომის რაიონი

2. ნოზაძე დავით აბესალომის ძე
2. ჯაფარიძე თენგიზ პავლეს ძე

ბოგდანოვკის რაიონი

1. ვართანიანი ასატურ სიმიკოს ძე

ბოლნისის რაიონი

1. გრძელიშვილი იზოლდა ნიკოლოზის ასული
2. ქორიძე კონსტანტინე აბესალომის ძე

გარდაბნის რაიონი

1. დაშტამიროვი ელშადი გაჯიევის ძე
2. თოფურია გიორგი ივანეს ძე
3. იაშვილი დემონი კალისტრატეს ძე
4. ხაბაშვილი გივი ვასილის ძე

გეგეჭკორის რაიონი

1. კაკულია მუხრან პორფილეს ძე

გორის რაიონი

1. ნიჟარაძე თენგიზ მელენტის ძე
2. შერგელაშვილი ზაურ ლავრენტის ძე

გურჯაანის რაიონი

1. გიოშვილი მარიამ გიორგის ასული
2. მათიაშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე

დუშეთის რაიონი

1. ებრალიძე იასონ ნიკოლოზის ძე

დმანისის რაიონი

1. ციხელაშვილი დიმიტრი ლევანის ძე

ვანის რაიონი

1. წულუკიანი ალექსანდრე გიორგის ძე

ზესტაფონის რაიონი

1. სამხარაძე ვლადიმერ მინაგოს ძე
2. ფუტკარაძე რევაზ სერგოს ძე

ზუგდიდის რაიონი

1. ალშიბაია ნათელა ალექსანდრეს ასული
2. სარია შოთა ისიდორეს ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თელავის რაიონი

1. ბოჭორიშვილი ლენგერ ამბროსის ძე
2. მაღრაძე გურჯასპირ სიმონის ძე

თერჯოლის რაიონი

1. სტურუა ვიოლეტა ვლადიმერის ასული

თეთრიწყაროს რაიონი

1. დარჩიაშვილი თამაზ ილიას ძე

თიანეთის რაიონი

1. არჩემაშვილი ივანე იოსების ძე

კასპის რაიონი

1. დალაქიშვილი გიორგი ივანეს ძე
2. თარხნიშვილი გიორგი ივანეს ძე

ლანჩხუთის რაიონი

1. მეგრელიშვილი ქეთევან ვასილის ასული

ლაგოდეხის რაიონი

1. ყაველაშვილი გიორგი ამბაკოს ძე
2. წიქარიძე გიორგი იოსების ძე

ლენტეხის რაიონი

1. უშხვანი ოლღა სოკრატეს ასული

მცხეთის რაიონი

1. კალმახელიძე შოთა ფილიპეს ძე
2. ჩაფოძე მედეა შალვას ასული
3. ჩარექიშვილი ოთარ ბაგრატის ძე

მესტიის რაიონი

1. მჭედლიანი ბუთული ბესარიონის ძე

მარნეულის რაიონი

1. ზუსტაფაევი ნასრედინი კაზიმის ძე
2. ჯაფარიძე გივი კონსტანტინეს ძე

მახარაძის რაიონი

1. გობრონიძე რევაზ არსენის ძე
2. ხინთიბიძე გულნარა თეიმურაზის ასული

მაიაკოვსკის რაიონი

1. ჩინჩილაძე ნუგზარ ვალერიანის ძე

ონის რაიონი

1. საბანაძე ნოე დიმიტრის ძე

ორჯონიკიძის რაიონი

1. ჭუმბურიძე მერი ვლადიმერის ასული

სამტრედიის რაიონი

1. კოხრეიძე აზა ისიდორეს ასული
2. პიტავა ტერენტი გიორგის ძე
3. სტურუა ოთარ პარმენის ძე

საჩხერის რაიონი

1. მიროტაძე ომარ გიორგის ძე

საგარეჯოს რაიონი

1. შიშნიაშვილი უშანგი ალექსანდრეს ძე

სიღნაღის რაიონი

1. კოჭლამაზაშვილი იოსებ თომას ძე
2. ცისკარაშვილი ჯემალ შალვას ძე

ქარელის რაიონი

1. მამესწარიშვილი ოთარ გიორგის ძე

ყაზბეგის რაიონი

1. ფაჯიშვილი ვალერიან ივანეს ძე

ყვარელის რაიონი

1. მაისურაძე არჩილ კონსტანტინეს ძე

ცაგერის რაიონი

1. ჭაბუკიანი ვაჟა ზაქარიას ძე

ცხაკაიას რაიონი

1. კუჭავა ომარ ვახტანგის ძე
2. ხევსურიანი შალვა გრიგორის ძე

წალენჯიხის რაიონი

1. გაბუნია პროკოფ მარტიანეს ძე
2. ქებურია ვლადიმერ კონსტანტინეს ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წალკის რაიონი

1. ბოპოვი მოსე აბრამის ძე

წულუკიძის რაიონი

1. ბარბაქაძე კამო ივანეს ძე
2. ბირკაია ნუგზარ ნიკიტას ძე

წითლეწყაროს რაიონი

1. გონაშვილი გიორგი იორამის ძე

წყალტუბოს რაიონი

1. ირემაძე ევგენი სერაპიონის ძე
2. მაჭავარიანი ნანა ალექსანდრეს ასული

ჩოხატაურის რაიონი

1. გაბეჩავა ომარ გიორგის ძე

ჩხოროწყუს რაიონი

1. ადამია ჯემალ მამიას ძე

ხაშურის რაიონი

1. მუღალაშვილი ომარ იოსების ძე
2. მაისაშვილი ლალი ვასილის ასული

ხობის რაიონი

1. ვეკუა გიგლა შირიმის ძე

აფხაზეთის ასსრ

ქ. სოხუმი

1. ავიძბა ალა ოთარის ასული
2. გალუსტიანი ვიტალი ალექსის ძე
3. გლუბოკოვა ვერა პეტრეს ასული
4. ლაშხია შოთა ვასილის ძე
5. ჯერგენია ანრი მიხეილის ძე

ქ. გაგრა

1. ვარდაია ვიქტორ ვიქტორის ძე
2. ლობჟანიძე პავლე ალექსანდრეს ძე
3. სილნოვი ალექსი ნიკოლოზის ძე

ქ. ტყვარჩელი

1. დაშელია ხერსონი დავითის ძე
2. კუპრავა ქოჩია თეიმურაზის ძე

გალის რაიონი

1. ბლიაძე მარიამ ვასილის ასული
2. კეკუა იგორ მიხეილის ძე
3. სიჭინავა რუბენ დოროთეს ძე

გუდაუთის რაიონი

1. ტრეშევა ლიდა ევგენის ასული
2. ცუშბა ალექსი ფშაკაჩის ძე

გულრიფშის რაიონი

1. თორდია ვალერიან არსენის ძე
2. ხაბურზანია ნური მიხეილის ძე

ოჩამჩირის რაიონი

1. სალია რაუდენ პროკოფის ძე
2. ქეცბაია ჯუმბერ ივანეს ძე

სოხუმის რაიონი

1. კაჭარავა სერგო ბესარიონის ძე

აჭარის ასსრ

ქ. ბათუმი

1. სურმანიძე ისრაფილ ფიქრის ძე
3. ხვედელიძე თინათინ სილოვანის ასული
4. ხამაშურიძე მურმან დავითის ძე
4. ჩამბა შაქრო სულეიმანის ძე

ქობულეთის რაიონი

1. ჟვანია ლეონიდე კონსტანტინეს ძე
2. ტაკიძე რევაზ ასლანის ძე
3. ჭეიშვილი ოლეგ მიგდონეს ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქედის რაიონი

1. ჟღენტი რამაზ სერგოს ძე

შუახევის რაიონი

1. დუმბაძე თედო ხასანის ძე

ხელვაჩაურის რაიონი

1. ბერიძე შოთა ფელულოს ძე

ხულოს რაიონი

1. ბერიძე რევაზ ახმედის ძე

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი

ქ. ცხინვალი

1. ხუგაევი დიმიტრი ბესარიონის ძე
2. ჯაბიევი იური მიხეილის ძე

ზნაურის რაიონი

1. გაზაევა აზა დიმიტრის ასული

ლენინგორის რაიონი

1. წიაური ჟუჟუნა ისაკის ასული

ჯავის რაიონი

1. პლიევი ვალერ თეოდორეს ძე
2. ქელეხსაევი ზემილა გიორგის ძე

ცხინვალის რაიონი

1. პლიევი დიმიტრი ვლადიმერის ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრადიციები: რა დავგმოთ? რა შევინარჩუნოთ, განვავითაროთ?

პროფ. ვ. ქვაჩახია

სკკპ 25-ე ყრილობამ მოგვცა ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო ვითარების ღრმა მეცნიერული ანალიზი, დასახა უდიდესი ამოცანები ახალი ხუთწლედისათვის. საქართველოს კომპარტიის 25-ე ყრილობამ სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებთან ერთად ყურადღება გაამახვილა წარსულის გადმონაშთებთან ბრძოლის გაძლიერების საკითხზე. ბუნებრივია, რომ მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებების შესახებ მიღებულ დადგენილების მნიშვნელობაზეც ითქვა ხაზგასმით.

დადგენილება, რომელიც მიიღო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ისეთი დოკუმენტია, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკის მთელი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, დიდმნიშვნელოვანია და საჭირო თითოეული ჩვენთაგანისათვის, ყოველი ჭეშმარიტი მამულიშვილისა და მოქალაქისათვის.

რას ვებრძოლოთ, რა დავგმოთ, რა არ მივიღოთ და პირიქით, რა მივიღოთ და განვამტკიცოთ? — აქ იმდენად რთულ პრობლემასთან გვაქვს საქმე, რომ ბევრი რამ შეიძლება სადავოც ჩანდეს. სადავოო, რომ ვამბობთ, ეს გარკვეული ხერხიც არის ამ საკითხებზე მსჯელობისათვის, თორემ, განა არ ვიცით, რომ ბევრ კითხვას თვით ცხოვრებამ უკვე კარგა ხანია გასცა პასუხი?

ფიზიკოსებს არ უჭირთ შექმნან ვაკუუმი, ამოხსნან და გაარკვიონ კიდევაც მისი თვისებები. თუ ფიზიკაში დასაშვებია და შესაძლებელი ვაკუუმი — ცარიელი სივრცე, იგი ნამდვილად შეუძლებელია ადამიანთა ურთიერთობების მკაცრად დადგენილ, ჩამოყალიბებულ, გავრცელებულ წესებში, ნორმებში, ჩვევებში.

არა! ასეთი წესები, ჩვევები რომ უგულვებელვყოთ, ადამიანთა დამოკიდებულება წარმოუდგენელი იქნება. ადამიანთა ყოველი სოციალური ჯგუფი თანდათანობით ქმნის, აყალიბებს ურთიერთდამოკიდებულების გარკვეულ წესებს და ეს წესები დგინდება, სავალდებულო ხდება, კანონებად იქცევა მათი განმეორადობის გამო. სწორედ ესაა ტრადიცია. ხალხი ქმნის, ინახავს, ანვითარებს მათ. თუ რომელიმე მათგანი ამა თუ იმ კუთხის ადამიანთა ცხოვრებას განეკუთვნება, — ეს კუთხური ტრადიციაა; თუკი ასეთი წეს-ჩვეულებანი ერთ რომელიმე კუთხეს კი არა, მთელ ერს მიაჩნია მისაღებად — საქმე გვაქვს ეროვნულ ტრადიციასთან...

რის წინააღმდეგ და რისთვის ვაცხადებთ დღეს ბრძოლას? იმის წინააღმდეგ, რაც არ შეეფერება ადამიანთა ნამდვილ, ჯანსაღ ურთიერთობებს, თუ იმისათვის, როგორ დავიცვათ ის, რაც ნამდვილად შესაბამისია ჩვენი ცხოვრებისათვის, სოციალისტური წესისათვის, იმისათვის, რაც მართლაც ადამიანური ყოფის სიმდიდრეა, ხალხის მიერ შექმნილი და სალოლიავებელია?

ბრძოლას უცხადებთ იმას, რაც დროის ზოგიერთ უკუღმართობათა გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედდალექვია იმ კარგსა და მისაღებს, კეთილი დაუჩრდილავს, ჯანსაღ ნერგს ხავსივით მოჰკიდებია. გადაჭრით შეიძლება ითქვას — თითქმის ოცი წლის განმავლობაში ჩვენს საზოგადოებაში გამოვლენილი უარყოფითი მოვლენები რომ არა, ასეთი უარსაყოფი დანამატები არც ექნებოდა იმას, რასაც ეროვნული ტრადიციები ეწოდება. ასეთი გამოვლენით ზოგიერთმა ტრადიციამ მახინჯი სახე მიიღო. ამიტომაა, რომ უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში შეიქმნა ერთიანი ფრონტი იმის წინააღმდეგ საბრძოლველად, რაც ეროვნული ტრადიციების სახითა და ფორმით დღესაცაა გავრცელებული.

მავნე ტრადიციებიო! — უპირველეს ყოვლისა ეს სწორად უნდა გვესმოდეს, მთელი სიღრმით, სიმართლით უნდა გავიაზროთ. ამისთვის კი საჭიროა გამოვდიოდეთ შემდეგიდან:

პირველი — ხალხის მიერ შექმნილი და გავრცელებული წესი ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებისა, იგივე ტრადიცია, შესაძლებელია ჩვენი ცხოვრებისათვის მისაღები იყოს, როგორც შინაარსით, ისე ფორმითაც. ასეთ ტრადიციებს თვალისჩინივით უნდა მოვუაროთ, ეს ჩვენი ეროვნული სიმდიდრეა!

მეორე — ტრადიცია შესაძლებელია მისაღები იყოს თავისი შინაარსით, მაგრამ ჩვენი ცხოვრების წესისათვის შეუფერებელი ფორმით იყოს წარმოდგენილი. ამ შემთხვევაშიც უნდა ვცდილობდეთ ღირსეული შინაარსი დავიცვათ, მიუღებელი ფორმა — უარვყოთ.

მესამე — ტრადიცია შეიძლება ისეთიც იყოს, რომ თავისი შინაარსით არ შეეფერებოდეს ჩვენს ახალ ცხოვრებას, მაგრამ მისი გამოვლენის ფორმებს გააჩნდეს მიმზიდველობა და სწორედ ამის გამოც იყოს გავრცელებული. ასეთ შემთხვევაში უნდა ვცდილობდეთ, ეს ფორმები ახალი შინაარსისთვის გამოვიყენოთ. ყველაზე მეტად ეს რელიგიური შინაარსის ტრადიციებს ეხება.

მეოთხე — და ბოლოს, ტრადიცია შინაარსითაც და ფორმითაც შეიძლება მიუღებელი იყოს ჩვენი ცხოვრების წესისათვის. მაგალითად, სისხლის აღებისა და სხვა ადათები.

ყოველივე ეს და, ალბათ, ბევრი სხვაც უნდა გავითვალისწინოთ, როდესაც საქმე გვაქვს ხათუთ საკითხთან — ეროვნული ტრადიციების გადასინჯვასთან. ამ მიმართულებით უკვე ჩატარებულია გამოკვლევები, რაც, რა თქმა უნდა საკმაო არ არის. ეს გამოკვლევები, კერძოდ სოციოლოგიური გამოკვლევები უნდა გაფართოვდეს და გაღრმავდეს, მაგრამ ის, რაც უკვე მოპოვებულია უფლებას გვაძლევს სრული დაიმედებით გავაკეთოთ ზოგიერთი დასკვნა. უპირველესად, უნდა ითქვას, რომ ტრადიციებთან დაკავშირებით ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილი ვითარება გამოცდილი ქირურგის ხიმტკიცესა და სიფრთხილეს საჭიროებს. სიმტკიცე და სიფრთხილე აქ ერთმანეთს განაპირობებენ, ერთმანეთს ავსებენ. სიმტკიცით მოქმედების გარეშე შეუძლებელია მოვიშოროთ ის მავნე, რაზეც დასაწყისშივე ითქვა. სიფრთხილის გარეშე კი ადვილი შესაძლებელია დავაზიანოთ ადამიანთა ურთიერთობების ჯანსაღი ქსოვილები. ტრადიციები თავისი გამოვლენის აურაცხელი ფორმებით სწორედ რომ ქსოვილია, რომლის დაზიანება არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ.

სოციოლოგიური გამოკვლევები გვაიმედებს, რომ არსებობს სრული სა-

ქ. მარქსის სახ. საქ. სახელ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუძველი ასეთი სიმტკიცით ჩარევისთვისაც, მაგრამ ასევე არსებობს საფუძველი სიფრთხილის გამოსაჩენადაც. მაგალითად, საქართველოს 20-მდე რაიონში სპეციალური ანკეტით გამოკითხული 5000-მდე მშრომელიდან აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მშრომელებს ზედმეტი დრო და სახსრები ეხარჯებათ ქელეხების, გადამეტებული ქორწილებისა და სხვა სახის ნადიმების მოწყობა-მონაწილეობაზე. გამოვლინდა ის, რაც თითქოს არ უნდა ყოფილიყო მოსალოდნელი — ადამიანები გმობენ ჩვენი ხალხის მიერვე მიღებული წესების ამ მახინჯ მხარეებს, რამაც მასობრივი ხასიათი მიიღო. საკითხის მთელი სიმძიმეც სწორედ აქაა: თუკი მშრომელთა უმრავლესობა (აბსოლუტური უმეტესობა) გმობს ამ დამახინჯებულ ფორმებს ტრადიციებისას, მაშინ, რატომაა იგი ასე მასიური და სწორედ ამის გამო განსაკუთრებულად მავნე და დასაგმობი? რატომ არის ასეთი შეუსაბამობა საზოგადოებრივ აზრს და პრაქტიკულ ქმედობას შორის? რა აიძულებს იმ მოქალაქეებს, რომელთაც კარგად იციან ამა თუ იმ წეს-ჩვეულებების არატრადიციულობა და მავნებლობა, ისევ ამ წეს-ჩვეულებებს მისდიონ ყოველ კონკრეტულ ვითარებაში? ასეთ შემთხვევაში ხომ მოქალაქეები, ზოგჯერ პარტიული, სამეურნეო, კომკავშირული ხელმძღვანელებიც არ მოქმედებენ საკუთარი აზრის შესაბამისად. არამც თუ ვერ იჩენენ სათანადო ინიციატივას, ვერ უჩვენებენ კარგ მაგალითს, პირიქით, მიყვებიან რა ინერციას, ზოგჯერ თავიანთი მოქმედებითაც, ნებით თუ უნებლიეთ, უფრო აძლიერებენ აშკარად მიუღებელ ტენდენციებს. აი, ეს პარადოქსალური მდგომარეობა მეჩვენება პირადად მე ამ თავისთავად მრავალმხრივი საკითხის ყველაზე რთულ პუნქტად. სწორედ ეს იძლევა საფუძველს ვიფიქროთ, რომ აქ დადგენილების მტკიცედ განხორციელების აუცილებლობაცაა და სიფრთხილისაც. ადამიანებს არ უნდათ და იგივე ადამიანები აკეთებენ — აი, ამისი მექანიზმი უნდა გვქონდეს მეცნიერულად შესწავლილი, გაანალიზებული და შესაბამისი გადაწყვეტილებაც აქედან გამოვიტანოთ. ამ გზით ხელი უნდა შევუწყოთ ადამიანებს, გამოვიდნენ ზემოთ მინიშნებული პარადოქსალური მდგომარეობიდან.

ერთი სიტყვით, ამოცანა ის არის, როგორ დავიცვათ ნამდვილი ეროვნული ღირებული წეს-ჩვეულებები მათივე დამახინჯებისაგან. ასე უნდა გავარჩიოთ ის, თუ რას ვებრძვით, რას ვგმობთ და ისიც, რას უნდა ვიცავდეთ და ვუვლიდეთ. რა თქმა უნდა, აქ სავსებით ბუნებრივად წარმოჩინდება საკითხი ადამიანთა ურთიერთობების, წეს-ჩვეულებების ახალი ფორმების დამკვიდრებისა — შოთაობა, ილიაობა, ვაჟაობა და სხვა ამდაგვარი ღონისძიებები, საყოველთაოდ რომ არის ცნობილი. მაგრამ ბევრი სხვაც ასევე საყოველთაოდ გავრცელებული როდია! სავსებით მართალი იყო ამის შესახებ ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის ნიკო კეცხოველის აზრი, ამას წინათ რომ გამოქვეყნდა პრესის ფურცლებზე.

რა შევინარჩუნოთ, და რას ვებრძოლოთ? უბედურ ადამიანს უბედურების მძიმე დღეებში რომ ახლობლები არ მიატოვებენ, სახლშიც გამოყვებიან, ცხოვრების მოთხოვნილებათა მიხედვით კალაპოტში ჩადგომაში რომ შველიან და ამ თვალსაზრისით წეს-ჩვეულებებს, ტრადიციად ქცეულს რომ იცავენ, — ამას ვებრძოლოთ? რა თქმა უნდა, არა! ვინ ბედავს — ბრძოლა, რომელიც დღეს გამოეცხადა მავნე წეს-ჩვეულებებს, — ასე უკუღმართად გაიგოს, ასე გააყალბოს? მაგრამ უბედურ შემთხვევებს ადამიანები პირადი სარგებლობი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის რომ იყენებენ, არც თუ ისე ახლობლები ან სრულიად უცხონი რომ მიუბრუნდებიან დამწუხრებულ ოჯახს, სუფრაზე თვალების ცეცებით „კარგ რამეებს“ რომ ეძებენ და ჭირის სუფრას ღრეობად აქცევენ ხოლმე, ამას არ აღვუდგეთ წინ? — ვის შეუძლია თქვას, რომ ეს წინააღმდეგობა, ეს ბრძოლა არ არის სწორედ ეროვნული კულტურის სრულყოფის დაცვა? როდესაც ცოცხალ ბებიას ან ბაბუას (ვინ იცის, ხანში შესულ დედასაც და მამასაც) შექეიფიანებული, დროის ამ ცუდ ძახილს აყოლილი მავანი და მავანი „ჩემს ვოლგას“ ან „ჩემს ჟიგულს“ ეძახის, აქაოდა, ეს რომ მოკვდება, ამდენი და ამდენი ფული შემომივაო, ამას არ ვებრძოლოთ?!

ქართველი კაცი მეზობელს, ამხანაგს, მეგობარს ხელს რომ გაუმართავდა, გვერდში ამოუდგებოდა, ეს რომ წესად იქცა და ჩვენი ტრადიციაც არის ამას ვებრძოლოთ? მერე-და, განა ვინმე მოითხოვს ამას? — არა! მაგრამ იგივე სანაქებო ქართული ტრადიცია საქმის ჩაწყობის, მოსყიდვის, მლიქვნელობის, პროტექციისა და ამ გზით ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საქმეების გაფუჭების ფორმად რომ ქცეულა, ამას არ ვებრძოლოთ და გულდამშვიდებით ვიყოთ?..

მე ვფიქრობ, რომ ყველა კარგად უნდა გაერკვეს — რას ვიცავთ და რას ვებრძვით!

გაერკვეს და იბრძოლოს იმისათვის, რაც მისადებია და სასიკეთო, რაც სიკეთეს ემსახურება — ხალხის და ქვეყნის სიკეთეს.

ჩვენ ყველამ ვიცით, რომ საქართველო ცნობილია მთელ მსოფლიოში თავისი ეროვნული ტრადიციებით, სტუმარ-მასპინძლობით. და უნდა ითქვას, რომ უსაფუძვლოდ არ ვამაყობთ ამ დიდებული ტრადიციებით. ალბათ იშვიათია მსოფლიოში ისეთი ხალხი, რომ, როდესაც ადამიანს სტუმარი მოუვა, ის წავა, ისესხებს, იშოვის და სტუმარს გაუმასპინძლდება. ჩვენთან ეს ჩვეულებრივი ამბავია. სხვებიც არიან სტუმართმოყვარენი, მაგრამ სხვებთან არ წავლენ სასესხებლად სტუმარს რომ უმასპინძლონ, ეს ჩვენი ქართველი ხალხის საამაყო თვისებაა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მათთვის იყო დამახასიათებელი. მაგრამ დღეს ამ სტუმართ-მასპინძლობამ ისეთი ფორმები მიიღო, რომ იგი ჩვენი საზოგადოებისათვის აშკარად საზიანო გახდა, ეს ნაწილობრივ ეხება უზომოდ დიდ ქორწილებს, უზომოდ დიდ ქელეხებს. მე არ ვამტკიცებ, რომ საერთოდ მოისპოს ქორწილები და ადამიანთა თანადგომის ჩვენებური წესები უბედურების ჟამს. ყველამ იცის, რომ ამას დიდი შინაარსი აქვს, აქ დიდი ხალხური სიბრძნეა ჩაქსოვილი, როდესაც ადამიანი გაჭირვებაშია, მასთან ახლობელი, მეზობელი, ნათესავი არ მივიდეს და მარტო დატოვოს, ეს ქართველი ხალხისათვის წარმოუდგენელია. ასევე შეუძლებელია ქორწილის დროს, საზეიმო სუფრაზე არ იყოს მეგობარი, მეზობელი და ნათესავები. ეს ჩვენი ხალხისათვის კი არა, საერთოდ ყველასათვის წარმოუდგენელია, მაგრამ ამ დადებითი და ბრძნული მოვლენის გვერდით უარყოფითი მოვლენებიც ჩამოყალიბდა.

საკითხი ფართო მასშტაბით უნდა განვიხილოთ.

დასავლეთის სამყაროში უარყოფით მოვლენად ჩაითვალა ის, რომ ახლა ადამიანები არაკომუნიკაბელურები გახდნენ — ჩივიან დასავლეთის მოაზროვნეები, სოციოლოგები. თითქმის დიდი ნაწილი მსოფლიოს მოსახლეობისა დაჯდა სახლში და ტელევიზორის ყურებით არის გართული და ერთმანეთთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაპარაკსაც გადაეჩვევნენო. ეს, რასაკვირველია, განსაკუთრებით დამახასიათებელია ბურჟუაზიული სამყაროსათვის. არც ის უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი საშიშროება ჩვენთან საერთოდ გამორიცხულია. ასეთ სიტუაციაში, ქართველი ხალხი ცნობილი ტრადიციების წყალობით ერთგვარი გამონაკლისია. ერთმანეთის სიყვარულით, მეგობრობით გამსჭვალულნ „საზოგადოებაში მარტოობის“ სენი არ აწუხებთ. თუნდაც ქორწილებსა და ქელეხებს ასეთი ურთიერთობების შინაარსიც აქვს. მაგრამ დღეს ამ მოვლენებმა დამახინჯებული ხასიათი მიიღეს. ეს თავისთავად ლამაზი შინაარსის მოვლენებია, მაგრამ არა იმ ფორმითა და სახით, როგორიც მან ახლახან მიიღო. ასე ვაყენებთ ამ კითხვას, ვართ თუ არა მართალი ამ საქმეში?!

ეს, რაც ჩვენთან ახლა ტარდება, იმ ფორმით, იმ მასშტაბით, ამის გაკეთება გაუმართლებელია, რადგან ადამიანთა ნამდვილი მეგობრობის შინაარსის საწინააღმდეგოა. მე ხელთა მაქვს ის მონაცემები, რომელიც შეგროვილია რაიონების მოსახლეობის გამოკითხვის და დაკვირვების ჩატარების შედეგად და მონაცემები მართლაც საინტერესოა იმით, რომ მშრომელების უმრავლესობა სწორ შეფასებას აძლევს ამ მოვლენებს.

ერთი დამახასიათებელი დეტალი.

ანკეტირებაზე მყოფი ჩვენი თანამშრომლების ერთი ნაწილი გზაზე შეხვდნენ ქელეხიდან მომავალ ხალხს, ეს იყო კასპის რაიონში, და როცა კითხეს ქელეხისადმი დამოკიდებულების შესახებ, მით უთხრეს: „გადაგვარჩინეთ, დაგვიცავით ამ ქელეხებისაგან. ჯერ ერთი ამდენი ფული, და მეორე, ის, რომ ძალზე დიდი დრო უნდა დავკარგოთო“. აი რაშია საქმე — იციან, რომ ამ სახით ეს არ უნდა კეთდებოდეს, და მაინც აკეთებენ! სწორედ რომ საჭიროა შეველა კარგი გადაწყვეტილების მიღებით და გატარებით.

ჩვენში ახლაც ბევრია იმ ასაკის ადამიანები, ვინც იცის რა არის შიმშილი, ულუკმაპურობა. ეს ახალგაზრდობისათვის გაუგებარია, უფრო მეტიც, მათთვის ეს წარმოუდგენელია. მართალია, ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ დღეს დიდი სიუხვე გვაქვს, მაგრამ სიუხვე რამდენიც არ უნდა გვქონდეს გადაყრა საჭმელებისა, ხანოვაგისა — ბოროტებაა. საქმე იმაშია, რომ მომზადებული კერძების, შეხარიდული ხანოვაგის მხოლოდ 1/3, ან უფრო სწორად ერთი მეხუთედი გამოიყენება, დანარჩენი კი იყრება, გამოუყენებელი რჩება, ფუჭდება, ნადგურდება.

ისმის კითხვა, რა უფლებით, რისთვის, ვისთვის? ახლა, როდესაც ჩვენს საზოგადოებას ასეთი დიდი წარმატებები აქვს ტექნიკური პროგრესის დარგში, მის გვერდით გვხვდება ასეთი დამახინჯებული წესი, ვითომ ტრადიცია, რომელსაც წარსულის გადმონაშთს ვეძახით. რამ გამოიწვია ასეთი უარყოფითი მოვლენა ჩვენს სინამდვილეში? ჩვენი საზოგადოება, საერთოდ მთელი კაცობრიობა დაფიქრებულია ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემით, კერძოდ ბუნებრივი სიმდიდრის რაციონალური გამოყენებით, ჩვენ კი ვტრაბახობთ, რომ ღმერთს ჩვენთვის სიკეთე უბოძებია ჩვენი მდიდარი მხარის სახით. მაგრამ რომ გაეცნობით არსებულ მდგომარეობას, გასაკეთებელი ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია და ბევრი პრობლემაა გადასაწყვეტი. ჩვენს მშრომელებს ეს შეგნებული უნდა ჰქონდეთ.

როცა წარსულის გდმონაშთებზე, ჩვენი ტრადიციების უარყოფით მხარეებზე ვლაპარაკობთ, ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ჩვენს მოსახლეობას ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესანიშნავად აქვს შეგნებული, იცის მისი სიმძიმე და სირთულე, მაგრამ მის წინააღმდეგ აქტიურად ვერ გამოდის, ვერ წყვეტს ქელეხის, ან ქორწილების, დღეობების მასშტაბების საკითხს, ამიტომ მთავრობამ კანონით უნდა შეზღუდოს იგი, ეს უნდა დაკანონდეს ზემდგომი ორგანოების მიერ. ყველამ იცის, რომ უარყოფით მოვლენასთან აქვს საქმე, მაგრამ მის წინაღამდეგ ბრძოლას თვით მოსახლეობა ვერ ახერხებს. გონივრული რეკომენდაციები უნდა შეიმუშაოთ ამ საკითხზე.

რამდენიმე სიტყვა საერთოდ ეროვნულ ტრადიციებზე.

ეროვნული ტრადიციების შეფასების, ძველი მავნე ტრადიციების დაძლევის, ახალი წესებისა და რიტუალების ჩამოყალიბების დიდი მნიშვნელობის, უაღრესად რთული ამოცანის გადასაწყვეტად გამართული მეთოდოლოგიური საფუძველი მოცემულია ჩვენი პარტიის პროგრამაში. «Поддерживая прогрессивные традиции каждого народа, делая их достоянием всех советских людей, Партия будет всемерно развивать новое, единый для всех наций революционные традиции строителей коммунизма».

ტრადიციები მრავალგვარია. ზოგადად რომ ითქვას, ყოველი ტრადიცია ცალკეული სოციალური, ეთნიკური ჯგუფის, ერის, თაობათა გამოცდილების აკუმულაციაა. დიდი ხნის, ბევრ შემთხვევაში საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ქცევის, ურთიერთობის ნორმები, განმეორებათა შედეგად ტრადიციულ რიტუალებში გამოვლენილნი, რომელთაც აღიარება აქვთ მოპოვებული ამა თუ იმ ჯგუფში, კლასში, ერში, კუთხეში, მხარეში, რაიონში, ქალაქში და ა. შ. ახალი დროის მოთხოვნებს ხშირად ბუნებრივად შეერწყმის, ხშირ შემთხვევაში კი ძველის და ახლის მოთხოვნები ერთიმეორის საპირისპიროა. როდესაც ვამბობთ ეროვნული ტრადიცია, ეს როდი ნიშნავს რომ მოცემული ერის, ამ შემთხვევაში ქართველი ერის რაიმე ტრადიცია ერთნაირად სრულდება ყველა კუთხეში. თითქმის ყველა ტრადიციას გამოვლენის სხვადასხვაობა ახასიათებს არა თუ კუთხეების, არამედ ხშირად რაიონების, სოფლების მიხედვითაც. ამისი გათვალისწინება აუცილებელია, რადგან ტრადიცია შეიძლება ერთგან მისაღები იყოს შინაარსითაც და ფორმითაც, სხვაგან — არა.

ტრადიციების სფეროშიც ძველისა და ახლის დამოკიდებულება ერთი მხრით, გარკვეული შერწყმის, სინთეზირების, მემკვიდრეობითობის დაცვის გზით ხორციელდება, მეორე მხრით, ძველის უარყოფის, სრულიად ახლის დამკვიდრების გზით. ახალი, რევოლუციური, სადღესასწაულო (საოქტომბრო, სამაისო და სხვა) ტრადიციები სრულიად ბუნებრივად შეერწყა, მაგალითად, ძველ ქართულ ეროვნულ ტრადიციებს (წვეულებას, სტუმარ-მასპინძლობას, სუფრის გაძღოლას და სხვ.) ცხოვრების ახალმა წესმა განამტკიცა ისიც, რომ ეს პროცესი ეროვნული ჩარჩოებით არ არის შეზღუდული. სუფრის გაძღოლისა და გონივრული სჯა-ბაასის წესი სხვაგვარადაც გავრცელდა. ამასთან, იგივე დადებითი წესები თავისებურად შეითვისა მიუღებელმა საქმიანობამაც, როდესაც „კარგი კაცობა“ იმავე ტრადიციული წესების გამოყენებითაც ხშირად „იმაგრებს პოზიციას“.

ამრიგად, ძველი ტრადიციებისა და ურთიერთობათა ახალი ფორმების სინთეზირების ამ ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს, თუ კი იგი არ არის სათანადოდ წარმართული, თუ კი არ ხორციელდება საჭირო ადმინისტრაციულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდეოლოგიური ხელმძღვანელობა, გარკვეული უარყოფითი დანაშრევებიც ახლავს.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე ბევრია გაკეთებული, ამ რთული პროცესის ხელმძღვანელობა და წარმართვა თანამედროვე პირობების შესაბამის გაძლიერებას მოითხოვს.

როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ისე ჩვენს რესპუბლიკაშიც დიდი გამოცდილებაა დაგროვილი ძველი ადათ-წესების, მიუღებელი ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლისა და ახალი წესების ჩამოყალიბება-განხორციელების საქმეში, ეს გამოცდილება მიუთითებს აგრეთვე ამ მიმართულებით დაშვებულ ზოგიერთ შეცდომებზეც. ვ. ი. ლენინი დროულად აფრთხილებდა პარტიას, რომ ჩვეულებების ერთბაშად დამსხვრევა შეუძლებელია და რომ გულდასმით უნდა შევისწავლოთ ახლის დაბადების საკითხები. პროლეტკულტურული დამოკიდებულება ეროვნული კულტურის ისეთი ფორმისადმი, როგორსაც ტრადიციები წარმოადგენს, ჩვენს რესპუბლიკაში არსებითად დაძლეულია. ამჟამად ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნათა შესაბამისად წარვმართოთ ადამიანთა სოციალური ურთიერთობები, განვსაზღვროთ და განვახორციელოთ სოციალური განვითარების სწორი ორიენტაცია, შევქმნათ სოციალური განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული გეგმები. ამ გეგმებში ერთ ძირითად ასპექტს უნდა წარმოადგენდეს ძველისა და ახლის სწორი შეხამება ტრადიციების სფეროში.

ოქტომბრის, პირველი მაისის, გამარჯვების დღის, საბჭოთა კონსტიტუციის დღის, ახალი წლისა და სხვა საყოველთაო სახალხო დღესასწაულებთან ერთად აღინიშნება პროფესიათა დღეები (რკინიგზელის, მეტალურგის, მეშახტის, ვაჭრობის მუშაკთა და სხვა), „საბჭოთა ახალგაზრდობის დღე“, „შინმოუსვლელთა დღე“, „კომუნისტური შრომის დღესასწაული“, „ახალგაზრდა მუშის დღე“ (ქ. რუსთავი), „პროფესიის საუკეთესო მუშის დღე“ (თბილისის კიროვის სახ. ქარხანა) „ქარხნის შრომის ვეტერანის დღე“ (თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა), „მოსავლის დღესასწაული“, „მევენახის დღე“ (თერჯოლის რაიონი), „მეჩაიეს დღე“ და „ჩაის დღე“, „მწყემსის დღე“, „ახალგაზრდული მეგობრობის დღესასწაული“, „გამარჯობა სკოლავ“, „შოთაობა და პოეზიის დღე“, „ილიაობა“, „ვაჟაობა“, „ყვავილებისა და სიმღერის დღესასწაული“, „მხატვრის კვირეული“ და მრავალი სხვა.

სოციალური განვითარების გეგმებში ურთიერთობათა ტრადიციული ფორმებისა და ახალი წესების გათვალისწინება — ასეთია ჩვენი ცხოვრების თანამედროვე ეტაპის მოთხოვნების შესაბამისი ახლებური მიდგომა ძველი ტრადიციებისა და ახალი წესების შექმნის საკითხში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შემდეგ ტრადიციების საკითხი გულმოდგინე განხილვის საგანი გახდა. ჩემის აზრით უკვე აშკარად გამოიკვეთა ორი, ერთმანეთთან არსებითად დაკავშირებული ასპექტი. ამ ასპექტების მთელი სისრულითა და სიღრმით გააზრებაა აუცილებელი იმისათვის, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანი დადგენილება განხორციელდეს.

მოკლედ შევეხები ამ საკითხს.

ერთის მხრივ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ უარყოფით მოვლენათა მოძალების ცნობილ ოცწლიან პერიოდში მოხდა ნეგატიურ მოვლე-

ნებთან (მექრთამეობასთან, პროტექციონიზმთან და ა. შ.) ეროვნული ტრადიციების იმგვარად მისადაგება, რომ ბევრი ჩვენი წეს-ჩვეულება და ტრადიცია უღვთოდ იქნა გაყალბებული და დამახინჯებული. პროტექციის, საქმის ჩაწყობის, მოსყიდვის, მლიქვნელობის, უღირსთა განდიდების სამსახურში ჩაყენებული სტუმართმოყვრაობისა და სხვადასხვა ჩვენი წეს-ჩვეულებები არ შეიძლებოდა არ დამახინჯებულიყო იმდენად, რომ თვით ტრადიციისაგან ხშირად არაფერი რჩებოდა. კარგ ქართველობას, ეროვნულ ტრადიციებს ამოფარებით საკუთარი ანგარებიანი საქმეების კეთება დიახაც აწყობდათ მავანთა და მავანთ.

ყველაზე საყურადღებო, ყველაზე დამაფიქრებელი უნდა იყოს ის, რომ საქმოსნობამ, საქმის ჩაწყობამ, და ამაში ტრადიციების გამოყენებამ შეაღწია თავის დროზე, შემდეგ კი მტკიცედ მოიკიდა ფეხი ისე უაღრესი მნიშვნელობის ეროვნულ საქმეში, როგორიცაა სწავლა-განათლებისა და აღზრდის საქმე. ეს დიდი საკითხია. აქ კი სულ მოკლედ ვიტყვი, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესის, რევოლუციის ეპოქაში ერის სიძლიერე სწორედ ამ მიმართულებით წარმატებებში უნდა გამოჩნდეს. ხოლო თუ ერს სწორედ აქ გაუჩნდება ბზარი, განათლებულის ნიშნით გაუნათლებელი და უსწავლელი ეყოლება, ჩვენი დროის ტემპების შესაბამისად, სულ ათიოდე წელი იქნება საჭირო კრახის წინაშე რომ აღმოვჩნდეთ. და როდესაც ჩვენი ეროვნული ტრადიციები მიუსადაგეს ამ სფეროში საქმოსნობას, ამაზე მეტად საგანგაშო ერს სხვა არც უნდა ჰქონდეს. აუცილებელია სწორად შევხედოთ და შევაფასოთ ეს მოვლენები!

ყოველივე ეს ახე რომ არ ყოფილიყო, მაშინაც ალბათ არც იქნებოდა საჭირო ასეთი პრინციპული ბრძოლა მავნე წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ, არც ასეთი შინაარსის დადგენილების მიღებამდე მივიდოდა, ალბათ, საქმე.

ამიტომ მავნე წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლას, რომელიც ამჟამად რესპუბლიკაში მიმდინარეობს, უნდა განვიხილავდეთ როგორც საერთოდ ნეგატიურ მოვლენებთან წარმოებული ბრძოლის ერთ მნიშვნელოვან ნაწილს.

ეს არის ტრადიციების საკითხის ერთი ასპექტი. მეორე, მასთან დაკავშირებული ასპექტი რომ გავიცნობიეროთ, ასე დავსვათ საკითხი: ეს ყოველივე, რაც ზევით ითქვა, ასე რომ არ ყოფილიყო, განა მაშინ არ უნდა მდგარიყო, მაგალითად, ჩვენი სამეცნიერო საზოგადოების წინაშე ეროვნული ტრადიციების საკითხი?

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდ სამეცნიერო საბჭოზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე ტრადიციების საკითხზე პრინციპული, ღრმა მეცნიერული მსჯელობა გაიმართა. ამ სხდომაზე მეც მქონდა საშუალება გამომეთქვა ჩემი მოსაზრება. თავს ნებას მივცემ აქ გავიმეორო ერთი დებულება: როცა ცხოვრებამ ასე მწვავედ დასვა წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების პრობლემები, ნათლად გამოაშკარავდა, რომ ჩვენს მეცნიერებას აქ მნიშვნელოვანი ხარვეზი ჰქონია. ამ მეტად საჭირო დროს არ აღმოგვაჩნდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი მნიშვნელოვანი სფეროს მეცნიერული სურათი. უფრო კონკრეტულად რომ ითქვას, ჩვენს ქართველოლოგიას აკლია ერთი დარგი — ტრადიციათმცოდნეობა, ეროვნული ტრადიციების ინტერდისციპლინარული ანალიზი, სადაც სოციოლოგთა, სოციალურ-ფსიქოლოგთა, ეთნოგრაფ-ისტორიკოსთა, ეთიკოსთა და სხვათა სისტემური მიდგომით კომპლექსურად იქნებოდა შესწავლილი ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურის ეს მნიშვნელოვანი მხარე. ამის გამოა, რომ დღეს, როდესაც ზევით მითითებული მიზეზების გამო წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების საკითხი ასე მწვავედ დაისვა, ვერ მიგვიმართია მეცნიერული ლიტერატურისთვის, ვერ მიგვიცია რეკომენდაცია მოსახლეობისათვის, გაეცნონ და გაერკვნენ, თუ რა არის მართლაც ხალხის მიერ შექმნილი და მისი კუთვნილება, რა არის მისი დამახინჯება, რომელ წეს-ჩვეულებებში და როგორ ვლინდება ადამიანთა ჯანსაღი ურთიერთობების, ჩვენი სოციალისტური ცხოვრებისათვის მისაღები წესები, რომელშიც კაცთმოყვარეობა, ერთა მეგობრობა, დიდი ჰუმანიზმია მოცემული და პირიქით, რომელ ე. წ. ტრადიციად წოდებულ ბოლო პერიოდში გავრცელებული წესებია სწორედ ამ ჰუმანიზმის საწინააღმდეგო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეცნიერული მუშაობის აღნიშნული ნაკლოვანების გამოა, რომ დღეს გვიჭირს გარკვევა იმისა, თუ ტრადიციებად წოდებული წეს-ჩვეულებებიდან: 1. რომელია ჩვენი ცხოვრებისათვის მისაღები როგორც შინაარსით, ისე ფორმით; 2. რომელია შინაარსით მიუღებელი, მაგრამ გამოვლენის ფორმით ანგარიშგასაწევი; 3. რომელია შინაარსით მისაღები, მაგრამ მახინჯი და მიუღებელი ფორმით წარმოდგენილი; 4. და ბოლოს რომელია როგორც შინაარსით, ისე ფორმით მიუღებელი.

მართალია, ზოგიერთი გამოკვლევა ჩატარებულია, მაგრამ ეს, როგორც მოსალოდნელი იყო, საკმარისი არ აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა ზოგიერთი დასკვნის გაკეთება მაინც მოხერხდა. კერძოდ, მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სოციოლოგიური გამოკვლევის შემდეგი შედეგები, რომ გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა გმობს მავნე წეს-ჩვეულებებს. ზევით იყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ გვაქვს პარადოქსალური მდგომარეობა — ის რაც საზოგადოების წევრების მიერ მიუღებლად არის მიჩნეული, მაინც გავრცელებულია საზოგადოებაში, ის, ვინც იცის რომ ასე არ ვარგა, მაინც იძულებულია ეს წესი დაიცვას.

გამოყენებითი სოციოლოგიის კათედრამ ორჯონიკიძის რაიონის მშრომელებში მოაწყო გამოკითხვა-ინტერვიუირება. რაიონის მოწინავე ადამიანები, მეცნიერები, პარტიული მუშაკები, შრომის მოწინავეები ერთხმად მიიჩნევენ, რომ მიღებულია ძალიან დიდი მნიშვნელობის, მეტად საჭირო და დროული დადგენილება. ამაზე ერთი აზრი აქვს ყველას. აზრთა სხვაობა გამოვლინდა სხვა საკითხებთან დაკავშირებით. კერძოდ, გამოკითხულთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ქელეხები სავსებით უნდა აიკრძალოს, მეორე ნაწილის აზრით ქელეხები, როგორც უბედურებაში მყოფი ოჯახისთვის გვერდში ამოდგომის ფორმა, მისაღები სახით, უნდა შენარჩუნებულ იქნას. გამოკითხულთა უმეტესობა წინააღმდეგია რელიგიური დღესასწაულებისა საერთოდ, სხვები თვლიან, რომ რელიგიურ დღესასწაულების მიმზიდველ ფორმას ჩვენ ჯერ კიდევ ვერ დავუპირისპირეთ ახალი დღესასწაულები, რომლებსაც ასეთივე მიმზიდველობა და მასიურობა ექნებათ.

თუ გამოკითხულები ერთსულოვანნი არიან იმაში, რომ ეროვნულ ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს ჩამოვაშოროთ სიმახინჯე, ანგარება და დავიცვათ საუკეთესო ტრადიციები, როგორც ხალხური, ეროვნული კულტურის ნაწილი, აზრთა სხვაობა იწყება მაშინ, როდესაც საქმე შეეხება იმას, თუ როგორ მივაღწიოთ ამას. გამოკითხულთა ერთი ნაწილი, თვლის რა სავსებით სამართლიანად, რომ ტრადიციების საკითხი მეტად სათუთია, მიიჩნევს — აქ არ შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძლება რაიმე ადმინისტრაციული ჩარევაო, რომ საჭიროა შეგნების ამაღლების გზით, აგიტაციით, პროპაგანდით, ინტელიგენციის პირადი მაგალითით, განსაკუთრებით პედაგოგების მიზანსწრაფული საქმიანობით თანდათანობით მივაღწიოთ სასურველ შედეგს. მშრომელთა მეორე ნაწილი კი აუცილებლად მიიჩნევს იმას, თუ რა არის მისაღები და რა არის დასაგმობი, მახინჯი, მიუღებელი, ეს უნდა დადგინდეს, დაკანონდეს და სათანადო ადმინისტრაციული ჩარევითაც გატარდეს, განხორციელდეს.

უნდა ითქვას, რომ სიმართლის ნაწილი ორივე მხარესაა, რომ მხოლოდ ამ ღონისძიებათა ერთიმეორის შევსებით შეიძლება მხოლოდ გადაწყდეს ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამ ორი მხარიდან რომელიმე დავამციროთ და მეორე გავაზვიადოთ. კონკრეტულად როგორ შეიძლება აქ ადმინისტრაციული ჩარევის განხორციელება აღმზრდელობით-პროპაგანდისტულ მუშაობასთან შეხამებით ეს ცალკე მოითხოვს დეტალურ განხილვას.

დასასრულს ერთი საკითხი მინდა დავსვა: განა სამართლებრივი ნორმების საფუძველი და არსენალი, არსებული მორალური ნორმები, ხალხის მიერ შემუშავებული წესები არ იყო მუდამ? მუდამ კი იმას ნიშნავს, რომ, როდესაც საზოგადოება გრძნობდა საჭიროებას, იგი აკანონებდა იურიდიულადაც ამა თუ იმ წესს, მოქმედების ნორმას, ბუნებრივად გავრცელებულს, აძლევდა მას საჭირო ფარგლებს, მასშტაბს და ა. შ. ხომ არ დადგა დრო ჩვენმა იურისტებმა იფიქრონ ამ საკითხზე და საფუძვლიანად გააზრებული მოსაზრებები წარმოადგინონ?

ვფიქრობ, დადგა ამის დრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უპატრონო ქონების სამართლებრივი რეჟიმი

დ. ხუციშვილი

უპატრონო ქონების ურთიერთობას აწესრიგებს ყველა განვითარებული სამოქალაქო სამართალი, მაგრამ სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციაში ისე წყდებოდა უპატრონო ქონების ბედი, რომ რაც შეიძლება სრულყოფილად გამოეხატა გაბატონებული კლასის ინტერესები. ამ მხრივ საინტერესოა რომის კერძო სამართალი, რომელიც თავისი აბსტრაქტული ხასიათის გამო მისაღებია ყველა ექსპლოატატორული საზოგადოებისათვის უშუალოდ, ან გარკვეული მოდიფიკაციის შემდეგ. ამის ნათელი მაგალითია რომის სამართლის ნაწილობრივი რეცეპცია ინგლისში, საფრანგეთში და უფრო სრული — გერმანიაში.

რომის კერძო სამართლის (პანდექტური სისტემის) მიხედვით occupatio ნივთზე საკუთრების უფლება წარმოიშობა, თუ იგი უპატრონოა. ასეთად კი ითვლება ქონება, რომელსაც არა ჰყავს მესაკუთრე[1]. უპატრონო ქონების მნიშვნელოვან სახეებად მიჩნეულია:

1. Res derelictae, ე. ი. მესაკუთრის მიერ გადაგდებული, მიტოვებული ნივთი, მაგრამ საზღვაო საშიშროებისას გემიდან გადაგდებული ნივთი, გემის შემსუბუქების მიზნით, არ ითვლებოდა უპატრონოდ.

2. ცხოველები, რომლებიც ბუნებრივ თავისუფალ მდგომარეობაში არიან, ე. ი. გარეული ცხოველები. მოშინაურებული ცხოველები, რომის სამართლის მიხედვით, არ შეიძლება მიჩნეულიყო უპატრონოდ. კანონსაწინააღმდეგო მოქმედებაა ასევე სხვის მამულში ცხოველის occupatio.

3. ე. წ. მტრის ნივთები. რომის სამოქალაქო სამართლით მტრული სახელმწიფოს და მათი მოქალაქეების ქონება ექვემდებარებოდა დაუფლებას. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ასეთ უფლებას რომაელები ცნობდნენ თავიანთ მიმართაც. მოწინააღმდეგის მიერ დაუფლებული რომაელების ქონება რომ აღმოჩენილიყო კვლავ რომის სახელმწიფოს ტერიტორიაზე, იგი ძველ მესაკუთრეს აღარ ეკუთვნოდა. ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენდენ ისეთი ნივთები, როგორიცაა — მონები, ცხენები, გემები და ომში გამოსაყენებელი სხვა ნივთები.

რომის კერძო სამართალში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი განძის აღმოჩენასა და მის იურიდიულ შედეგს. პანდექტური სისტემის მიხედვით განძია დამალული ფასიანი ნივთი, რომლის მესაკუთრის დადგენა შეუძლებელია და რისთვისაც ასეთი ნივთი მიჩნეულია უპატრონოდ[2]. განძი, რომელიც ნაპოვნია საკუთარ ტერიტორიაზე (მამულში), ეკუთვნის მის აღმომჩენს; მესაკუთრის ნებადაურთველად სხვის ტერიტორიაზე აღმოჩენილი განძი მთლიანად ეკუთვნის ამ მესაკუთრეს, ხოლო თუ იყო მესაკუთრის ნებართვა ნახევარი ეკუთვნის აღმომჩენს და მეორე ნახევარი — მესაკუთრეს.

---

[1] **Ю. Барон.** «Система Римского гражданского права». С. Петербург, 1908 г., книга третья, стр. 55.

[2] იქვე, გვ. 57.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომის სამართალი ერთმანეთისაგან განასხვავებდა განძის პოვნასა და ნაპოვარს. ნივთის მპოვნელი ნაპოვარზე ვერ მოიპოვებდა საკუთრების უფლებას და ასევე არა ჰქონდა უფლება ნივთის პოვნისათვის სათანადო საზღაურის მიღებისა.

ზემოჩამოთვლილ უპატრონო ქონების უმნიშვნელოვანეს ნივთების გარდა, უპატრონოდ შეიძლებოდა ეცნოთ მიწაც. მაგრამ საინტერესოა, რომ მონა. როგორც ნივთი, არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო უპატრონოდ და ამის შესახებ რომის სამართალში არაერთჯერაა აღნიშნული.

საბჭოთა საზოგადოებაში ყოველგვარ ქონებას, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტს, ჰყავს მესაკუთრე — სუბიექტი, თუმცა შესაძლებელია, რომ ამა თუ იმ იურიდიული ფაქტების ძალით ქონებას დროებით არ აღმოაჩნდეს მესაკუთრე. საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობით ქონების უპატრონო მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთი სასურველი და ბუნებრივი საშუალებაა უპატრონო ქონების სოციალისტურ საკუთრებად გადაქცევა, ე. ი. სახელმწიფო ან საკოლმეურნეო ფონდში ჩარიცხვა. მაგრამ ისმება კითხვა: ვალდებულია თუ არა სახელმწიფო და კოლმეურნეობა, ყველა შემთხვევაში მიიღოს უპატრონო ქონება? ჩვენ, რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს ისეთი ქონება, ნივთი, რომლის შენახვა და მოვლა გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ამ საკითხის ირგვლივ კანონმდებელი ზოგიერთი ქონების შესახებ გარკვეულ მითითებას იძლევა. მაგალითად, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 142-ე მუხლში ნათქვამია, რომ „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომი დაჭერილ პირუტყვს გადასცემს დროებით შესანახად უახლოეს კოლმეურნეობას ან საბჭოთა მეურნეობას, ხოლო მათ ხელმძღვანელებს არა აქვს უფლება უარი თქვან პირუტყვის მიღებაზე“. და თუკი ირაო პირუტყვის დროებითი შენახვა ვალდებულებაა კოლმეურნეობისა თუ საბჭოთა მეურნეობისათვის, უნდა მივიჩნიოთ, რომ იმავე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს არა აქვთ უფლება ასევე უარი განაცხადონ უმეთვალყურეო და ირაო პირუტყვის თავიანთ საკუთრებაში ჩარიცხვაზე.

საბჭოთა სახელმწიფოს პირველ წლებში, როდესაც მწვავედ განვიცდიდით საბინაო ფონდის უკმარისობას, ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები ვალდებულნი იყვნენ ყველა შემთხვევაში ჩაერიცხათ თავიანთ ფონდში ყოველგვარი უპატრონო ნაგებობა. ასე მაგალითად — რუსეთის კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის 1932 წლის 29 მარტის ცირკულიარის შესაბამისად მოქალაქე რომელიც უარს იტყოდა პირადი საკუთრების ნაგებობაზე, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები ვალდებულნი იყვნენ, ყველა შემთხვევაში ჩაერიცხათ ეს ნაგებობა თავიანთ ფონდში.

სხვა უპატრონო ქონების სოციალისტურ საკუთრების ფონდში ჩარიცხვის აუცილებლობის თაობაზე კანონში არაფერია ნათქვამი. მაგრამ, ჩვენი აზრით, არც სახელმწიფო და არც კოლმეურნეობა არ არიან ვალდებული ყველა შემთხვევაში მიიღონ თავიანთ საკუთრებაში უპატრონო ქონება მათი მცირე ეკონომიური ეფექტიანობის გამო. ეს საკითხი თავისებურად წყდებოდა რუსეთის რევოლუციამდელ სამოქალაქო კანონმდებლობით, რომლის მიხედვით უპატრონო სახლი ან სხვა ცალკე ნაგებობა, რომელიც კუთვნილებისამებრ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურვეოდ გადაეცემოდა ცალკეულ უწყებას და აღმოჩნდებოდა იმდენად უვარგისი, რომ ვერ ფარავდა თავის აუცილებელი შენახვის ხარჯებს, უწყების ხელმძღვანელობა განიხილავდა საკითხს ასეთი ნაგებობის საჯაროდ გაყიდვის შესახებ და დაუყოვნებლივ დაიწყებოდა სახლის საჯარო ვაჭრობა. გაყიდვის შედეგად მიღებული ფული ჩაირიცხებოდა ბანკში და თუ ათი წლის განმავლობაში გამოჩნდებოდა მესაკუთრე, შეეძლო ემტკიცებინა თავისი უფლება, ხოლო ათი წლის გასვლის შემდეგ აღნიშნული თანხა თავისი მოგებით ჩაირიცხებოდა ხაზინაში[3].

უპატრონო ქონების რეგულირების პრაქტიკულად სწორი გადაჭრისათვის საჭიროა გამოვარკვიოთ საკითხი, თუ როგორ ქონებას მიიჩნევს კანონმდებელი უპატრონოდ. „სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების“ 32-ე მუხლისა და „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის“ 136-ე მუხლის თანახმად უპატრონოდ ჩაითვლება ქონება, რომელსაც მესაკუთრე არ ჰყავს ან რომლის მესაკუთრე ცნობილი არ არის. კანონმდებლის მიერ ჩამოთვლილი ეს ორი პირობა სრული და ამომწურავია. კანონის მოთხოვნა „რომელსაც მესაკუთრე არ ჰყავს“ ნიშნავს, რომ ქონება მისი მესაკუთრის კანონიერი მფლობელობიდან გამოვიდა პატრონისავე ნებით, ე. ი. მან უარი განაცხადა საკუთრებაზე ან დადგენილ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში არ განახორციელა ნივთზე საკუთრების უფლება. ასეთ შემთხვევაში უნდა დადგინდეს მესაკუთრის ვინაობა, ე. ი. ცნობილი უნდა იყოს მესაკუთრე: ხოლო „რომლის მესაკუთრე ცნობილი არ არის“ ნიშნავს, რომ უცნობია ყოფილი მესაკუთრის ვინაობა ან შეუძლებელია მისი დადგენა. ასეთი მესაკუთრის კანონიერი მფლობელობიდან ნივთი (ქონება) გამოდის მისი ნების გარეშე. მაგალითად, ნაპოვარი, უპატრონო და ირაო პირუტყვი.

აქედან გამომდინარე უპატრონოდ შეიძლება ცნობილი იყოს ქონება, რომლის მესაკუთრე ცნობილია და ეს ქონება მისი კანონიერი მფლობელობიდან გამოვიდა მისივე ნებით ან ქონება რომლის მესაკუთრე უცნობია (შეუძლებელია მისი დადგენა) და მისი მფლობელობიდან ქონება გამოვიდა მისი ნების გარეშე.

როგორც უკვე ითქვა, კანონმდებლის მიერ ქონების უპატრონოდ ცნობისათვის ჩამოთვლილი პირობები ამომწურავია, მაგრამ პრაქტიკაში და სამეცნიერო ლიტერატურაშიც გვხვდება სხვადასხვა შეხედულება იმის შესახებ, ჩაითვლება თუ არა უპატრონოდ ქონება, რომლის მესაკუთრის ადგილსამყოფელი უცნობია, აღიარებულია უკვალოდ დაკარგულად ან გამოცხადებულია გარდაცვლილად?

მოქალაქის ადგილსამყოფელის უცოდინრობა, უკვალოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადება არ არის საფუძველი მათი ქონების უპატრონოდ ცნობისათვის. თუ უცნობია მესაკუთრის ადგილსამყოფელი, დაინტერესებული პირი სასამართლოში შეიტანს განცხადებას მოქალაქის უკვალოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადების მიზნით. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-17 და მე-20 მუხლის შესაბამისად თუ მოქალაქის მუდმივ საცხოვრებელ ადგილას უკანასკნელი ერთი წლის განმავ-

[3] Сводъ законовъ Россійской Имперіи, т. десятый, Сводъ законовъ гражданскихъ, изданіе 1900 г., მუხლი 1163.

ლობაში არ მოიპოვება ცნობები ამ მოქალაქის ადგილსამყოფელის შესახებ, ე. ი. უცნობია მისი ადგილსამყოფელი, სასამართლო წესით შეიძლება, აღიარებულ იქნეს უკვალოდ დაკარგულად; ხოლო თუ ასეთი ცნობები არ მოიპოვება სამი წლის განმავლობაში — შეიძლება გამოცხადებულ იქნეს გარდაცვლილად, რაც მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში სათანადო ცვლილებების შეტანის საფუძველია.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომლითაც მოქალაქე აღიარებულია უკვალოდ დაკარგულად, პრეზუმფცირებულია, რომ უკვალოდ დაკარგული ჯერ კიდევ ცოცხალია. ამიტომ მოქალაქის საკუთრების უფლების უხეში დარღვევა იქნება, თუ დავუშვებთ უკვალოდ დაკარგული მესაკუთრის ქონების უპატრონოდ ცნობის შესაძლებლობას. რაც შეეხება გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონებას — მისი საზოგადოებაში გადანაწილება დასაშვებია, რამდენადაც პირის გარდაცვლილად გამოცხადება სიკვდილის პრეზუმფციაა და მას მოსდევს ყველა ის შედეგი, რაც გათვალისწინებულია პირის სიკვდილის შემთხვევისათვის. გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონება მემკვიდრეობის წესით გადავა მის კანონისმიერ ან ანდერძისმიერ მემკვიდრეებზე. ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ იმ გარდაცვლილისა და გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონება, რომელსაც არა ჰყავს მემკვიდრეები, შეიძლება ცნობილ იქნას უპატრონოდ[4]. ვფიქრობთ, რომ ასეთი მოსაზრება კანონსაწინააღმდეგოა. „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის“ 539-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით თუ კანონისმიერი ან ანდერძისმიერი მემკვიდრეები არ არიან, ან არცერთმა მემკვიდრემ მემკვიდრეობა არ მიიღო, ანდა მეანდერძემ ჩამოართვა მემკვიდრეობა ყველა მემკვიდრეს, გარდაცვლილის ქონება სახელმწიფოს ფონდში გადაირიცხება როგორც სამემკვიდრეო ქონება და არა როგორც უპატრონო ანუ ბეითალმანი. სამემკვიდრეო ქონების სახელმწიფო ფონდში გადარიცხვა, უპატრონო ქონებისაგან განსხვავებით, ხდება სამემკვიდრეო მოწმობის საფუძველზე და არა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. სამემკვიდრეო მოწმობას გასცემს სანოტარო კანტორა შესაბამის საფინანსო ორგანოს („კანონი საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“, მუხ. 54).

უპატრონოდ შეიძლება ცნობილი იქნეს სამოქალაქო ბრუნვაში მოქცეული ყველა ნივთი, რომლის მესაკუთრე ადრე იყო მოქალაქე ან საკოლმეურნეო-კომლი; ხოლო ქონება, რომელიც შეადგენდა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციის საკუთრებას, არ შეიძლება ცნობილი იქნეს უპატრონოდ.

უპატრონოდ ჩაითვლება აგრეთვე ნაპოვარი, უმეთვალყურეო და ირაო პირუტყვი და განძი, რადგან ასეთ ქონებას ან არა ჰყავს მესაკუთრე, ან შე-

---

[4] **Д. М. Чечот**, «Неисковые производства», Москва, 1973 г., стр. 142, «Имущество умершего лица или лица, объявленного умершим, при отсутствии наследников, также может быть признано бесхозяйным».

ასეთივე აზრი აქვს განვითარებული ს. ჯაფარიძეს მონოგრაფიაში „საბინაო კანონმდებლობა“, თბილისი — 1974, გვ. 112, „იმ შემთხვევაში თუ კანონით ან ანდერძით მემკვიდრეები არ არიან ან მათ ყველამ უარი განაცხადეს შენობის მიღებაზე, ან ყველას ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, შენობა, როგორც ბეითალმანი ქონება, გადადის სახელმწიფოს საკუთრებად“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძლებელია მისი დადგენა. ნაპოვარის, უმეთვალყურეო და ირაო პირუტყვის და განძის სახელმწიფო ფონდში ჩარიცხვა ხდება ადმინისტრაციული წესით.

უპატრონო ქონებისაგან მკვეთრად უნდა განვასხვავოთ მოუვლელი საცხოვრებელი სახლი ან სხვა რაიმე კულტურული ფასეულობა (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 137-ე, 138-ე მუხ.). თუ მოქალაქე არ უვლის სახლს, რომელიც მას ეკუთვნის და არაფრად მიიჩნევს მის ნგრევას ან არ უვლის თავის ქონებას, რომელსაც საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ისტორიული, მხატვრული ან სხვა ღირებულება აქვს და ეს ქონება ფუჭდება, დაინტერესებული სახელმწიფო ორგანიზაციების სარჩელით სასამართლოს შეუძლია პირს ჩამოართვას ეს ქონება და გადასცეს სახელმწიფოს. აქედან გამომდინარე უპატრონო და მოუვლელი ქონების ძირითადი განმასხვავებელი ნიშნებია: 1. უპატრონო ქონებისაგან განსხვავებით მოუვლელ ქონებას ჰყავს მესაკუთრე, რომელიც ჯეროვნად არ უვლის თავის ქონებას და არაფრად მიიჩნევს მის ნგრევას, რაც წარმოადგენს ასეთი ქონების სახელმწიფო ფონდში ჩარიცხვის საფუძველს, 2. აღნიშნულ ქონებათა რეგულირების წესი. როგორც დავინახავთ უპატრონო ქონების რეგულირება ხდება ორი გზით — ადმინისტრაციული და სასამართლო განსაკუთრებული წარმოების საშუალებით, ხოლო მოუვლელი ქონების სახელმწიფო ფონდში ჩარიცხვის ერთადერთი საშუალებაა — სასარჩელო წარმოება.

უპატრონო ქონება, მისი რეგულირების წესის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა: 1. როცა უპატრონო ქონების სამართლებრივი მოწესრიგება ხდება სასამართლოს მიერ განსაკუთრებული წარმოების გზით და 2. როცა უპატრონო ქონების სამართლებრივი მოწესრიგება ხდება ადმინისტრაციული წესით. ასევეა მოწესრიგებული უპატრონო ქონება სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობითაც. გამონაკლისია მხოლოდ უკრაინის სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი, რომლისთვისაც უცხოა უპატრონო ქონების სასამართლო წარმოება. უკრაინის სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 136-ე მუხლის თანახმად უპატრონო ქონება სახელმწიფო ფონდში გადაირიცხება რაიონის, ქალაქის საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომები გადაწყვეტილებას გამოიტანენ საფინანსო ორგანოს ან კოლმეურნეობის განცხადებით.

უპატრონო ქონება, რომელთა მოწესრიგება ადმინისტრაციული წესით არის გათვალისწინებული, კანონმდებლის მიერ ამომწურავად არის ჩამოთვლილი და მისი გაფართოება არ შეიძლება. ადმინისტრაციული წესით მოწესრიგდება ისეთი უპატრონო ქონება (ნივთი) როგორიცაა ნაპოვარი (139-ე მუხ.); უმეთვალყურეო და ირაო პირუტყვი (142-ე მუხ.); და განძი (143-ე მუხ.).

ნაპოვარი ეწოდება ნივთს ან ფულს, რომელიც მისი მესაკუთრის ან სხვა პირის კანონიერი მფლობელობიდან გამოვიდა მათი ნების გარეშე და იპოვა პირმა, რომელსაც საკუთრების არავითარი უფლება არ გააჩნდა ამ ნივთზე. იმ შემთხვევაში თუ შესაძლებელია დამკარგველი პირის ვინაობის დადგენა, მპოვნელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ და დაუბრუნოს მას ნაპოვარი ან ჩააბაროს ის მილიციას (იმ შემთხვევაში თუ ქონება ნაპოვნია ქალაქად ან ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტში), ან სოფლის საბჭოს (თუ ქონება ნაპოვნია სოფლად), ხოლო თუ ნივთი ნაპოვნია წარმოება-დაწესებულებაში ან ტრანსპორტზე — სათანადო ორგანიზაციის ადმინის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრაციას. მპოვნელს უფლება აქვს ზემოდჩამოთვლილ ვალდებულებებიდან შეასრულოს ერთერთი თავისი სურვილის მიხედვით.

დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის ადმინისტრაცია, რომელსაც ნაპოვნი ნივთი გადაეცა, თუ ორი კვირის განმავლობაში დაკარგული ნივთის პატრონი არ აღმოჩნდა, ნაპოვარს აბარებს მილიციას ან სასოფლო საბჭოს აღმასკომს, ხოლო სატრანსპორტო ორგანიზაციები ინახავენ და ახდენენ მის რეალიზაციას ტრანსპორტზე მომქმედი წესების თანახმად. მილიცია, სასოფლო საბჭოს აღმასკომი და სატრანსპორტო ორგანიზაცია ვალდებულია, ჩაბარებული ნაპოვარი შეინახოს ექვსი თვის განმავლობაში. აღნიშნული ვადა გამოითვლება მათთვის ნაპოვარის ჩაბარების დღიდან. თუ აღნიშნული ვადის განმავლობაში არ აღმოჩნდება დამკარგველი, ნაპოვარი უსასყიდლოდ გადადის სახელმწიფოს საკუთრებად და მას შემდეგ რაც ქონება ჩაირიცხება სახელმწიფოს საკუთრებად, მესაკუთრეს უფლება აღარა აქვს მოითხოვოს ნივთის დაბრუნება ან მისი ფულადი კომპენსაცია.

დაკარგული ნივთის მპოვნელისათვის სპეციალური საზღაურის გადახდა კომუნისტური მორალის თვალსაზრისით მიუღებელია, ამიტომ კანონით გათვალისწინებულია მპოვნელისათვის მხოლოდ იმ ხარჯების ანაზღაურება, რაც დაკავშირებულია ნივთის შენახვასა და ჩაბარებასთან. იმ შემთხვევაში თუ ნივთი დაუბრუნდა პატრონს, აღნიშნული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებაც მას დაეკისრება, წინააღმდეგ შემთხვევაში — სათანადო სახელმწიფო ორგანიზაციას.

განძი დამალული ფასეულობაა (ფული ან ძვირფასი საგნები), რომლის მესაკუთრის დადგენა შეუძლებელია, ან ცნობილია მესაკუთრე, რომელმაც კანონის ძალით დაკარგა მათზე უფლება. განძის გადამალვა შესაძლებელია სხვადასხვა საშუალებით — მიწაში ჩაფლობა, კედელში სპეციალური სამალავის გაკეთება და სხვ. განძად არ შეიძლება ჩაითვალოს ყოველგვარი გადამალული ქონება. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 143-ე მუხლით განძად მიჩნეულია ფული (ოქროსა და ვერცხლის მონეტები, საბჭოთა და უცხოეთის ვალუტა) ან ძვირფასი საგნები (ძვირფასი თვალი და მარგალიტი, ძვირფასი ლითონი ზოდის ნაკეთობისა თუ ჯართის სახით) და ბოლოს — განძი არ არის ყოველგვარი გადამალული ქონება, არამედ მხოლოდ ისეთი, რომლის მესაკუთრის დადგენა შეუძლებელია ან მესაკუთრემ კანონის ძალით დაკარგა მათზე უფლება. ზემოდჩამოთვლილი თუნდაც ერთი ნიშნის არ არსებობისას არ შეიძლება ქონება ჩაითვალოს განძად.

განძი სახელმწიფოს საკუთრებად გადადის მისი აღმოჩენისთანავე და იგი აღმომჩენმა უნდა ჩააბაროს ადგილობრივ საფინანსო ორგანოს. განძის აღმომჩენ პირს, რომელმაც თავისი ნებით ჩააბარა იგი საფინანსო ორგანოს, მიეცემა ჯილდო ჩაბარებულ ფასეულობათა ღირებულების 25 პროცენტის ოდენობით, თუ ასეთი სამუშაოები არ შედიოდა მის სამსახურებრივ მოვალეობაში. ჯილდოს მიცემასა და მის გაანგარიშებასთან დაკავშირებული ყოველი დავა, როგორც სამოქალაქო უფლებრივი დავა, ექვემდებარება სასამართლო განხილვას.

პირუტყვი, რომელიც მისი მესაკუთრის ან სხვა პირის კანონიერი მფლობელობიდან გამოვიდა მისი ნების გარეშე, შეიძლება აღმოჩნდეს ირაო ან უმეთვალყურეო მდგომარეობაში. ირაოდ ითვლება პირუტყვი, რომელიც მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჭერის მომენტში იმყოფებოდა სხვა პირის მეურნეობაში (მაგალითად დაკარგული ცხვარი ან ძროხა გაერია კოლმეურნეობის ან საბჭოთა მეურნეობის ფარაში, ჯოგში), ხოლო უმეთვალყურეო პირუტყვი, ირაოსაგან განსხვავებით, დაჭერის მომენტში სხვა პირის მეურნეობაში არ არის, ე .ი. მოხეტიალე მდგომარეობაშია.

უმეთვალყურეო და ირაო პირუტყვის სამართლებრივი რეჟიმი განსაზღვრულია სამოქალაქო სამართლის კოდექსის 142-ე მუხლით, რომლის მიხედვითაც ორგანიზაცია თუ მოქალაქე, რომელიც დაიჭერს ასეთ პირუტყვს, ვალდებულია დაუყოვნებლივ ჩააბაროს იგი მესაკუთრეს, ხოლო თუ ცნობილი არ არის მესაკუთრე, სამი დღის ვადაში აცნობოს სასოფლო საბჭოს აღმასკომს. სასოფლო საბჭოს აღმასკომი თავის მხრივ ღებულობს ღონისძიებას, რათა მილიციის ორგანოს მეშვეობით მოძებნოს პირუტყვის მესაკუთრე. მესაკუთრის ძებნის პერიოდში აღმასკომი უმეთვალყურეო და ირაო პირუტყვს დროებით შესანახად გადასცემს უახლოეს კოლმეურნეობას ან საბჭოთა მეურნეობას.

თუ პირუტყვის მესაკუთრე აღმოჩნდა 142-ე მუხლის მე-4 ნაწილში აღნიშნულ ვადაში, პირუტყვი უბრუნდება მესაკუთრეს სათანადო მეურნეობისათვის შესანახავი ხარჯების ანაზღაურებით, ოღონდ გამოექვითება შემოსავალი, რაც მეურნეობამ პირუტყვის გამოყენებით მიიღო. ვადები გამოითვლება პირუტყვის კოლმეურნეობისათვის ან საბჭოთა მეურნეობისათვის გადაცემის დღიდან.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 142-ე მუხლის მე-4 ნაწილში მითითებულ ვადაში თუ არ აღმოჩნდება პირუტყვის მესაკუთრე, იგი კარგავს საკუთრების უფლებას. პირუტყვი გადადის იმ კოლმეურნეობის ან საბჭოთა მეურნეობის საკუთრებად, რომელსაც გადაცემული ჰქონდა პირუტყვი დროებით შესანახად.

უპატრონო ქონების სახელმწიფო თუ კოლმეურნეობის ფონდში ჩარიცხვის მეორე საშუალებაა სასამართლო წარმოება. სასამართლო განხილვას ექვემდებარება ყველა უპატრონო ქონება, გარდა ნაპოვარისა, უმეთვალყურეო და ირაო პირუტყვისა და განძისა. ქონების უპატრონოდ ცნობასა და სოციალისტურ საკუთრებად ჩარიცხვას სასამართლო წყვეტს განსაკუთრებული წარმოების წესით; მაგრამ საქმის სასამართლო განხილვას წინ უძღვის მთელი რიგი ადმინისტრაციული მოქმედება, რომელთა შეუსრულებლობა უფლებას უსპობს დაინტერესებულ პირს განცხადებით მიმართოს სასამართლოს ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ. ასეთი მოქმედებებია უპატრონო ქონების გამოვლინება და აღრიცხვა.

უპატრონო ქონებას ავლენს და აღრიცხავს საფინანსო ორგანო, ხოლო ქონება რომელიც ეკუთვნოდა საკოლმეურნეო კომლს გამოავლენს და აღრიცხავს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომი, იმავე წესით როგორც საფინანსო ორგანოები.

წარმოება-დაწესებულებები, ორგანიზაციები, პირები, რომელთა მფლობელობაშიც აღმოჩნდება უპატრონო ქონება ან ცნობილი გახდება მათთვის ასეთი ქონების არსებობა, ვალდებულნი არიან 5 დღის ვადაში მისი გამოვლინებიდან აცნობონ სათანადო საფინანსო ორგანოს. (დებულება უპატრონო ქო-

ნების აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ, დამტკიცებული სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ 1943 წლის 17 აპრილს).

საფინანსო ორგანო თუ სასოფლო საბჭოს აღმასკომი უპატრონო ქონებას გამოავლენს თავისი ინიციატივით ან წარმოება-დაწესებულებების ორგანიზაციებისა და მოქალაქეების შეტყობინების საფუძველზე, რის შემდეგაც ისინი ვალდებულნი არიან შეადგინონ აქტი ქონების აღწერის შესახებ ქონების სახეობისა და ღირებულების აღნიშვნით. აღწერილი ქონება საფინანსო ორგანოებმა ან სასოფლო საბჭოს აღმასკომებმა, შესაბამისად მათი უფლებებისა, აღრიცხვაზე უნდა აიყვანონ და შესანახავად ჩააბარონ მოქალაქეს ან სათანადო ორგანიზაციას.

„საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის“ 136-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად განცხადებას ქონების უპატრონოდ ცნობისა და მისი სახელმწიფო საკუთრებად ჩარიცხვის შესახებ დაინტერესებული პირი შეიტანს ქონების აღრიცხვაზე აყვანის დღიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ. თუ ქონების აღრიცხვაზე აყვანიდან ერთი წლის განმავლობაში გამოჩნდება მესაკუთრე, გამომდინარე იქიდან თუ ვისა აქვს ქონება აღრიცხული — საფინანსო ორგანოს თუ სასოფლო საბჭოს აღმასკომს — მათი სათანადო მითითების საფუძველზე ქონება დაუბრუნდება მესაკუთრეს იმ ხარჯების ანაზღაურების შემდეგ, რაც გაწეული იყო მის შენახვაზე. ამიტომ სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ ქონების აღრიცხვიდან ერთი წლის გასვლამდე არ არსებობს უფლება საქმის აღძვრისათვის.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 289-ე მუხლის თანახმად ქონების უპატრონოდ ცნობისათვის სასამართლოში განცხადების შეტანის უფლება აქვთ — მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომს, საფინანსო ორგანოსა და კოლმეურნეობას; ხოლო სამოქალაქო სამართლის კოდექსის 136-ე მუხლით საბჭოს აღმასკომებს ასეთი უფლება არა აქვთ მინიჭებული. ამრიგად ამ შემთხვევაში ადგილი აქვს კანონის კოლიზიას, ე. ი. ერთი და იგივე საკითხი მოწესრიგებულია ორი კანონით, რომლებიც შინაარსით არ შეესაბამება ერთმანეთს და სხვადასხვანაირად წყვეტს აღნიშნულ საკითხს. კოლიზიის შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიეცეს იმ ნორმას, რომელიც მიღებულია ზემდგომი სახელმწიფო ორგანოს მიერ და თუ ორივე კანონი მიღებულია ერთი და იგივე ორგანოს მიერ, უპირატესობა უნდა მიენიჭოს მას, რომელიც უფრო გვიანაა მიღებული; მაგრამ რადგანაც ორივე ნორმა მიღებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 1964 წლის 26 დეკემბერს, ხოლო პრაქტიკულად მსგავსი საქმეების განხილვის საბაბს ძირითადად წარმოადგენს აღმასკომების განცხადებები, მიგვაჩნია, რომ საპროცესო კოდექსის 289-ე მუხლი უფრო ზუსტად გამოხატავს მიმდინარე პერიოდში ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკას და მის შესაბამისობაში უნდა მოვიდეს საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 136-ე მუხლი.

სასამართლო განსჯადობის მიხედვით კომპეტენტურმა ორგანოებმა განცხადება უნდა შეიტანონ ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით. განცხადებაში უნდა აღინიშნოს თუ რომელი ქონება იქნას ცნობილი უპატრონოდ და ასევე მტკიცებულებანი, რომლებიც დაადასტურებენ ქონების მესაკუთრის დადგენის შეუძლებლობას.

განცხადების მიღების შემდეგ მოსამართლე საქმის სასამართლო გარჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისათვის გამოიკვლევს თუ ვის შეუძლია მიაწოდოს ცნობები ქონების მესაკუთრის ვინაობის შესახებ. ამ მიზნით გამოითხოვს წერილობით და ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთებს სათანადო ორგანოებიდან.

თუ სამსჯავრო გამოძიებით სასამართლო სცნობს, რომ ქონებას არ ჰყავს მესაკუთრე ან მესაკუთრე არ არის ცნობილი, გამოიტანს გადაწყვეტილებას ქონების უპატრონოდ ცნობისა და სახელმწიფოს ან კოლმეურნეობის საკუთრებად გადაცემის შესახებ. კოლმეურნეობას საკუთრებად გადაეცემა ის ქონება, რომელიც ეკუთვნოდა საკოლმეურნეო კომლს. ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ქონება ითვლება სოციალისტურ (სახელმწიფოს ან კოლმეურნეობის) საკუთრებად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქონების უპატრონოდ ცნობისა და სოციალისტურ საკუთრებად გადაცემის საკითხს სასამართლო განიხილავს განსაკუთრებული წარმოების წესით სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე და 32-ე თავების შესაბამისად, რომლის დროსაც არ არსებობს მხარეები — მოსარჩელე და მოპასუხე — და არ არსებობს უფლებრივი დავა. ამიტომ ისმება კითხვა, როგორ მოვიქცეთ, თუ განსაკუთრებული წარმოების წესით საქმის განხილვისას აღიძვრება დავა ამ ნივთის (ქონების) საკუთრების უფლების შესახებ? ასეთ პირობებში სასამართლომ განუხილველად უნდა დატოვოს განცხადება და განუმარტოს დაინტერესებულ პირებს, რომ მათ უფლება აქვთ წარმოადგინონ სარჩელი საერთო საფუძველზე (სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 255-ე მუხლი); რის შემდეგაც დაინტერესებული პირი სასარჩელო წესით მოითხოვს აღრიცხვაზე აყვანილ ქონებაზე საკუთრების უფლების ცნობას (სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი) და აღნიშნული ქონების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვას (ვინდიკაცია). თუ სასამართლო დავის საგანს არ სცნობს მოსარჩელის საკუთრებად, საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის შესაბამისად საფინანსო ორგანოს, აღმასკომს თუ კოლმეურნეობას აქვთ უფლება კვლავ შეიტანოს განცხადება სასამართლოში ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ.

„საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სავალდებულობა არ უსპობს დაინტერესებულ პირს უფლებას, მიმართოს სასამართლოს იმ უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების დასაცავად, რომელთა შესახებ დავა სასამართლოს არ განუხილავს და არ გადაუწყვეტია. ამიტომ თუ იმ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, რომლითაც ქონება გადაეცა სახელმწიფოს, გამოჩნდება მისი ყოფილი მესაკუთრე, აღნიშნული მუხლის საფუძველზე მას უფლება აქვს ჩვეულებრივი სასარჩელო წესით მიმართოს სასამართლოს სადავო ქონებაზე საკუთრების უფლების ცნობისა და ქონების უკან დაბრუნების შესახებ. მოპასუხედ გამოვა ის ორგანიზაცია, რომელსაც გადაეცა საკუთრებად უპატრონო ქონება. სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება გახდება საფუძველი, რომ განსაკუთრებული წარმოების დროს გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მივიჩნიოთ ძალადაკარგულად და ამდენადაც მისი ზედამხედველობის ან ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო გაუქმების არავითარი საფუძველი არ არსებობს. სარჩელის დაუკმაყოფილებლობის შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხვევაში გადაწყვეტილება, რომლითაც უპატრონოდაა ცნობილი ქონება, განაგრძობს მოქმედებას. მიგვაჩნია, რომ ს. აბრამოვის შეხედულება იმის შესახებ, რომ სარჩელის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ხელახლა უნდა იქნეს გამოტანილი ან აღდგენილი გადაწყვეტილება ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ არასწორია, რამდენადაც გადაწყვეტილება არ ყოფილა გაუქმებული[5].

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ რამდენადაც ქონების უპატრონოდ ცნობის საქმის წარმოებისას არ მონაწილეობენ მხარეები, გადაწყვეტილების აღსრულება უპატრონო ქონების სახელმწიფოს ან კოლმეურნეობის ფონდში ჩარიცხვის ნაწილში შესაძლებელია გადაწყვეტილების ასლის საფუძველზე და აღსრულებო ფურცლის გაცემა არ არის აუცილებელი.

---

[5] «Советская юстиция», 1965 г. № 20, **С. Абрамов**, «Признание имущества бесхозяйным», стр. 15.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქცევის დეტერმინისტული კონცეფცია—დანაშაულთა თავიდან აცილების მეთოდოლოგიური საფუძველი

გ. ნაჭყებია

დანაშაულებრივი ქცევის თანმიმდევრული დეტერმინისტული კონცეფციის პრაქტიკული მნიშვნელობის ჩვენებას შევეცდებით სასჯელის დეტერმინისტული დაფუძნებისა და ინდივიდუალური დანაშაულებრივი ქცევის პროგნოზირების ასპექტით.

საბჭოთა სისხლის სამართალში არ არის სადავო, რომ სასჯელის მოტივაციური ზეგავლენის დასაბუთება დანაშაულებრივი ქცევის დეტერმინისტული კონცეფციის საფუძველზეა შესაძლებელი. მართლაც, სოციალური ნორმები, ღირებულებანი, მათ შორის, ჯილდო და სასჯელი, ადამიანის ქცევაზე მხოლოდ მაშინ მოახდენენ ზეგავლენას, თუ ადამიანთა ქცევა არაა წმინდა შემთხვევითობა არა მარტო ინდეტერმინისტული თვითნებობის აზრით და არა მარტო ქცევის საკუთარი საფუძვლის — მიზეზისა და მოტივის მიმართ, არამედ მთლიანი პიროვნების მსოფლმხედველობრივი პოზიციის მიმართაც. მაშასადამე, სასჯელის მოტივაციური ზეგავლენის დასაბუთება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ადამიანთა ქცევა რაღაცნაირი აუცილებლობაა. მაგრამ რამდენადაც მორალური და სამართლებრივი შერაცხვის წანამძღვრად მიიჩნიათ ადამიანის შესაძლებლობა მოიქცეს სხვაგვარად, ვიდრე იგი იქცეოდა მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, გამოდის, რომ ბრალეული პასუხისმგებლობის დასაბუთება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ადამიანის ქცევა მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში რაღაცნაირად აუცილებელი არაა. მაშასადამე, ბრალეული პასუხისმგებლობის დასაბუთების ეს მეთოდოლოგიური პრინციპი და სასჯელის მოტივაციური ზეგავლენის დასაბუთების დეტერმინისტული პრინციპი გამორიცხავენ ერთმანეთს.

საბჭოთა სისხლის სამართალში აგრეთვე არ არის საეჭვო, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთადერთ და საკმარის საფუძველს დანაშაულის შემადგენლობა წარმოადგენს. ამ დებულების აბსოლუტიცაზიას ერთგვარ ტავტოლოგიურ ვითარებამდე მივყევართ. სახელდობრ, დანაშაულის შემადგენლობა იურიდიული წარმონაქმნია. მაგრამ თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთადერთი საფუძველია დანაშაულის შემადგენლობა, გამოდის, რომ იურიდიული პასუხისმგებლობის ეს სახე თვით იურიდიული წარმონაქმნით ანუ თავისივე თავით განისაზღვრება.

მართალია, დანაშაულის შემადგენლობის კონსტიტუციურ ნიშნებში შერაცხადობის ნიშანიც იგულისხმება, მაგრამ პასუხისმგებლობასა და სასჯელზე სახელმწიფოს უფლება, ამ ინსტიტუტების არსი და მიზანი შეუძლებელია დანაშაულის შემადგენლობის საფუძველზე გავიაზროთ.

ჩვენი აზრით, დაყენებული საკითხების მართებული გადაჭრა ადამიანისა და მისი თავისუფლების ფილოსოფიური კონცეფციის საფუძველზეა შესაძლებელი.

ადამიანი არის რაღაც იმაზე მეტიც, ვიდრე გენეტიკური და სოციალური მემკვიდრეობა. მართალია, ადამიანი ამ მემკვიდრეობებს ვერ გადაარჩენს, მაგრამ ადამიანის არსებითი თავისებურებაა მისი უნარი ერთგვარი თვითაღზრდის მეოხებით დაგმოს თავისი ცუდი წარსული, ხოლო მომავლის ინტერესების მიხედვით შეცვალოს აწმყოსადმი მიმართება. ეს შესაძლებელია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ დამნაშავის წარსულ ისტორიაში ყველაფერი დანაშაულებრივი როდია. მეორეც, ადამიანს უნარი აქვს მოიქცეს შორეული მოტივაციის საფუძველზე. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაჯილდოებისა და დასჯის მ ო ლ ო დ ი ნ ი მას შესაძლებლობას აძლევს უარი უთხრას მომენტის მოთხოვნილებას და ქცევა უფრო მაღალ იდეურ პრინციპს დაუქვემდებაროს. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაში პასუხისმგებლობის გამართლების საფუძვლად ეს მომენტია მიჩნეული. „...ადამიანთა ქცევები განისაზღვრებიან არა მარტო აქტუალური სიტუაციებითა და აქტუალური მოთხოვნილებებით, — წერს ო. ჯიოევი, — არამედ იდეალური სიტუაციებითა და იდეალური ღირებულებებითაც. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი მოწონებაც და დაწუნებაც ქმნიან გარკვეულ იდეურ სიტუაციას, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს დაჯილდოებული და მსჯავრდებული ან სხვა ადამიანთა ქცევაზე“[1].

მაგრამ მოწონება და დაწუნება, ჯილდო და სასჯელი არ წარმოადგენენ მხოლოდ პედაგოგიურ ღონისძიებებს, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. როგორც მართებულად მიუთითებს პროფ. თ. წერეთელი, „სწორედ იმის გამო, რომ სუბიექტს აქვს უნარი არ დაემორჩილოს უშუალო სიტუაციას და ასწონ-დასწონოს თავისი მოქმედების მოტივები, ნებისყოფის აქტი მთელი პიროვნების გამოვლინებას წარმოადგენს. და სწორედ ეს გარემოება ამართლებს სასჯელს, რომელიც მთელ პიროვნებას შეეხება და არა მის ერთ-ერთ ფუნქციას ან უნარს“[2].

პროფ. თ. წერეთელის ამ დებულებიდან ნათლად გამომდინარეობს, ჯერ ერთი, ის, რომ ნებისყოფის თავისუფლება როდია საკუთრივ ნებისყოფის, რაღაც ფსიქიკური უნარის თავისუფლება, არამედ მთლიანი პიროვნების გამოვლინებაა. მეორეც, დებულება, რომ „ნებისყოფის აქტი მთელი პიროვნების გამოვლინებაა“, ასაბუთებს მოქმედების აუცილებლობის ლენინურ იდეას. და, ბოლოს, სასჯელს ამართლებს არა მხოლოდ მოტივაციური ზეგავლენა, არამედ — თავისუფლებაც.

მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოწონება და დაწუნება, ჯილდო და სასჯელი ორმაგი ფუნქციით ვლინდებიან. ერთის მხრივ, ისინი, როგორც წესი, დამსახურებასა და ბრალზე მიუთითებენ, ხოლო მეორის მხრივ — ზემოქმედების მეთოდებზე. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ნაგულისხმევია რაღაც საერთო — იდეალური სიტუაციებისა და იდეალური ღირებულებების მიხედვით მოქმედების უნარი — თავისუფლება. მაგრამ ნებისყოფის თავისუფლება როდია მხოლოდ საქმის ცოდნით გადაწყვეტილების მიღების უნარი, არამედ კონკრეტული ქცევის აუცილებლობის თავისუფლად მართვის უნარიც, რის გამოც ნებისყოფის თავისუფლება შეიძლება განვმარტოთ

---

[1] **О. Джиоев**, Природа исторической необходимости, Тбилиси, 1967, стр. 58.

[2] თ. წერეთელი, აუცილებლობისა და თავისუფლების დიალექტიკა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთება, „მნათობი“, 1955, № 10, გვ. 183.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც თავისუფლებისა და აუცილებლობის ინდივიდუალური ფორმა. მართლაც, მარქსისტული ფილოსოფიის, როგორც ფილოსოფიის ძირითადი საკითხის მატერიალისტური გადაჭრისა და განვითარების დიალექტიკური კონცეფციის მსოფლმხედველობრივი ერთიანობის, საფუძველზე ნათელი უნდა იყოს, რომ ადამიანის მოქმედების აუცილებლობა სრულიად თავისებური აუცილებლობაა, რომელიც მატერიალურისა და იდეალურის, სოციალურისა და ფსიქიკურის მიმართების თვისებრივად ახალ საფეხურზეა წარმოქმნილი.

ამრიგად, ნებისყოფის თავისუფლების გაუთვალისწინებლად დაჯილდოება და დასჯის ღონისძიება მოკლებული იქნებოდა მორალურ საფუძველს, ხოლო ამ ღონისძიებათა პედაგოგიური საზრისიც ფიქცია იქნებოდა, რომ ადამიანს არ ჰქონდეს უნარი ნებისყოფის თავისუფლებიდან თავისუფლების უფრო მაღალ ფორმაში გადავიდეს. მართალია, დამსახურების დაჯილდოება იმის მაჩვენებელია, რომ პიროვნება როგორღაც ამაღლებულია ზნეობრივ თავისუფლებამდე, მაგრამ საზოგადოებრივ პროგრესში ზნეობრივი პროგრესის როლიც აშკარაა, ხოლო ბრალი, პირიქით, გასაკიცხაობაზე მიუთითებს იმიტომ, რომ სუბიექტმა ნებისყოფის თავისუფლება ზნეობრივი თავისუფლების საწინააღმდეგოდ წარმართა. მაშასადამე, დაჯილდოებისა და დასჯის მორალური უფლება ნებისყოფის თავისუფლებიდან თავისუფლების უფრო მაღალ ფორმაში ადამიანის გადაყვანის მიზანშია. ეს დებულება საშუალებას გვაძლევს გადავსინჯოთ საბჭოთა სისხლის სამართალში სასჯელის მიზნების შესახებ დღემდე არსებული პრინციპული კამათის საფუძველი. მაგრამ ვიდრე ამ საკითხს შევეხებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ყალბია ბურჟუაზიულ კრიმინალისტთა შეხედულება, თითქოს სასჯელზე სახელმწიფოს უფლების საფუძველს აბსოლუტური თავისუფლება (ინდეტერმინიზმი) ან საზოგადოების დაცვის აუცილებლობა (დეტერმინიზმი) შეადგენს. პირველი აშკარად ეწინააღმდეგება დეტერმინიზმის დიალექტიკურ კონცეფციას, ხოლო მეორე — ამასთან ერთად, ადამიანის, როგორც მიზნის ღრმა ეთიკურ პრინციპებს. სასჯელი უეჭველად იცავს საზოგადოებას, მაგრამ ბრალის მომენტის გარეშე სასჯელის გამართლება არა მარტო ადამიანის გამოყენებაა საზოგადოების დაცვის საშუალებად, არამედ უაღრესად საშიში პოლიტიკური დასკვნების საფუძველიც: საზოგადოების დაცვის აუცილებლობაზე მითითებით ადვილად შეიძლება კლასობრივი მოწინააღმდეგის დასჯის გამართლება ბრალის გარეშეც.

ამრიგად, ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში ინდეტერმინიზმისა და დეტერმინიზმის დაპირისპირების მიუხედავად, მათი კლასობრივი მიზნების ერთიანობა ეჭვს გარეშეა: ინდეტერმინიზმი ადამიანის ნებისყოფის თავისუფლების აბსოლუტიზაციის გზით ჩქმალავს საზოგადოების ანტაგონიზმს; ხოლო დეტერმინიზმი — დეტერმინიზმის „ბუნებისმეტყველური“ ინტერპრეტაციით, გვერდს უვლის სოციალური დეტერმინიზმის პრინციპებს, რითაც ინდეტერმინიზმის მიზანს ამართლებს. ეს არის ბურჟუაზიული სისხლის სამართლის კლასობრივი დანიშნულება.

ნათელი უნდა იყოს, რომ სოციალიზმის პირობებში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არსი და მიზანი სულ სხვა საფუძველზე უნდა გავიაზროთ.

საბჭოთა სისხლის სამართალში სასჯელის მიზნების შესახებ პრინციპული კამათის დროს რატომღაც არ არის გათვალისწინებული, რომ სოციალიზმის პირობებში ადამიანი მიზანია და არა საშუალება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ სოციალიზმი იძლევა იმის საფუძველს, რომ ადამიანის, როგორც მიზნის ღრმა ეთიკური პრინციპი სასჯელის მიზნებთან ორგანულად იქნეს შეხამებული. საკმარისია ამ მხრივ გავიხსენოთ კანტის წინააღმდეგობა, რომ საკითხი ნათელი გახდეს. მართლაც, ცნობილია, რომ კანტის ეთიკურ კონცეფციაში ადამიანი მიზანია და არასოდეს მხოლოდ საშუალება. აქედან კანტმა გააკეთა დასკვნა, რომ სასჯელი არ შეიძლება განხილული იქნეს როგორც სხვა რაიმე სიკეთეზე ზემოქმედების საშუალება: სასჯელი დამნაშავეს იმიტომ ეკისრება, რომ მან დანაშაული ჩაიდინა, რადგან ადამიანი არ შეიძლება მხოლოდ რაიმე მიზნის საშუალება იყოს[3]. აქედან წარმოსდგება კანტის მოძღვრება, სამაგიეროს მიზღვის, სიკვდილით დასჯისა და, საერთოდ, სასჯელის აბსოლუტურობის შესახებ. ამრიგად, იმ პრინციპული მნიშვნელობის დებულებიდან, რომ ადამიანი მიზანია და არასოდეს მხოლოდ საშუალება, კანტმა მიუღებელი დასკვნა გააკეთა. მაგრამ ეს იყო არა მარტო კანტის, არამედ მისი ეპოქის წინააღმდეგობაც. ამიტომ უხეში შეცდომა იქნებოდა იმის თქმა, რომ სასჯელზე კანტის მოძღვრება მხოლოდ ინდეტერმინისტული პრინციპებით აიხსნება. კანტი ინდეტერმინისტიც არის და დეტერმინისტიც, მაგრამ სამაგიეროს მიზღვის ინდეტერმინისტული თეორიისაგან კანტის მოძღვრების არსებით განმასხვავებელ ნიშანს შეადგენს დებულება, რომ ადამიანი მიზანია და არასოდეს მხოლოდ საშუალება. ამ მომენტს თავის დროზე ყურადღება არ მიაქცია მ. დ. შარგოროდსკიმ, რის გამოც მან კანტის თეორია, ამ პროგრესული მომენტის უგულვებელყოფის გზით, მთლიანად რეაქციელ თეორიად გამოაცხადა[4].

ჩვენი აზრით, დებულება, რომ ადამიანი მიზანია და არა საშუალება, პირდაპირ ეთანხმება დებულებას, რომ სასჯელზე სახელმწიფოს უფლება ნებისყოფის თავისუფლებიდან თავისუფლების უფრო მაღალ ფორმაში ადამიანის გადაყვანის მიზანშია. ამით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ სასჯელი საზოგადოდ რეაგირებაა ბრალეულ მოქმედებაზე, მაგრამ ამ რეაგირების მიზანი არსებითად არის დამოკიდებული სასჯელის გამომყენებელ სახელმწიფოს მიზნობრივ დეტერმინაციაზე: კომუნიზმის ისტორიული აუცილებლობისაკენ სწრაფვის ამოცანა ადამიანის ნამდვილი არსის განხორციელების ამოცანაა. აი რატომაა, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში მიზანი — ადამიანია. ამ პრინციპული მნიშვნელობის დებულებიდან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ საბჭოთა სისხლის სამართალში სასჯელის მიზანია დამნაშავეთა გამოსწორება და ხელახალი აღზრდა. არ უნდა ვიფიქროთ, რომ რამდენადაც დამნაშავე უპირისპირდება საზოგადოებრივ ინტერესებს, იგი არ შეიძლება განხილული იქნეს როგორც მიზანი, რადგან მაშინ დამნაშავე არა მარტო საშუალება იქნებოდა, არამედ სამაგიეროს მიზღვის ობიექტიც, რაც საბჭოთა სისხლის სამართლისათვის პრინციპულად მიუღებელია.

სასჯელის მიზანი — დამნაშავეთა გამოსწორებისა და ხელახლა აღზრდის სახით არ ეწინააღმდეგება საზოგადოებრივად საშიშ ქმედობათა თავიდან აცილების მიზანს. მართალია, საზოგადოებრივად საშიშ ქმედობათა თავიდან აცილება სასჯელის ზოგადი პრევენციის გზითაც ხორციელდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშანავს, რომ დამნაშავე სასჯელის ზოგადი პრევენციის საშუალებაა. საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით მიმართება სასჯელის კერძო და ზოგად პრე-

---

[3] **И. Кант.** Сочинение т. 4 (2), АН СССР изд. 1965 г. стр. 26.

[4] М. Д. Шаргородский, Наказание по уголовному праву эксплуататорского общества, Госюриздат, 1957, стр. 102.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენციან შორის ყოველთვის ერთნაირი როდია, მაგრამ არ შეიძლება მათი ერთმანეთისაგან მოწყვეტა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სასჯელის ზოგადი პრევენციისაკენ მიმავალი საინფორმაციო არხი კერძო პრევენციიდანაც მომდინარეობს: კერძო პრევენციის მიღწევის შემთხვევაში არა მარტო ყოფილი დამნაშავეა გადარწმუნებული, არამედ მას შეუძლია გადაარწმუნოს მისი ყოფილი თანამზრახველებიც. ამიტომ არის, რომ სასჯელის მიზნის შესახებ საკითხის მართებულ გადაჭრას არა მარტო პოლიტიკური, არამედ უაღრესად აქტუალური პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. სახელდობრ, იგი ხელს უწყობს სამართლიანობის რწმენის გამომუშავებას, რათა ადამიანებმა პატივი სცენ კანონს და იდეალური სიტუაციებისა და იდეალური ღირებულებების მიხედვით ქცევის უნარი მორალური აუცილებლობისადმი შეგნებულ დამოკიდებულებაში გამოხატონ.

ამრიგად, ის გარემოება, რომ დანაშაულისა და სასჯელის ისტორიულ-ლოგიკური კავშირი პასუხისმგებლობის ინსტიტუტითაა გაშუალებული, წინააღმდეგობრივი აღმოჩნდება, თუ პასუხისმგებლობისა და სასჯელის დეტერმინისტული დაფუძნებისას ერთიანობაში არ გავიაზრებთ თავისუფლებისა და აუცილებლობის დიალექტიკურ კონცეფციას, რომელიც, თავის მხრივ, გასაგებს ხდის აგრეთვე ნებისყოფის თავისუფლებისა და ინდივიდუალური ქცევის პროგნოზირების მიმართებასაც.

ადამიანთა საყოფაცხოვრებო პრაქტიკაც ნათლად ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ადამიანს შეუძლია გაითვალისწინოს არა მარტო საკუთარი ქცევის შედეგები, არამედ სხვა ადამიანის მოსალოდნელი ქცევაც. ენაჭარტალას საიდუმლოს არ ანდობენ და ჭორიკანას სიმართლესაც არ უჯერებენ შემოწმების გარეშე; ქურდობაში შემჩნეულს შემთხვევით თუ ვინმე მიაბარებს ფასეულობას; პროტექციის მოყვარულნი დეტალურად ეცნობიან შესაძლო პროტექტორის პიროვნებას, მის წარსულს, ნაცნობთა წრეს, რომ მათ უკანონო თხოვნას უარყოფითი რეაქცია არ მოჰყვეს.

ეს და სხვა ამგვარი პრაქტიკა იმაზე მიუთითებს, რომ ე. წ. „საღი აზრის“ პოზიცია კარგად იჭერს ადამიანთა ხასიათებიდან გამომდინარე მოსალოდნელი ქცევის ბუნებას, მაგრამ ამგვარი მოვლენებისადმი გულგრილი როდია სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის თეორია და პრაქტიკა. კადრების შერჩევისას მხედველობაში იღებენ არა მარტო მუშაკის კვალიფიკაციას, არამედ მის საქმიან და ზნეობრივ მხარეს, პრინციპულობას. გამოცდილი, მაგრამ უპრინციპო ისევე ნაკლებად სანდოა, როგორც არ შეიძლება ვენდოთ კარიერისტს, რომელსაც ერის ინტერესები კარიერის საშუალებად მიაჩნია.

პრაქტიკაში ისიც შემჩნეულია, რომ ქურდმა შემთხვევით მიბარებული ფასეულობათა შენახვაში ნდობის მოსაპოვებლად შეიძლება შესაშური გულმოდგინება გამოავლინოს; ენაჭარტალამ გარკვეულ სიტუაციაში „ოქროს დუმილი“ აირჩიოს, კარიერისტმა დროებით ერის ინტერესებიც გაითვალისწინოს და ა. შ.

„საღი აზრის“ ამ მინიშნებებში ნათლად ჩანს ერთი ფრიად საინტერესო მომენტი: ადამიანთა ქცევის გასაგებად მნიშვნელოვანია ვიცოდეთ მოტივი და მიზანი. რასაკვირველია, „საღი აზრის“ პოზიცია უძლურია ახსნას ამ მიმართებით დაყენებული პრობლემის არსი, მაგრამ ეს დაკვირვებანი მაინც იმაზე მიუთითებენ, რომ ადამიანთა ქცევის მიზეზობრივი ახსნა სულაც საკმარისი არ არის და რომ საჭიროა ქცევის საზრისი ვიკვლიოთ. მართლაც, როგორც სწორად მიუთითებს პროფ. ბ. ხარაზიშვილი, „...ტკივილების მიზეზით ერთი თუ კვნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სის, მეორეს შეუძლია იცინოს გარკვეული მოტივებით...“[5] თუ ბუნების მოვლენების მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულების საფუძველზე ზუსტად შეგვიძლია განვსაზღვროთ მზისა თუ მთვარის დაბნელების დრო, გავითვალისწინოთ მოსალოდნელი ამინდი და ა. შ., ადამიანთა ქცევის გათვალისწინება ასეთივე სიზუსტით როდია შესაძლებელი, მაგრამ არის ერთი განსაკუთრებული კანონზომიერება, რომელიც მხედველობაში უნდა მივიღოთ: ზნეობრივი ადამიანისაგან დანაშაული პრინციპულად მოულოდნელია, მაშინ როდესაც ამორალური პიროვნებისაგან ქველმოქმედება პრინციპულად მოულოდნელი როდია.

მაშასადამე, ადვილია გავამართლოთ ჩვენი მოლოდინი ზნეობრივი პიროვნების მიმართ და შედარებით ძნელია ვივარაუდოთ კონკრეტული დანაშაულებრივი ქცევა. მაგრამ ისევე, როგორც ყოველგვარი მეცნიერული წინასწარხედვისას, აუცილებელია ზუსტად ვიცოდეთ ის პიროვნება, რომელსაც ესა თუ ის ქცევა მიეწერება. ამ მხრივ ყველაზე ხელსაყრელ პირობებშია სასამართლო. დამნაშავის პიროვნების ყოველმხრივი შესწავლა, მისი წარსულისა და აწმყოში საქმიანობის გათვალისწინება არა მარტო სამართლიანი განაჩენის საფუძველია, არამედ იმ ვარაუდის საფუძველიც, თუ როგორ მოიქცევა ეს მსჯავრდებული სასჯელის მოხდის ადგილებში.

მაგრამ ინდივიდუალური დანაშაულებრივი ქცევის სავარაუდო საფუძველია არა მარტო ინდივიდის შესწავლა, არამედ იმის შესწავლაც, თუ როგორია მისი რეფერენტული ჯგუფი, ნაცნობთა წრე და ა. შ. ამ მხრივ საყურადღებოა არასრულწლოვანთა ჯგუფური დანაშაულის პრობლემა. მაგრამ არანაკლებმნიშვნელოვანია ე. წ. ვიკტიმოლოგიური პრობლემატიკა, სახელდობრ ოჯახური თუ მეზობლური კინკლაობისა და კონფლიქტებიდან მოსალოდნელი დანაშაულის თავიდან აცილება.

ამრიგად, ინდივიდუალური პროგნოზის შესაძლებლობას მეტნაკლებად სავარაუდო ხასიათი აქვს, მაგრამ მისი პრაქტიკული მნიშვნელობა მაინც დიდია. რაც შეეხება სასჯელმოხდილთა მოსალოდნელ დანაშაულს, მათი განსაზღვრული კატეგორია სპეციალურადაა გათვალისწინებული 1966 წლის 26 ივლისის ბრძანებულებით „თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებულ პირებზე მილიციის ორგანოების ადმინისტრაციული ზედამხედველობის შესახებ“.

მართალია, ეს ბრძანებულება თვითონ არის პირობადებული გარკვეულ პირთა მოსალოდნელი დანაშაულით, მაგრამ იგი შეიძლება პროგნოზის ერთერთ სახედ ჩაითვალოს, რადგან გავლენას ახდენს ამ პირთა ქცევაზე.

ამრიგად, ნებისყოფის თავისუფლება არა მარტო იმის მეთოდოლოგიური პირობაა, რომ ერთიანობაში გავიაზროთ პასუხისმგებლობისა და სასჯელის დეტერმინისტული კონცეფცია, არამედ ვივარაუდოთ კონკრეტულ პირთა მოსალოდნელი ქცევაც. მართლაც, ის გარემოება, რომ კონკრეტული ზნეობრივი პიროვნებისაგან დანაშაული პრინციპულად მოულოდნელია, არ გამორიცხავს თავისუფლებას, რადგან ერთია ამორალიზმისა და დანაშაულის პრინციპული მიუღებლობა და მეორე მათი ჩადენის უნარი. პირიქით, მორალურ თავისუფლებას მორალური აუცილებლობისადმი შეგნებული დამოკიდებულება აფუძნებს. მაგრამ ამ მხრივ თავისუფლებას არც დამნაშავე და არც სასჯელმოხდილი

5 ბ. ხარაზიშვილი, კრიმინალისტიკა, თსუ, 1969, გვ. 496.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირია მოკლებული არა მარტო მოქმედების თავისუფლების, არამედ ნებისყოფის თავისუფლების აზრითაც, რადგან მათ შეუძლიათ მოიქცნენ თავიანთი პიროვნული არსის საპირისპიროდაც. ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ ისეთი შემთხვევა, როცა სასჯელის მოხდის ადგილებში რომელიმე კონკრეტული მსჯავრდებული სანიმუშო ყოფაქცევით გამოირჩევა, თვითონაც ასრულებს დაწესებულ რეჟიმს და, სხვებსაც მოუწოდებს წესრიგისაკენ, სინამდვილეში კი ყველაფერ ამას იგი ადმინისტრაციის ნდობის მოპოვების მიზნით აკეთებს და არა იმიტომ, რომ მართლაც გამოსწორდა. ეს არის ადამიანთა ქცევის ნამდვილი საზრისის წვდომის სიძნელე; ეს არის თავისუფლების საზრისიც, მაგრამ ამით ჩვენ სულაც არ ვამტკიცებთ იმას, რომ თავისუფლება თითქოს თვითნებობა იყოს. თვითნებობა, დიალექტიკური დეტერმინიზმის მიხედვით, არ არსებობს. არსებობს თავისუფლება, რომელიც დეტერმინაციისაგან მოწყვეტილი არ არის, მაგრამ დეტერმინაციის უმაღლესი ფორმაა და ყოველთვის მეტია არა მარტო მიზეზობრივ დეტერმინაციაზე, არამედ დეტერმინაციის პიროვნულ-ინდივიდუალურ საფეხურზეც. ეს იმას ნიშნავს, რომ თავისუფლების კატეგორია რეალური ფენომენია არა მარტო სისხლის სამართალში, არამედ კრიმინოლოგიაშიც და ამ მხრივ ამ მეცნიერებათა კავშირი კიდევ უფრო მჭიდროა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლების აღკვეთის ვადა და მისი როლი სასჯელის მიზნის მიღწევაში

გ. გეგეჭკორი,
საქართველოს სსრ პროკურატურის თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე ზედამხედველი განყოფილების პროკურორი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი

თავისუფლების აღკვეთის, როგორც სისხლის სამართლის სასჯელის სახის, აუცილებელ ნიშანს შეადგენს ვადა, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული შრომა-გასწორებითს დაწესებულებაში იმყოფება. ეს ვადა ზუსტად უნდა იყოს დადგენილი სასამართლოს განაჩენით სისხლის სამართლის კანონის სანქციის შესაბამისად.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები არ ადგენს თავისუფლების აღკვეთის მინიმალურ ვადას. მას რესპუბლიკური კანონმდებლობა აწესებს. ყველა მოკავშირე რესპუბლიკის დღეისათვის მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში ამ ვადად დადგენილია სამი თვე.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 23-ე მუხლითა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებით თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალურ ვადად დადგენილია 10 წელი, ხოლო განსაკუთრებით საშიში დანაშაულებისა და განსაკუთრებით საშიში რეციდივისტების მიმართ — 15 წელი.

კანონის ეს დებულება შეესაბამება ვ. ი. ლენინის საყოველთაოდ ცნობილ დებულებას იმის შესახებ, რომ სასჯელის მნიშვნელობა მისი სიმკაცრე კი არ არის, არამედ გარდუვალობა. ჭეშმარიტად, თავისუფლების აღკვეთის მეტისმეტად დიდ ვადას ზოგჯერ სასჯელის აღმზრდელობითი ეფექტის გაძლიერებისაკენ კი არ მივყავართ, არამედ მისი შესუსტებისაკენ, რადგან მსჯავრდებული რეალურად ვერ აღიქვამს თავისი განთავისუფლების პერსპექტივას და ბოროტდება. ამასთან თავისთავად თავისუფლების აღკვეთის 10 ან 15 წლიანი ვადა საკმარისია, რათა შევძლოთ შრომა-აღმზრდელობითი ზემოქმედების ყველა საშუალებისა და მეთოდის გამოყენება. თუ ამ ვადაში ვერ იქნა მიღწეული მსჯავრდებულის გამოსწორება და აღზრდა, საეჭვოა ამ ამოცანის გადაწყვეტა შრომა-აღმზრდელობითი ზემოქმედების საქმის ისეთივე დაყენებისას უფრო ხანგრძლივ პერიოდშიც.

სასამართლო სასჯელის ვადასაც ადგენს და იმასაც განსაზღვრავს, რა მომენტიდან იწყება მისი ჩათვლა. მოქმედი კანონმდებლობით თავისუფლების აღკვეთის ვადაში ჩაითვლება წინასწარი პატიმრობის დრო. თუ დანაშაული ჩადენილია მსჯავრდებულის მიერ, მაშინ მის მიმართ ახლად დანიშნული სასჯელის ვადის გამოთვლა განაჩენის გამოტანის მომენტიდან კი არ იწყება, არამედ აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების დღიდან.

სასჯელის თეორიაში ერთ-ერთი სადისკუსიოა ეგრეთ წოდებული ხანმოკლე თავისუფლების აღკვეთის ეფექტურობის პრობლემა.

ჩვეულებრივ, ხანმოკლედ თვლიან თავისუფლების აღკვეთას, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანიშნულია ექვს თვემდე ან ერთ წლამდე ვადით. მოქმედი საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევრის მოხდის შემდეგ პირობით — ვადამდე გათავისუფლების შესაძლებლობას, თავისუფლების აღკვეთის ერთწლიანი ვადა რეალურად შეიძლება შემცირდეს ექვს-რვა თვემდე, ხოლო რამდენადაც თავისუფლების აღკვეთის მინიმალური ვადა, როგორც უკვე ითქვა, სამი თვეა, ჩვენს პირობებში ხანმოკლედ უნდა ჩაითვალოს თავისუფლების აღკვეთა, დანიშნული სამი თვიდან ერთ წლამდე ვადით.

თავისუფლების აღკვეთის ხანმოკლე ვადები უკვე დიდი ხანია ყურადღებას იპყრობს. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებიც იძულებულნი არიან დაინტერესდნენ ამ საკითხით სისხლის სამართლის კანონის შემუშავებისა და ჩადენილი დანაშაულისათვის სანქციის ზომის განსაზღვრისას. ხანმოკლე ვადით თავისუფლების აღკვეთის ვადის პრობლემა სპეციალურ ლიტერატურაში ცხოველი დისკუსიის საგანია.

ყველა დისკუსია ამ საკითხზე ფაქტიურად დაიყვანება ორი საკითხის შესახებ მსჯელობამდე: პირველი ის არის, თუ როგორ ვიმოქმედოთ პირებზე, რომლებსაც მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა ხანმოკლე ვადით, რათა აღარ ჩაიდინონ განმეორებითი დანაშაული განთავისუფლების შემდეგ, და მეორე, ეფექტურია თუ არა თავისუფლების აღკვეთა ხანმოკლე ვადით.

ხანმოკლე ვადით თავისუფლების აღკვეთის მიზანშეწონილობა სწორად რომ შეფასდეს, საჭიროა გავარკვიოთ მსჯავრდებულზე თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის ზემოქმედების მექანიზმი.

ცნობილია, რომ საერთოდ დასჯის ერთიანი მიზნები ყოველთვის მეტად კონკრეტულად ისმება. საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში მრავალჯერ იყო გამოთქმული სამართლიანი აზრი, რომ სასჯელის დანიშვნისა და აღსრულებისას დაცულ უნდა იქნეს „რეპრესიის ეკონომიის“ პრინციპი. ეს ნიშნავს, რომ დანაშაულის ჩადენაში ბრალეული ყოველი პირის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი სასჯელი, რომელიც მინიმალურად საჭიროა მის გამოსასწორებლად, მის მიერ ახალი დანაშაულების ჩადენის თავიდან ასაცილებლად, სხვა არამყარ პირებზე ზემოქმედებისა და საზოგადოებრივი სამართლიანობის გრძნობის დასაკმაყოფილებლად. საზოგადოება არ არის დაინტერესებული იმით, რომ პირი საჭიროების გარეშე უფრო მეტად დასაჯოს, ვიდრე საჭიროა მის გამოსასწორებლად, აგრეთვე აღსაზრდელად, საერთო პოფილაქტიკის ამოცანების განსახორციელებლად.

თავისუფლების აღკვეთა მიზანშეწონილია მაშინ, როცა ჩადენილია მძიმე დანაშაული. თავისუფლების აღკვეთა მიზანშეწონილია მაშინაც, როცა ჩადენილია ნაკლებად მძიმე დანაშაული, მაგრამ დამნაშავის პიროვნება აუცილებელს ხდის სერიოზული სასჯელის გამოყენებას.

თავისუფლების აღკვეთისას დამნაშავის პიროვნების თავისებურებათა გათვალისწინებით სასჯელმა მასზე უნდა მოახდინოს დადებითი აღმზრდელობითი ზემოქმედება: მან უნდა აიმაღლოს ზოგადსაგანმანათლებლო დონე, დაეუფლოს პროფესიას, ჩაენერგოს შრომითი ჩვევები, თუ ისინი არ გააჩნდა, გამოსწორდეს დეფექტები მის აღზრდაში, და ბოლოს, ჩამოუყალიბდეს ახალი შეგნება. თავისთავად თავისუფლების აღკვეთას ამის მიცემა არ შეუძლია. ამიტომ მას უერთდება პედაგოგიური და აღმზრდელობითი ზემოქმედების განსაკუთრებული პროცესი — შრომა-გასწორებითი ზემოქმედების პროცესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ მხედველობაში მივიღებთ დამნაშავის პიროვნებას, მის მიმართ სასჯელის ზომის განსაზღვრა დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე: შეგნების დონეზე, კულტურაზე, საზოგადოებრივ მდგომარეობაზე, აზროვნების სახეობაზე. ამგვარად, ერთი დამნაშავის მიმართ დასჯითი ზემოქმედება ეფექტურია სასჯელის მხოლოდ ხანგრძლივი ვადებისას და ისიც არა ყოველთვის, რადგან იგი კონტაქტშია იმ ადამიანებთან, რომლებიც გამოუსწორებლები არიან, არ მოინანიეს ჩადენილი დანაშაული და შეიძლება მოექცეს მათი ზეგავლენის ქვეშ. ამავე დროს მეორე დამნაშავისათვის საკმარისია თავისუფლების აღკვეთა რამდენიმე თვის, კვირის და დღის ვადითაც კი.

მაგრამ თავისუფლების აღკვეთის ეფექტურობა მარტო იმაზე კი არ არის დამოკიდებული როგორი ზეგავლენა იქონია მსჯავრდებულზე თვით სასჯელმა. იგი ხშირად მხოლოდ დასაწყისია მსჯავრდებულის შეგნების შეცვლაში. სრული გამოსწორებისა და, მით უმეტეს, ხელახალი აღზრდისათვის აუცილებელია სისტემატური, მიზანდასახული მეტნაკლებად ხანგრძლივი დადებითი აღმზრდელობითი ზემოქმედება, მსჯავრდებულის შრომითი პროცესებში ჩაბმის საფუძველზე. აღმზრდელობითი ზემოქმედების ხანგრძლივობა ისევ და ისევ დამოკიდებულია მსჯავრდებულის პიროვნების თავისებურებებზე. მაგრამ ყოველ შემთხვევაში იგი არც დღეებით შეიძლება გაიზომოს, არც კვირეებით და არც თვეებით. შრომა-აღმზრდელობითი ზემოქმედების პროცესი გულისხმობს შრომითი ჩვევების ჩანერგვას, სწავლის სურვილის გაღვიძებას, ახალი პოზიტიური რწმენის გაჩენას. ამისთვის კი დროა საჭირო.

შრომითი ჩვევები სპეციალობის დაუფლებისას შეიძინება. სწავლის სურვილი მაშინ ჩნდება, როცა ადამიანი ხედავს თავისი ცოდნის სარგებლობას. სპეციალობა რომ მიიღოს, ამისათვის საჭიროა ისწავლოს რამდენიმე თვე, წელიც კი, ამასთან შეძენილი ჩვევები განამტკიცოს წარმოებაში. მაგრამ უფრო ადვილია ასწავლო ადამიანს, ვიდრე აღზარდო იგი. ამიტომ შეხედულებების შესაცვლელად, ახალი რწმენის ჩასანერგად უფრო მეტი დროა საჭირო. ობიექტურად გამოდის, რომ შრომა-გასწორებითი ზემოქმედების პროცესის ეფექტური განხორციელებისათვის მინიმალურად აუცილებელი დრო წელიწადნახევარს მაინც შეადგენს.

შრომა-გასწორებითი ზემოქმედება ხანმოკლე ვადით თავისუფლების აღკვეთისას უკიდურესად შეზღუდულია. დრო არ არის მის განსახორციელებლად. რჩება მხოლოდ თვით თავისუფლების აღკვეთის ზემოქმედება. მაშასადამე, მიზანშეწონილია გამოვიყენოთ იგი იმ პირების მიმართ, რომლებმაც ნაკლებად მძიმე დანაშაული ჩაიდინეს, არ საჭიროებენ განსაკუთრებულ აღზრდას ცხოვრებაში შემდგომი მოწყობის მიზნით. ზოგიერთ პირზე ხანმოკლე ვადით თავისუფლების აღკვეთა არ იმოქმედებს, ხოლო საჭირო შრომა-გასწორებითი ზემოქმედების განსახორციელებლად, როგორც ითქვა, დრო არ არის.

ამგვარად, ხანმოკლე ვადით თავისუფლების აღკვეთა შეიძლება ეფექტური იყოს მსჯავრდებულთა უმნიშვნელო ნაწილის მიმართ. მაგრამ რადგან ეს ხალხი პრაქტიკულად არ საჭიროებენ აღზრდას, ისინი შეიძლება დავსაჯოთ თავისუფლების აღკვეთის გამოუყენებლადაც. შემთხვევითი არ არის, რომ მოკავშირე რესპუბლიკების სსკ ზოგადი ნაწილის ნორმების სანქციების უმრავლესობა, რომლებიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას ერთ წლამდე ვადით, ალტერნატული ხასიათისაა: ეს ნორმები ასევე უშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებენ შრომა-გასწორებითი სამუშაოების გამოყენებას თავისუფლების აღუკვეთავად, ჯარიმების და სხვა სასჯელების გამოყენებას.

ხანმოკლე ვადით თავისუფლების აღკვეთის გამოყენებისას უნდა ვიზრუნოთ, რომ მისი აღსრულება მაქსიმალურად ეფექტური იყოს. მსჯავრდებულთა გარკვეულ კატეგორიაზე მას შეუძლია სათანადო ზემოქმედება მოახდინოს, რაც შეეხება შრომა-გასწორებით ზემოქმედებას, რაც თან ახლავს ხანმოკლე ვადით თავისუფლების აღკვეთას, მას უნდა ახასიათებდეს არსებითი თავისებურებები. ეფექტურად რომ გამოვიყენოთ სასჯელის მთელი ვადა, მიზანშეწონილია უარი ვთქვათ „ხანმოკლე ვადიანებისადმი“ პირობით — ვადამდე განთავისუფლების გამოყენებაზე, არ დავტოვოთ ისინი საგამოძიებო იზოლატორების სამეურნეო მომსახურების სამუშაოებზე, არ გადავიყვანოთ შეღავათიან პირობებზე, არამედ რაც შეიძლება ჩქარა გავგზავნოთ შრომა-გასწორების დაწესებულებებში.

„ხანმოკლე ვადიანთა“ ზოგადსაგანმანათლებლო სწავლება შესაძლებელია წრიული მომზადების ფორმით, ხოლო პროფესიულ-ტექნიკური სწავლება—ინდივიდუალური ან ჯგუფური მოსწავლეობის ფორმით. ხანმოკლე ვადით მსჯავრდებული ყველა შრომისუნარიანი პირი აუცილებლად უნდა ჩავაბათ შრომაში, რომელიც არ მოითხოვს მათგან მაღალ კვალიფიკაციას. პოლიტიკურ აღმზრდელობითს მუშაობაში აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მსჯავრდებულთა თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენებას. რაც შეხამებული უნდა იყოს ინდივიდუალურ მუშაობასთან.

დაუნდობელი ბრძოლა მავნე წეს-ჩვეულებებს

აჭარის ჩვეულებითი სამართლის ისტორიიდან

ლ. გოგორიშვილი

ჩვეულებითი სამართალი საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა და კოლექტივის შიგნით ურთიერთობათა მოწესრიგების ტრადიციული საშუალება იყო.

აჭარაში, ისე როგორც საქართველოს სხვა მთიან მხარეებში, ჩვეულებითი სამართლის ისეთი ნორმებია შემონახული, რომლებიც შუქს ფენენ ძველი ქართული სამართლის რიგ ინსტიტუტებს. მათი მცირედი ნაწილი დღემდეც არის მოღწეული გადმონაშთების სახით. ამდენად, მათ შესწავლას პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს.

ქართული ფეოდალური სამართალი მეტ-ნაკლები სიძლიერით ებრძოდა სისხლის აღების ჩვეულებას, რომელიც ყველა სოციალური ფენისათვის იყო დამახასიათებელი. ხშირად ძლიერი ცენტრალური ხელისუფლებაც კი დამარცხებული გამოდიოდა ამ ბრძოლაში.

სამცხე-საათაბაგოსათვის შედგენილი ბექასა და აღბუღას წიგნიც კრძალავს სისხლის აღებას. აკად. ი. დოლიძე ამ წიგნის ზოგიერთი მუხლის ანალიზის საფუძველზე წერს: „თუმცა შურისძიებასა და სისხლის აღებას კანონმდებელი კრძალავს, მაინც, მიუხედავად ამისა, ეს ძველი საგვარეულო ადათი სამართლის ზოგიერთ მუხლებში ინარჩუნებს ერთგვარ ძალას“.[1]

აჭარა სამცხე-საათაბაგოს განუყოფელი ისტორიული ნაწილია. მაშასადამე, ბექასა და აღბუღას სამართლის კოდექსი აქაც მოქმედებდა. „როგორც ეთნოგრაფიული, ისე ისტორიული წყაროები მოწმობენ, რომ რევოლუციამდელ აჭარაში სისხლის აღების წესი საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული. ისევე როგორც საქართველოს სხვა მთიან მხარეებში, აჭარაშიც სისხლის აღების წესი თაობიდან თაობაზე გადადიოდა და ზოგჯერ ამა თუ იმ გვარის მთლიანი გაჟლეტით მთავრდებოდა. ხალხურ გადმოცემებში ხომ ხშირად იხსენიება გვარები, რომლებიც ამგვარი მტრობის ნიადაგზე გადაშენებულან“.[2]

სისხლის აღების ჩვეულებას აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდგომ პერიოდშიც ვხვდებით. ჩვეულებითი სამართლის ნორმის გამძლეობა საყოველთაოდ არის ცნობილი. ის იარსებებს მანამ, სანამ მას გზაზე არ გადაეღობება ახალი, უფრო პროგრესული, რომელთანაც ბრძოლაში ძველი ადათები იშლება და ადგილს უთმობს ახალ ზნეობრივ თუ საკანონმდებლო ნორმებს.

აჭარაში სისხლის აღების ადათის დაკონსერვებას ხელი შეუწყო მთელმა რიგმა ეკონომიურმა თუ პოლიტიკურმა პირობებმა, რომლებიც სპეციალურ შესწავლას საჭიროებენ.

ცნობილია, რომ XVI საუკუნის შუა წლებიდან აჭარა ოსმალეთის გავლენის ქვეშ მოექცა. მიუხედავად იმისა, რომ ეს უძველესი ქართული მხარე საუკუნეების მანძილზე ყოველმხრივ იყო შევიწროებული თურქეთისაგან, მან მტკიცედ შემოინახა ქართველი ხალხის კულტურის და ყოფის მრავალი ძირძველი ტრადიცია. ამ ტრადიციების მეცნიერული შესწავლის გზით დგინდება მთელი რიგი დადებითი მატერიალურ თუ ეთიკურ-მორალურ ფასეულობათა არსებობა, რაც საქართველოს სხვა კუთხეებში არ შემონახულა. ეხება რა ამ საკითხს პროფ. ა. რობაქიძე, აღნიშნავს: „ქართველობისათვის ბრძოლის პროცესში აჭარამ შემოინახა ქართველი ხალხის კულტურისა და ყოფის მრავალი ძირძველი ელემენტი, რომელთა კვალი საქართველოს სხვა რაიონებში თითქმის სრულიად არ დარჩა. და რომლებიც, მართალია თავისი ფორმით არქაული იყო, მაგრამ თავისი ფუნქციით ზემოთ ხსენებულ ბრძოლაში ეროვნული სახის თვითმყოფადობის დაცვას ემსახურებოდა და ამდენად უთუოდ დადებით როლს ასრულებდა“.[3]

აჭარაში დღემდეა შემონახული დადებითად მისაჩნევი ბევრი ჩვეულება, მაგრამ ჯერ კიდევ შემორჩენილია მავნე გადმონაშთი — სისხლის აღება.

აჭარაში სისხლის აღების ჩვეულების შესასწავლად ჩვენ არ მოგვეპოვება რაიმე საკანონმდებლო ძეგლი, ან მინაწერი. უფრო მეტიც, არ არის მნიშვნელოვანი ლიტერატურული წყაროც, რომელიც უშუალოდ ეხებოდეს ამ კუთხეში სისხლის აღების ინსტიტუტს. ამდენად მისი შესწავლა უნდა მოხდეს საარქივო და ეთნოგრაფიული მონაცემებით.

---

[1] ი. დოლიძე, „ძველი ქართული სამართალი“, თბილისი, 1953 წ. გვ. 84.

[2] ვ. შამილაძე, „გვაროვნული წყობილების ერთი გადმონაშთის შესახებ“, „ლიტერატურული აჭარა“, 1961 წ. № 5, გვ. 82—83.

[3] ალ. რობაქიძე „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის კულტურისა და ყოფის საკითხები“. თბ., 1973 წ. გვ. 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან დაკავშირებით პროფ. ივ. სურგულაძე წერს: „ქართული სამართლის ამა თუ იმ ინსტიტუტის დასადგენად სასარგებლო მასალას გვაწვდის აგრეთვე ეთნოგრაფია. უკანასკნელის მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია ადათებისა და ჩვეულებითი სამართლის შესასწავლად".[4]

ი. ფუტკარაძე ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიის საკითხების გამოკვლევისას აღნიშნავს, რომ „სამართლებრივი ინსტიტუტების დასახასიათებლად ჩვენ ვიშველიებთ სათანადო მუხლებს საკანონმდებლო ძეგლებიდან, სიგელ-გუჯრებს, სასამართლო პრაქტიკასა და ეთნოგრაფიულ მონაცემებს".[5]

ძველი ქართული სამართლის ისტორიის ზოგიერთი საკითხის ასახსნელად ჩვეულებითი სამართლის გვერდაუსვევლობაზე დამაჯერებლადაა გამოთქმული მოსაზრება სამეცნიერო ლიტერატურაში.[6]

აჭარაში სისხლ-მესისხლეობის ინსტიტუტის ბუნების და მისი კონსერვაციის ფაქტორების გარკვევისათვის (რაც აუცილებელი წინაპირობაა ამ მავნე გადმონაშთის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური ფორმების შესამუშავებლად), საჭიროა პირველ რიგში შევჩერდეთ მკვლელობის შესაძლებელ მიზეზებზე, რომლის შედეგად ვითარდებოდა სისხლის აღების ესა თუ ის კონკრეტული შემთხვევა.

შურისძიების ძირითადი მიზეზი ზოგადად კოლექტივში მოქმედი ჩვეულებითი ნორმის დარღვევაა.

ს. მაკალათია ხევსურების შესახებ წერს: „ხევსურეთში კი მკვლელობის მიზეზები მრავალია: მშობლის შეგინება და შეურაცხყოფა, სიმთვრალე ხატში და ქორწილში, მამულზე დავა და სხვ. მკვლელობა ზოგჯერ სრულიად უმნიშვნელო საქმეზე მომხდარა. მაგალითად, ორ ზელისტოჩელს გზაში უპოვნიათ მათრახი. ამაზე ცილობა მოსვლიათ. ჩხუბში ერთი არაბული მოუკლავთ; ამაზე გაჩაღებულა შურისძიება და დღემდე ოთხი კაცია მოკლული. ერთ შატილელს მგელა ჭინჭარაულს მუცოელ ხევსურისთვის 6 ტყვიად თრვა მიუყიდია, მუცოელს ექვსის ნაცვლად ხუთი უძლევია და ერთ ტყვიაზე ჩხუბი მოსვლიათ; შატილელს მუცოელი მოუკლავს. გაჩაღებულა მტრობა და დღემდე 4 კაცია მოკლული".[7]

ინილავს რა სვანების ჩვეულებით სამართალს რ. ხარაძე აღნიშნავს, რომ „მკვლელობის მიზეზი ხშირად ცოლისაგან ქმრის ან ქმრისაგან ცოლის მიტოვება იყო, რაც ან ნახევარი ნორ-ის გადახდით ანდა მკვლელობით თავდებოდა".[8]

საარქივო მასალის მიხედვით: „აჭარისტანში გვართა შორის სისხლი ისე არ ჩამოვარდება, თუ მასში: მიწის, ტყის, საქონლის, ყანის და სხვათა საკითხი არ ურევია. ამ საკითხებთან დაკავშირებით — უბრალო შეგინება ან გალახვა არის საკმარისი, რომ სისხლი დაიღვაროს".[9]

ქობულეთის რაიონში (მდ. კინტრიშის ხეობა, მდ. აჭყვას ხეობა, მდ. დეხვას ხეობა) ზემო აჭარაში — ხულოს და შუახევის რაიონი (მდ. ხიხანის ხეობა, მდ. ღორჯომის ხეობა, მდ. აჭარისწყლის ხეობა, მდ. ჭვანას ხეობა) და ქვემო აჭარაში — ქედის რაიონი (მდ. მერისის ხეობა) შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, მკვლელობის კონკრეტული მიზეზი შეიძლება გამხდარიყო:

1. სხეულის დაზიანება (დაჭრა), 2. ფიზიკური შეურაცხყოფა (გარტყმა), 3. სიტყვიერი შეურაცხყოფა („დაგინება"), 4. გაუპატიურება („ქალზე შეხევა"), 5. „ქალის შეყვარება", 6. „ქალის მიცემაზე უარი", 7. სხვის მიერ დანიშნული ან „შეყვარებული" ქალის ცოლად შერთვა, 8. ქალის მოტაცება, 9. ქურდობა, 10. საზღვარზე დავა, 11. „კაი ბიჭობა".

განვიხილოთ ისინი ცალცალკე.

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით სხეულის დაზიანება (დაჭრა) სისხლის აღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია. დაზარალებული ცდილობდა სამაგიერო მიეზღო დამჭრელის „კედარობისთვის" (მხარისთვის — ლ. ბ.). ამ დროს „ზომიერების" ფარგლები ზოგჯერ ირღვეოდა და საპასუხო აქცია მკვლელობით მთავრდებოდა.

მხარეთა „დარიგება" (შერიგება — ლ. ბ.) გართულებული იყო მაშინ, როცა დაზარალებული სახეზე იყო დაჭრილი. ნაიარევი კაცი ცდილობდა სისხლი გაედინა მოწინააღმდეგისათვის. ამასთან დაკავშირებით აი როგორ ცნობას გვაწვდის მთხრობელი: „კაცმა კაცს დაარტყა — იარა მისცა. მერე ის იარამიცემული მოკლავდა მას (დამჭრელს — ლ. ბ.), დაუჯდებოდა და თოფს ესროდა... თოფი უშველიდა მხოლოდ ამ საქმეს მერე".[10] ჩვეულებიანი სამართალი ჭრილობებს ერთმანეთისაგან იმით განასხვავებ-

---

[4] ივ. სურგულაძე. „საქართველოს სახელმწიფო და სამართლის ისტორიისათვის", თბილისი, 1952 წ., გვ. 43.

[5] ი. ფუტკარაძე, „ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისათვის", თბილისი, 1964 წ. გვ. 48.

[6] М. М. Кекелиа, Судебная организация и судебный процесс в Грузии (II пол. XVIII—I пол. XIX в.); автореферат диссертации на соискание ученой степени доктора юридических наук.

[7] ს. მაკალათია, „ხევსურეთი", თბილისი, 1935 წ., გვ. 84.

[8] რ. ხარაძე, „დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში", თბილისი, 1939 წ., გვ. 25.

[9] აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმი, ф—318.

[10] ლ. ბოჭორიშვილი, 1974 წლის ზემო აჭარის ექსპედიციის დღიური, № 6, გვ. 39.

და, თუ რით იყო იგი მიყენებული ან სხეულის რომელ ნაწილზე.

აჭარაში ფიქსირებული ეთნოგრაფიული მასალით გარტყმა და ცემა შეიძლებოდა აგრეთვე გამხდარიყო მკვლელობის მიზეზი.

ხელის კვრა თუ „გულდაგულ“ დარტყმა, მით უმეტეს ცემა, ჩვეულებითი სამართლის სანქციას ითვალისწინებდა. ზოგჯერ ხელის წაკვრით დაწყებული კონფლიქტი ცემით ან მკვლელობითაც კი მთავრდებოდა. ამდენად, მას ჩვეულებითი სამართალი მძიმე ხასიათის გადაცდომად მიიჩნევდა. ზემო აჭარაში შეკრებილი მასალით: „ზოგიერთი კაცი გალახვასაც არ გეიტანდა (ვერ აიტანდა — ლ. ბ.). რატომ გამლახო იტყოდა და მოკვლიდა... კარტის თამაშის დროს სახეში კარტი შემოკრა კაცმა კაცს. ვინცხას კარტი შემოკრეს იმის ძმიშვილი იყო იქ. რატომ შემოკარი კარტიო — ესროლა იარაღი და მოკლა“.[11] პიროვნება, რომელსაც ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, დაამცირეს, აბუზად აიგდეს, ცდილობდა მალე მიეზღო შეურაცხმყოფელისათვის სამაგიერო. გალახულის ინტერესს ყველა მისი ახლობელი (ძმა, მამა, შვილი, ბიძაშვილი) იცავდა და შესაძლებლობა თუ მიეცენოდათ, თითოეული მათგანი უსწორდებოდა დამნაშავეს. ზოგჯერ დარტყმაზე დარტყმით უპასუხებდნენ. დარტყმა „ზედმეტ-ნაკლები“ რომ იქნებოდა, გალახული შურისძიებისათვის ემზადებოდა. მხარეები ერთმანეთის მიმართ მტრულად განეწყობოდნენ და დროულად თუ არ ჩაერეოდა ხალხი დაპირისპირებულ მხარეთა შერიგებაში, გარტყმით დაწყებული მტრობა მკვლელობით დამთავრდებოდა.

აჭარაში „დაგინება“ პიროვნების დიდ შეურაცხყოფად ითვლებოდა. შეურაცხყოფილი ვერ ეგუებოდა ღირსების შელახვას და დამცირებულად მიიჩნევდა თავს იმ კოლექტივში, სადაც ცხოვრობდა და საქმიანობდა. შეგინებისათვის სამაგიეროს მიუზღველობით ილახებოდა არა მარტო შეგინებულის, არამედ მისი ოჯახის, ძმათა, განაყოფების, ბიძაშვილების და მთელი საგვარეულოს ღირსება.

სიტყვიერი შეურაცხყოფის ყველაზე მძიმე ფორმად ითვლებოდა დედის, დის, ქალიშვილის, ასლო ნათესავის და მკვდარის შეგინება. კინტრიშის ხეობის სოფ. კოსში გადმოგვცეს „კაცს ერთს დედას შეაგინებდი და მოგჭამა ჭირი — მეიკლებოდა“.[12] როგორც ჩანს ასეთი დეფინიცია რადიკალურია, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში ამ საკონფლიქტო სიტუაციის შემდგომი გართულების შესაძლებლობას, ანდა ზოგჯერ სპეციფიკურ ვითარებას, ასეთი ფორმულირება სინამდვილისაგან დაშორებულად არ უნდა მოგვეჩვენოს.

აჭარაში მოქმედი ხალხური სამართლით გაუპატიურება პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ უმძიმეს დანაშაულად ითვლებოდა. გაუპატიურება მარტო დაზარალებულისა კი არა, მისი ოჯახის სინდისის შელახვასაც ნიშნავდა, რაც უმეტესად დამნაშავის მოკვლით მთავრდებოდა. სოფ. ნიგაზეულიდან მთხრობელი გადმოგვცემს: „სვინდისზე იყო საქმე. თუ შეეხეოდი სხვის ქალს მოგკლიდნენ იმაზე. იმნაირ მკვდარს ამტყუნებდნენ“.[13] ასეთ შემთხვევაში მოკლულის მხარე სისხლს ვერ აიღებდა, რადგან მკვდარი გამტყუნებულად ითვლებოდა. ამ დროს მოკლულის სისხლის აღებას აჭარული ჩვეულება კრძალავდა, იგი არ იწვევდა მესისხლეობას. ასეთ ვითარებაში ჩადენილ სისხლის აღებას საპასუხო აქცია გამონაკლის შემთხვევაში თუ მოყვებოდა.

ისე როგორც „ქალზე შეხვევა“ გათხოვილი ან გასათხოვარი „ქალის შეყვარებაც“ აჭარაში მოქმედი ხალხური სამართლით ქალის ოჯახის წევრების და ახლობლების მძიმე შეურაცხყოფად ითვლებოდა. ამდენად მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალით ზოგჯერ იგი მკვლელობის მიზეზიც კი შეიძლებოდა გამხდარიყო. „შეყვარება“ გულისხმობდა ქალის მიერ ნებაყოფლობით სქესობრივი კავშირის დამყარებას შეყვარებულ პირთან, ასეთ შემთხვევაში გათხოვილი ქალის ქმარი, ან გასათხოვარი ქალის მამა და ძმა ცდილობდა საკადრისი პასუხი მოეთხოვა შეურაცხმყოფელისათვის. დამცირებული მხარე კლავდა „შეყვარებულ“ კაცს და ამით იხსნიდა იმ სირცხვილის გრძნობას, რაც მას მიაყენეს.

ეთნოგრაფიული მასალით დადასტურებულია ისეთი შემთხვევა, როცა მკვლელობის მიზეზი სასიძოს უარით გასტუმრება, „ქალის მიცემაზე უარიც“ შეიძლება გამხდარიყო, ანდა დათანხმება ქალის მიცემისა და შემდეგ პირობის შეცვლა გამაწბილებელი, შეურაცხმყოფელი მოქმედება იყო. ხშირად სასიძო ფიზიკურად მოსაწონი იყო ქალის ახლობლებისათვის, მაგრამ „გვარს უწუნებდნენ“. დაწუნებული დამცირებას გულში ატარებდა და ცდილობდა ქალის მამის მოსაკლავად „ხელში ჩაგდებას“ და ზოგჯერ მიზანსაც აღწევდა. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ სოფ. კუჭიეთში ფიქსირებულ მასალას: ა. ე.-ძეს კაცი ვერ „დოუდგებოდა“ წინ. მას ქალი არ მისცა მ. ხ-ძემ. ქალი არ მისცეს „რადგან მას გვარი არ უვარგოდა“. „დაწუნებულმა“. ამისთვის მოკლა მ. ხ-ძე (ქალის მამა).[14] „დაწუნებული სასიძო“ უფრო მეტად ქალის მამას ემტერებოდა, რადგანაც ოჯახში ყველაზე მნიშვნელოვან საქმეებს მამის ნებართვის გარეშე ვერ წყვეტდნენ. ქალის გათხოვება კი ოჯახური ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი იყო.

---

[11] ლ. ბოჭორიშვილი, 1974 წლის ზემო აჭარის ექსპედიციის დღიური, № 7, გვ. 9.
[12] ლ. ბოჭორიშვილი. 1974 წელი, ზემო აჭარის ექსპედიციის დღიური, № 7, გვ. 9.
[13] ლ. ბოჭორიშვილი, 1974 წლის ზემო აჭარის ექსპედიციის დღიური, № 8, გვ. 14
[14] ლ. ბოჭორიშვილი, 1974 წელი, კინტრიშის ექსპედიციის დღიური, № 2, გვ. 92.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭარაში დანიშნულის წამყვანი სასიკვდილოდ იყო გამეტებული. დანიშნულის სხვაზე გათხოვება დიდ დანაშაულად ითვლებოდა. სიკვდილი ემუქრებოდა, როგორც დანიშნული ქალის გამთხოვებელს, ასევე მის ცოლად წამყვანსაც. აჭარელ სასიძოს დანიშნულის სხვაზე გათხოვება დიდ სირცხვილად მიაჩნდა და იგი გვარებს შორის შურისძიების მიზეზიც ხდებოდა. შურისძიება მოსალოდნელი იყო მაშინაც, როდესაც ქალი უყვარდა ერთს, სურდა მისი ცოლად შერთვა, მაგრამ მეორემ წაიყვანა. ქალის წამყვანს კლავდა ის, ვისაც ქალი უყვარდა, მიუხედავად იმისა, ამ უკანასკნელს ქალი არც დანიშნული ყავდა და არც ქალის პატრონს ჰქონდა ნათქვამი თანხმობა ნიშნობაზე. ამ ნოტივით მკვლელობის დროს სავალდებულო იყო ქალის წამყვანს ქორწინებამდე სცოდნოდა, რომ ქალი უყვარდა იმ პიროვნებას, რომელმაც შემდეგ მტრად ჩათვალა ქალის წამყვანი.

ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, აჭარაშიც ქალის მოტაცება არ უნდა ყოფილიყო ქორწინების გაბატონებული ფორმა. მოტაცების შემდეგ ორ გვარს შორის მტრული ურთიერთობა მყარდებოდა, რომლის აღსაკვეთად აუცილებლად შერიგება იყო საჭირო. მოტაცების გზით ქალის დასაკუთრების წესი მოქმედი ჩვეულებითი სამართლის საწინააღმდეგო მოქმედებად არის მიჩნეული. ზემო აჭარის სოფ. დიდაჭარაში მცხოვრები მთხრობელი გადმოგვცემს: „...კაცი რომ გაიტაცებდა ქალს გამეესხრიკებოდნენ (დაედევნებოდნენ — ლ. ბ.). ან უნდა დაეტოვა, ან უნდა მეეკლათ“.[15]

მკვლელობის ერთ-ერთ მიზეზად აჭარაში მიიჩნევდნენ აგრეთვე ქურდობას. რაიმეს მოპარვის შემთხვევაში „მომქურდავი“ არა მარტო ეკონომიურად ასუსტებდა დაზარალებულს, არამედ დიდ მორალურ შეურაცხყოფასაც აყენებდა მას. დაზარალებული უმეტესად თავს შერცხვენილად უფრო გრძნობდა, ვიდრე მატერიალურად დაზარალებულად. ქედის რაიონის, სოფ. ხარაულაში აღწერილი მასალით: „ქურდობა შეურაცხყოფა იყო კაცის. როგორ მომპარაო ამან და ამაზედ მოკლავდა კაცი კაცს“.[16]

ქურდს, უმეტესად მაშინ კლავდნენ, თუ მას წასწრებდნენ, ანდა თუ მოპარულ საქონელს უკან აღარ აბრუნებდა.

მიწის საზღვრის („მიწის სინორის“) დარღვევა ზოგჯერ ასევე ხდებოდა მკვლელობის გამომწვევი მიზეზი. დამრღვევს კლავდა დარღვეული საზღვრის პატრონი. ამასთან „სინორი“ იქნებოდა თითონ მოხნული თუ საზღვარს იქით გადავიდოდა „ერთი მტკაველით“ კაცი, სულ ერთი იყო, ის დამნაშავედ ითვლებოდა და ცალკეულ შემთხვევაში კლავდნენ კიდეც.

ძველმა საგვარეულო ადათმა აჭარაში შემოგვინახა „კაი ბიჭობის“ ინსტიტუტი. ეს იგივეა, რაც ხევსურეთში „კაი ყმა“. აჭარაში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალით „კაი ბიჭობაზე“ სოფელში ბევრი აცხადებდა პრეტენზიას. ერთმა სადღაც ჩაიდინა სანაქებო საქმე ;მეორემ კარგი სიტყვა თქვა; მესამემ ივაჟკაცა. სოფელი ასეთებს აფასებდა და „კაი ბიჭად“ თვლიდნენ. „კაი ბიჭები“ კი ერთმანეთს ვერ იტანდნენ და ხშირად უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. შურის და მტრობის მიზეზი პირველობისათვის ბრძოლა იყო. „კაი ბიჭობაში“ შეცილება შუღლშიც გადაიზრდებოდა, რაც მკვლელობის მიზეზი ხდებოდა.

ქობულეთის რაიონის სოფ. ხინოში ჩაწერილი მასალით: „მანამდე ასეთიც ხდებოდა. შენ კაი ბიჭი ხარ, მეც კაი ბიჭი ვარ. ვეღარ ვტანილობთ ერთმანეთს“[17] და იწყებოდა მტრობა.

ამგავარად აჭარაში სისხლ-მესისხლეობის უშუალო მიზეზი უმეტესად განზრახი მკვლელობა იყო, რასაც ჩვეულებითი სამართალი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამართლებდა. მაგრამ ამასთან ერთად იყო რიგი საკონფლიქტო სიტუაცია, რომელსაც გართულების შემთხვევაში და გარკვეულ პირობებში მოყვებოდა მკვლელობა, რაც თავის მხრივ შემდგომ მესისხლეობის მიზეზი ხდებოდა.

სისხლ-მესისხლეობის ინსტიტუტის მავნე გადმონაშთების მეცნიერულმა შესწავლამ ხელი უნდა შეუწყოს ამ დანაშაულის აღმოფხვრას.

---

[15] ლ. ბოჭორიშვილი. 1974 წლის ზემო აჭარის საექსპედიციო დღიური, № 6, გვ. 91.
[16] ლ. ბოჭორიშვილი, 1974 წლის ზემო აჭარის საექსპედიციო დღიური, № 6, გვ. 91.
[17] ლ. ბოჭორიშვილი, 1974 წლის კინტრიშის ხეობის საექსპედიციო დღიური, № 4, გვ. 19.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიცის როლი სვანურ სამართლებრივ ჩვეულებებში

„მაღვრა მუშკვშას ვერ ხოქდენი — (ფიცის გამტეხს მიწა უსკდება),—ასეთი იყო ფიცზე წარმოდგენა ძველად სვანეთში.

ფიცი, როგორც რელიგიურ-იურიდიული მნიშვნელობის აქტი, მნიშვნელოვან მტკიცებულებად ითვლებოდა უძველესი აზიის და ევროპის სასამართლოებში. მონათმფლობელურ და ფეოდალურ კანონმდებლობაში ფიცს თვითონ სახელმწიფო ხელისუფლებამ მიანიჭა კანონის ძალა. ფიცს იყენებდნენ საზოგადოებრივი ურთიერთობის თითქმის ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხის მოსაგვარებლად.

ფიცს, როგორც იურიდიული მნიშვნელობის საბუთს, დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა სასამართლოებში. იგი სანქციონირებულია სახელმწიფო ხელისუფლების მიერ. ფიცის მიღებით იწყება სასამართლო პროცესები, ფიცს იღებენ მოსამართლეები, მაღალი თანამდებობის პირები და თვით პრეზიდენტებიც კი.

ძველ ქართულ სამართალში სასამართლო მტკიცებულობის წერილობით საბუთად პირველად XI საუკუნის ოპიზის სიგელი გვევლინება. უნდა ვივარაუდოთ, რომ XI საუკუნემდე ფიცი საქართველოში აბსოლუტურ მტკიცებულებათ ითვლებოდა.

ძველ ქართულ სამართალში ფიცის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ ბაგრატ კურაპალატის სამართალში ფიცი მოხსენებულია 113, 114, 119, 120, 140 და 145 მუხლებში. ბექა-აღბულას სამართლის 27, 33, 35, 37, 62, 63, 65, 66, 85, 86, 91 მუხლებში, ვახტანგ VI-ს სამართლის 11, 12, 40, 41, 97, 143, 144, 147 მუხლებში.

ფიცს, როგორც მტკიცებულებით საბუთს განსაკუთრებული მნიშვნელობა ქონდა სვანეთში. ფიცი სვანეთში სამართლის ქმნის ძირითადი და სამართლებრივი მოწესრიგების უნივერსალური ფორმა იყო. ფიცის გარეშე ვერ წყდებოდა ვერც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, ვერ იდებოდა რაიმე გარიგება, ვერ შეიკვრებოდა პირობა, ვერ დაზავდებოდენ ან შერიგდებოდენ მოქიშპენი. როგორც ისტორიკოსი დ. ბაქრაძე მიუთითებდა: „სვანეთში ფიცი მეტად დიდ როლს თამაშობდა, უიმისოდ შეუძლებელი იყო როგორც მოსისხლე მტრის შერიგება, ისე სისხლის გადახდა“ (ЗКОИРГО IV, 1864 გვ. 55).

შეკრებილი მასალები გვიჩვენებს, რომ სვანური ფიცის ფორმულები შინაარსის მიხედვით ორი მიმართულებისაა:

ა) ფიცის ფორმულები, რომელიც სამართალწარმოების დროს გამოიყენებოდა იურიდიულ მნიშვნელობის ფაქტების დასადასტურებლად, და

ბ) ფიცი, რომელსაც იყენებდნენ ყველა დანარჩენ საქმეზე,

ფიცის ფორმულები განსხვავდებიან აგრეთვე ფორმითაც. ფორმის მიხედვით ვსვდებით შემდეგი სამი ძირითადი სახის ფიცს:

ა) ტოლობის ფიცი („ტოლობა მაღვრა“)

ბ) მართლიერების ფიცი, („ლიმწოდა ლემაღვრა“)

გ) ერთგულების ფიცი („ნაერთგულემი მაღვრა“)

ამ სამი ფორმიდან პირველ ორს მხოლოდ სამართლებრივი დავების გადასაჭრელად იყენებდნენ, ხოლო მესამეს თითქმის ყველგან სამოქალაქო ურთიერთობის პრაქტიკაში.

ინტერესი ფიცისადმი, როგორც იურიდიული ნორმისადმი, იმითაც აიხსნება, რომ მტკიცებულების ამ ფორმამ, მიუხედავად უძველესი წარმოშობისა, ბოლომდე შეინარჩუნა ძალა. როგორც ნ. ურბნელი მიუთითებდა ყველა ორდალი მოისპო და ფიცი ბოლომდე იქნა შემორჩენილი. ფიცს ერთნაირად იღებს რიგითი მოხელიდან დაწყებული პრეზიდენტამდე გათავებული. ამ წესის დაცვას მოითხოვენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები.

ის ფაქტი, რომ ძველ ქართულ სამართალში ფიცზე ლაპარაკია 25-ე მუხლში მიუთითებს, რომ ფიცს ჩვენშიც დიდი მნიშვნელობა ქონდა მინიჭებული. ძირითადად იგი ორი მიმართულებისა იყო: სამოქალაქო ურთიერთობაში და სასამართლო წარმოებაში გამოსაყენებელი ფიცი. თუმცა ქართული სამართლის წყაროების მიხედვით ჯერჯერობით მიკვლეული არ არის ფიცის წერილობითი ტექსტი, მაგრამ კანონმდებლობაში ფიცზე როგორც მტკიცებულებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახეზე მრავალი მუხლის არსებობა ადასტურებს, რომ არსებობდა ფიცის გარკვეული ფორმულები, ტექსტები. რომლებსაც მტკიცებულობის ძალა ჰქონდათ. ყოველ შემთხვევაში ზეპირი ტექსტები მაინც უდაოდ უნდა არსებულიყო. სვანური ფიცის ფორმულების ჩვენს მიერ შეკრება და წერილობით ჩამოყალიბება ვფიქრობთ ერთგვარად სასარგებლოა სამართლის ისტორიისათვის. მტკიცებულების ამ სახის შესასწავლად ისინი მდიდარ მასალას იძლევიან. სვანური ფიცის ზეპირ ტექსტებში იურიდიული ხასიათის ნორმები ისე ორიგინალურად და მარტივად არის გადმოცემული, რომ ისინი უშუალოდ წარმოადგენენ ჩვეულებით სამართალს.

მორვების სასამართლოში თითქმის არცერთი მნიშვნელოვანი საკითხი უფიცოდ არ წყდებოდა. ფიცის ძალა განმტკიცებული იყო პრაქტიკული ცხოვრებით და კუთხის ადათ-ჩვეულებით. ადათით იყო დამკვიდრებული მოფიცართა რიცხვი, ადგილი დრო და სხვა მთელი რიგი გარემოებანი. ცალკეულ დანაშაულობათა მიხედვით იყო განსაზღვრული მოფიცართა რაოდენობა. მათი რიცხვი 1-დან 24 კაცამდე ადიოდა. ასე იყო ეს ქართულ სამართალშიაც. ვახტანგ VI-ის კანონის მიხედვით მოფიცართა რიცხვი დამოკიდებული იყო ქონებრივი ან მორალური ზიანის სიდიდეზე: „რამდენი ხარის საქმე იყოს, იმდენი მოფიცარი შევარდების, თავისი ყადარი, უმტერ-უმოყვრო, მის გარშემო მისის ხეობისა“.

სვანური ადათით გლეხის ხასისხლო საქმეზე მოფიცართა რიცხვი 12-მდე ადიოდა, ხოლო აზნაურისა 24-მდე. ადათი ხაზს უსვამდა იმასაც თუ რამდენად მორწმუნე იყო მოფიცარი, როგორი იყო მისი პიროვნული და გვაროვნული ღირსებები, ყავდა თუ არა მას შვილები, ძმები რომელთა რიდით შეიძლება მორიდებოდა ფიცის გატეხას. ასე იყო ეს ქართულ სინამდვილეშიც. „ვეფხისტყაოსანში“ ვკითხულობთ: „მისი მეფისა წესი იყო: თავი მისი ძვირად ფიცის და თუ ფიცის არ გატეხის, მასვე წამს და დაამტკიცის“ —

სვანური „ლუფხვილები“ აუცილებლად ფიცის გაუტეხელნი უნდა ყოფილიყვნენ. მოფიცრის ასეთი თვითშეგნება ჩვეულების ურყევი მოთხოვნა იყო და მას იოლად ვერავინ გადააბიჯებდა. ფიცის საშუალებით სვანური მორვები დაბოლოებით სწყვეტდნენ ყველაზე ურთულეს საქმეებს თვით დამნაშავის სიკვდილით დასჯამდეც კი. ამის შემდეგ რაიმე აპელაცია და გადაწყვეტილების შეცვლა დაუშვებელი იყო. მართებულად შენიშნავდა მ. კოვალევსკი სვანური ფიცის გამო, რომ „სასამართლო მტკიცებულების ერთად-ერთ საშუალებას წარმოადგენს მხოლოდ ფიცი და თანამოფიცრობა. ფიცის გარეშე ყოველგვარი ჩვენება მნიშვნელობას მოკლებულია“ (М. Ковалевский, в Сванетии, стр. 10—11).

ფიცი სვანური სამართლის მიხედვით ზოგ შემთხვევაში უშუალოდ სასჯელის ზომად გვევლინება. როდესაც მესისხლეთა შერიგებაზე თანხმობა დამოკიდებულია მხოლოდ ფიცის წარმოთქმაზე, რომლის მიხედვით დამნაშავეს ფიცის სარკაული სიტყვებით შეაჩვენებდნენ, ამ შემთხვევაში იგი უშუალოდ სანქციაა. ამიტომაც მიუთითებდა მ. კოვალევსკი: „ფიცი წარმოადგენს ერთადერთ სანქციას სვანეთში. იძულების სხვა საშუალებები სვანური ადათებით უცნობიაო“ (იქვე გვ. 23).

ფიცით დანაშაულის პატიება სხვა არაფერია, თუ არა დამნაშავისათვის მორალური სანქციის შეფარდება და ეს სანქციაც რელიგიით იყო რეგლამენტირებული. იქ სადაც რელიგია მძლავრობს, მისი ატრიბუტის, ფიცის ძალაც ძლიერია. სვანური ადათები თავიდან ბოლომდე რელიგიური სულისკვეთებიდან გამოდიან, ამიტომაც ისეთ მორალურ სანქციას, როგორიც იყო ფიცი სადაო საქმეებში ვერაფერი გაუტოლდებოდა. ამაშია მისი უნივერსალობის არსი. სვანეთში ფიცზე იყო დამოკიდებული ყველა იმ საკითხის მოგვარება და გადაწყვეტა, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით მოგვარებასა და გადაწყვეტას მოითხოვდა. ფიცი იყო აბსოლუტური მტკიცებულების გადამწყვეტი საბუთი. ფიცის შემდეგ დაუშვებელი იყო ყოველგვარი დავა. ფიცი იყო აგრეთვე სასამართლო მტკიცების უნივერსალური ფორმაც. ფიცის გარეშე არ დაეჯერებოდა თვით მოწმეს. ამიტომაც საბოლოო ჯამში მტკიცებულებათა იურიდიულ საფუძველს სვანეთში ფიცი და თანამოფიცრობა წარმოადგენდა.

დ. დავითულიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე მაჩაბელი სამსჯავროს წინაშე

1884 წელს გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა ამავე გაზეთის კორესპონდენტის ქაიხოსრო გელოვანის მამხილებელი წერილი რაჭის სასოფლო ბოქაულ-ალექსანდრე წულუკიძის დანაშაულობათა შესახებ. წულუკიძემ გაზეთის რედაქტორს ივანე მაჩაბელსა და კორესპონდენტ ქაიხოსრო გელოვანს სასამართლოში უჩივლა. იგი წერდა: გაზეთ „დროებაში“ უპატიურად ვიყავი მოხსენებული, სხვა და სხვა ბრალი მედებოდა და ამიტომ სასამართლოს ვთხოვ მოპასუხენი დაისაჯონ ცილისწამებისათვისო.

იმავე წლის 23 სექტემბერს თბილისის პირველი განყოფილების მომრიგებელ სასამართლოში გამოწვეულ იქნენ: ივანე მაჩაბელი, ქაიხოსრო გელოვანი და მომჩივანი ალექსანდრე წულუკიძე.

ვიდრე მომჩივანისა, ივ. მაჩაბლისა და ქ. გელოვანის კამათი დაიწყებოდა, გელოვანმა სასამართლოს განუცხადა: რაც მე ალ. წულუკიძის შესახებ დავბეჭდე „დროებაში“, მართალი არ აღმოჩნდა, ვინც მიამბო ამ საქმის თაობაზე, იმან შემაცდინაო. მომჩივანმა ა. წულუკიძემ, ივ. მაჩაბელმა და ქ. გელოვანმა სასამართლოს თავთავიანთი მოთხოვნები გადასცეს. სასამართლომ ისინი მოარიგა და საქმე მოსპო.

ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ივანე მაჩაბელი სამსჯავროს წინაშე წარსდგა, მაგრამ ამით როდი გათავდა „დროების“ რედაქტორის საქმე. ეტყობა მას მოსვენება და სიმშვიდე არ ეწერა.

მალე „დროებაში“ დაიბეჭდა კორესპოდენცია, რომელშიც მხილებული იყო ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ყოფილი ზედამხედველი ფხაკაძე (სახელი უცნობია), რომელიც თურმე სამსახურებრივ მდგომარეობას ბოროტად იყენებდა და მექრთამეობას ეწეოდა. ფხაკაძემ აღძრა საჩივარი სასამართლო პალატაში. სამართალში მიცემული იქნა ივანე მაჩაბელი, როგორც გაზეთის რედაქტორი. ამავე დროს პალატაში ირჩეოდა მეორე საქმეც, რაც აღძრა რაჭის სოფლის ბოქაულმა ალ. წულუკიძემ. მართალია, ეს საქმე მომრიგებელმა მოსამართლემ მოსპო, მაგრამ მომჩივანი წულუკიძე, ეტყობა, ამით არ დაკმაყოფილდა და საქმე სასამართლო პალატაში გადაიტანა. იგი მოითხოვდა სამართალში მიეცათ ქაიხოსრო გელოვანი, აგრეთვე ივანე მაჩაბელიც, რედაქტორი გაზეთისა, რომელმაც ნება დართო ამ წერილის დაბეჭდვისა.

სასამართლო პროცესი 1886 წლის 7 ოქტომბერს შედგა.

სასამართლო პალატაში ივანე მაჩაბელმა საჭირო მასალები წარადგინა და წარმოსთქვა თავის დასაცავი სიტყვა. პალატის პროკურორმა ბოქაულ წულუკიძის საქმეზე ივ. მაჩაბელსა და ქაიხოსრო გელოვანს ბრალდება მოუხსნა, ხოლო ფხაკაძის საქმეზე კი ორივე მათგანს ბრალი დასდო და მოითხოვა მათი დასჯა. სასამართლო პალატამ ქ. გელოვანს 100 მანეთი ჯარიმის გადახდა მიუსაჯა, ხოლო ივ. მაჩაბელი 50 მანეთით დააჯარიმა.

ივ. მაჩაბელმა და ქ. გელოვანმა ეს საქმე სენატში გადაიტანეს.

ივანე მაჩაბელმა გაზეთ „დროებაში“ ამის გამო წერილი დაბეჭდა სათაურით „ჩვენი პროცესის გამო“, რომელშიც გაბაბითილა მათზე წარდგენილი ბრალდებები.

აი, ეს წერილიც: „ამას წინათ სამოსამართლო პალატაში ორი სადიფამაციო საქმე გაარჩია ჩვენს საქმეზე მოჩივრებისა. გვიჩიოდნენ ბ. ბ. ფხაკაძე და წულუკიძე. ბ. ფხაკაძე გაამტყუნა და ბ. წულუკიძე დროებით გაამართლა. ვამბობ „დროებით“ იმიტომ რომ პროცესის შემდეგ შეძენილი დოკუმენტების იმედი გვაქვს სრულიად დაამტკიცებენ ჩვენს სამართლეს სენატში და იქნება პრინციპიალურადაც აიხსნას ის საგანი, რომლის თაობაზედაც საჩივარი ატყდა და რომელიც ღირსია სრული გამორკვევისა და ახსნისა.

ჩვენ გვსურდა, რომ სასამართლოს ბოქაულისაგან გზის ხარჯის აღების საქმე როგორმე გამორკვევულიყო ჩვენი პროცესით მაინც, მაგრამ, სამწუხაროდ, გამოურკვეველი დარჩა და რომ ამ საქმის გამორკვევა საჭირო არის განსაკუთრებით სოფლელებისათვის, რომელთაც სასამართლოს ბოქაულებთან ხშირად აქვთ საქმე და არც კი იციან, რამდენი — უნდა მისცენ გზის ხარჯი, — ვგონებ ამაში ეჭვს არავინ შემოიტანს.

ბ. პროკურორის სიტყვას, ჩვენს წინააღმდეგ მიმართულს, მხოლოდ იმის დამტკიცება უნდოდა, რომ ჩვენ ვერ წარვადგინეთ საკმაო დოკუმენტები ბ. წულუკიძის გასამტყუნებლად, მაგრამ რომ წარგვედგინა, ბ. წულუკიძეს იცნობდნენ კანონის დამრღვევად თუ არა? კანონი „პრაგონების“ შესახებ არაფერს არ ამბობს გამორკვეულად და ბოქაულებიც სარგებლობენ ხშირად ამ გამოურკვევლობით და ერთ გზაზე ხუთგზის საქმეს აკეთებენ და იკეთებენ.

მაგრამ, ვთქვათ, აღმოჩნდა რომელიმე სვინდისიერი ბოქაული და არ მოინდომა ამგვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად ხალხის ძარცვა, როგორ უნდა მოიქცეს იგი მაშინ, როცა ერთსა და იმავე სოფელში, ან ახლომახლო რამდენიმე საქმე აქვს, გზის ხარჯს ხაზინა არ აძლევს, რომელთაც მიიწვიეს იგი, მაგრამ რომელი ერთისაგან აიღოს ან რამდენი?

ვთქვათ, კიდევ ერთ სოფელში მცხოვრებთ გზის ხარჯი თანაბრად გაუყოს და ისე გადაახდევინოს, იმათ რაღა უყოს და რა ანგარიშზედ გამოართვას, რომელნიც პირველ სოფელზე ერთი და ორი ვერსის მოშორებითა ცხოვრობენ?

ერთი სიტყვით, ეს ნაკლოვანება კანონისა მეტად სამძიმოა ბოქაულისათვის.

ჩვენი აზრით, ამ ნაკლოვანებების აცილება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ კერძო პირს ბოქაულთან ფულის საქმე სრულიად არ ექნება. ამგვარი დამოკიდებულება ბოქაულისა და კერძო პირს შორის ყოველთვის ამცირებს კანონს ხალხის თვალში და ბადებს სხვადასხვა უსიამოვნებას, ხშირად საფუძვლიანს და ხანდახან უსაფუძვლო საყვედურსაც. მაგრამ თუკი ისეთი დამოკიდებულება ბოქაულისა და კერძო პირთა შორის მოისპობა, თუ სასამართლო ვალად დადებს ყოველ კერძო პირს, რომელსაც კი ბოქაულთან აქვს საქმე, გადაბრილი გადასახადი წარადგინოს, რომელიც სასურველია, ეხლანდელზე მცირე უნდა იყოს და გზის ხარჯიც თითონს სასამართლომ აძლიოს. ეს ბევრად უკეთესი იქნება როგორც კერძო პირთათვის, ისე თვით სასამართლოს სახელისათვის"!

გაზეთი „დროება" კვლავ ბეჭდავდა მამხილებელ კორესპონდენციებსა და წერილებს. გაზეთს თავის ფურცლებზე გამოჰქონდა ცხოვრების სიდუხჭირის მკვეთრი სურათები, ამხელდა ყველა იმ პირებს, რომლებიც დანაშაულს ჩადიოდნენ.

1885 წელს „დროებაში" დაიბეჭდა მამხილებელი წერილი, რომელშიც გამოყვანილი იყო ბათუმელი ვინმე ხოჯა, აღწერილი იყო მისი „საქმენი საგმირონი". წერილში რატომღაც თავისი თავი ამოიცნო ოზურგეთის მაზრის ყოფილმა უფროსმა ვირუბოვმა, რომელმაც სასამართლოში შეიტანა საჩივარი. „დროებაში" დაბეჭდილ ფელეტონში აღწერილ საძრახისსა და სათაკილო საქციელს მე მაწერენო. ამის გამო შეურაცხყოფილი ვარ და გაზეთის რედაქტორი ივანე მაჩაბელი სამართალში მიეცით და დასაჯეთო.

სასამართლო პალატაში იმ დროს შედიოდნენ: თავმჯდომარე გონჩაროვი, წევრები: მიხაილოვი და ბულატნიკოვი, პროკურორი იყო სტალინსკი.

სასამართლო პალატის სხდომაზე წაკითხული იქნა ფელეტონი „გურიის ცხოვრებიდან", რომელშიაც ზღაპრული ენით მოთხრობილი იყო ცხოვრება ვინმე ხოჯასი, მოლასა და დალაქის ოინები და საძრახისი მოქმედებანი.

ამის შემდეგ პროკურორმა სტალინსკიმ წარმოსთქვა საბრალდებო სიტყვა. ყველას გასაკვირველად პროკურორმა თქვა: ფელეტონი „გურიის ცხოვრებიდან" არის დაწერილი, ხოლო ხოჯად გამოყვანილია ოზურგეთის მაზრის უფროსად ნამყოფი ბ-ნი ვირუბოვი, მოლა სახელად ბესო, მისი თანაშემწეაო. მართალია პირდაპირ ამის დამტკიცება ძნელია, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამ ფელეტონში ბევრი ისეთი გარემოებაა მოხსენიებული, რომელიც მხოლოდ მაზრის უფროსსა და თანაშემწეს უნდა ეხებოდეს, ცხადი იქნება, რომ აღნიშნული ფელეტონის დამწერს სწორედ ოზურგეთის ადმინისტრაციის მოხელენი ჰყოლია მხედველობაში და მათი სახელისა და პატიოსნების შებღალვა უნდოდაო.

ივანე მაჩაბელს დამცველი არა ჰყავდა. თავის დაცვით სიტყვაში სრულიად გააბათილა პროკურორ სტალინსკის საბრალდებო სიტყვა. ივ. მაჩაბელმა თავის სიტყვაში თქვა: „ბ-ნო მოსამართლენო! აბა რასა ჰგავს ბ-ნ პროკურორის სიტყვა, ფელეტონში სრულიად არ არის მოხსენიებული მომჩივანი ვირუბოვი და მისი თანაშემწე და აბა საიდან იცნო მან თავისი თავი აღწერილ ხოჯაში. ხოჯა შეიძლება სულ სხვა პირი იყოს და არა მაზრის უფროსად ნამყოფი ბ-ნი ვირუბოვი".

სასამართლო პალატამ ივანე მაჩაბელს გამამართლებელი განაჩენი გამოუტანა.

ივ. მაჩაბელმა ამის გამო „დროებაში" დაბეჭდა წერილი, სადაც მკვეთრად ამხილა ბრალდების უსაფუძვლობა. ამ წერილის სათაურია „მეორე მხარესაც განკითხვა უნდა", სადაც იგი აშკარად ამხელს, მაშინდელი პრესისა და მის მუშაკთა სავალალო მდგომარეობას, იგი სწერდა სასტიკი ცენზურისა და სასამართლო დევნის პირობებში კაცს თავის სათქმელი ვერ უთქვამს, გაზეთში დაბეჭდილ სულ უბრალო წერილსა და ფელეტონს, ისიც სიმბოლურად გამოთქმულს დიფამაციად აცხადებდნენ და ეს უკვე სასამართლო დევნის საბაბი ხდებაო. „ნუ გაგვიცხავთ, მკითხველნო, თუ ამ წერილში ისეთ საგანზედ ჩამოვაგდებთ ლაპარაკს, რომელიც პირველი შეხედვით, თითქო თქვენ სრულიად არ შე-

1. „დროება", 1884 წ., № 224

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეხებათ და რომელზედაც იქნება თავისდღეშიაც არ გიფიქრიათ. მაგრამ თუ ლიტერატურის მოღვაწეობა მკითხველთაგან სასარგებლოდ არის ცნობილი, თუ რაიმე ზნეობრივი კავშირი არსებობს მწერლებსა და საზოგადოებას შორის, მაშინ პირველთა ბედი მეორისათვის უცხო არ უნდა იყოს და არც ერთმა შეგნებულმა მკითხველმა არ უნდა თქვას: ოღონდ მე ჩემს ვადაზედ ჟურნალი ან გაზეთი მომივიდეს და იმათმა შემდგენლებმა თუნდა თავი ქვას ახალონო. გაზეთებისა და ჟურნალების ვარგისიანობა, ან უვარგისობა იმაზედ არის დამოკიდებული, თუ მათში მშრომელნი რამდენად თავისუფალნი არიან, რამდენი დრო და მოცალება აქვთ ამ ფრიად საფრთხილო და საჭირო საქმისათვის, რამდენად გარეშე ვითარებანი ხელს არ უშლიან მათ მოღვაწეობას და მათ გულისყურს სხვა საგნებისადმი არ მიაპყრობენ.

ნუღარას ვიტყვით იმაზედ, რომ ჩვენში მწერლებს უეჭველად სხვა, ლიტერატურის გარეშე, საქმეც უნდა ჰქონდეთ, თუ თავის რჩენა უნდათ. ამაზე ბევრი თქმულა, დაწერილა და ახალის თქმა და დაწერა ძნელია. აქ მივაქცევთ ყურადღებას სრულიად სხვა გარემოებას, რომელიც მწერალს მუდამ სისხლს უხდენს და თავის პირდაპირ საქმეს აცდენს.

თითქმის კვირა ისე არ გაივლის, რომ ან გამომძიებლიდან ან სასამართლო პალატიდან უწყება არ მოგვივიდეს, რომელშიაც თქვენს უმორჩილეს მოსამსახურეს იბარებენ ცილისწამების ან დიფამაციის გამო. უწყებაში არ არის მოხსენებული, ვინ გიჩივის, რაზ გიჩივის, რაზედ გიჩივით, უნდა წავიდეთ დაბარებისამებრ, დოკუმენტებს მოუყაროთ თავი, სასამართლოში გარჩევის დღეს გამოცხადდეთ, ბრალდებულთა სკამზედ დაჯდეთ, იქ სადაც თქვენზე წინათ ქურდი ან კაცის მკვლელი იჯდა და ბოლოს საქმე უნდა დაბოლოვდეს, რომ სასამართლომ გამოგიცხადოთ, თქვენ ეხლა თავისუფალი ხართო.

თქვენს მოპირდაპირეს კი, რომელიც ცილისწამებას გაბრალებდათ, რომელსაც ადვოკატი არც კი დასჭირდა, რადგან მის მაგიერობას პროკურორი ჩადის, რომელსაც საქმის გარჩევის დღეს შეეძლო სასამართლოზე არც კი დასწრებოდა და მხარ-თეძოზე წამოწოლილი ყოფილიყო, ამ თქვენ მოპირდაპირეს ყოველივე ეს თქვენი გაბიაბურება დედისრძესავით უნდა შეერგოს. თუ გაგამტყუნებენ, ხომ კარგი, თუ არა და ამაზედაც ბევრს არაფერს ინაღვლის.

ვინ ამბობს, გაზეთი და იმის რედაქტორი დაუსჯელნი არ უნდა დარჩნენ, თუ რომელიმე კერძო პირი უმართებულოდ და უსამართლოდ, ცუდად არის მოხსენიებული, მაგრამ ვგონებთ, სამართლიანობა მოითხოვდა, სასჯელი თვით საქმის დამწყებსაც რგებოდა, თუ მან საქმე სრულიად უსაფუძვლოდ დაიწყო, ან გაზეთში მის შესახებ გამოცხადებული ფაქტები გამართლდა.

მოიგონოს მკითხველმა რამდენიმე მაგალითი თვითონ ჩვენი გაზეთის შესახებ:

ბ. ფხაკაძეს „დროებამ“ სხვადასხვა ბოროტმოქმედება დასწამა. ფხაკაძემ სასამართლოში იჩივლა. სასამართლომ ჩვენ გაგვამართლა. მაშასადამე, რასაც ფხაკაძეს ვაბრალებდით, საფუძვლიანი გამოდგა. ფხაკაძე ამჟამად მეორე თანამდებობას ასრულებს სრულიად დაუსჯელად და ჩვენ კი წვალება და ხარჯი წილად გვხვდა.

შარშან „დროებაში“ ნაამბობი იყო იმ უწესოებაზე, რომელიც ნავთლუღის ფერშლების სკოლაში სწარმოებს. ბ. მ-მა უმთავრესმა პირმა ამ სკოლის გამგეობაში, წერილით პასუხი მოგვიგო და თუმცა ცილისწამებას გვაბრალებდა, მაგრამ ყველაფერს კი ამტკიცებდა, რაც ჩვენს გაზეთში იყო ნათქვამი. ახლა, ერთი წლის შემდეგ ვიღაც შუხოვი, თუ ბუტოვი, ინსპექტორი ამ სკოლისა, სასამართლოში გვიწვევს ამ საქმის გასარჩევად და უარყოფს იმას, რაც თითონ იმისმა უფროსმა, თუმცა კი უნებურად, მაგრამ თავის კალმითვე აღიარა. ჩვენ სრული იმედი გვაქვს ამ საქმეში გავმართლდეთ, მაგრამ მაინც წვალება და ხარჯი არ აგვცდება .

შორს რომ არ წავიდეთ, ავიღოთ გუშინდელი ნომერი გაზეთს „კავკაზისა“, რომელშიაც ოზურგეთის მაზრის უფროსი „საყოველთაოდ აცხადებს, რომ ჩვენმა გაზეთმა ერთ ფელეტონში (№ 140 ამ წლისა) შეურაცხყოფა მიაყენა და მან პროკურორს სთხოვა ჩვენი სისხლის სამართალში მიცემა, თმცა იმ ფელეტონში, რომელსაც ბ. მაზრის უფროსი ასახელებს, ერთი სიტყვაც არ იყო ნათქვამი მასზე პირადად.

ამ მდგომარეობაშია ამჟამად ჩვენი მწერლობა და კიდევ სხვაც ბევრი რამ აწუხებს მას, რაც მრავალ მკითხველს სიზმრადაც არ დასიზმრებია“.[2]

ივანე მაჩაბლისა და საერთოდ კანონიერების დასაცავად გაზეთ „ივერიის“ რედაქტორმა ხმა აღიმაღლა და გამოაქვეყნა წერილი სათაურით: „დროების“ რედაქტორის ივანე მაჩაბლის გასამართლება.“ წერილის ავტორმა

[2]. „დროება“ 1885, № 60.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველი საზოგადოების ყურადღება მიაქცია იმ უდაო გარემოებას, რომ კანონი უნდა უფრთხილდებოდეს პიროვნების ხელშეუხებელ უფლებებს, გამოესარჩლოს ყველას, ვისი სახელიც შელახულია, აღადგინოს მისი პატივი და ღირსება, მაგრამ დაუშვებელია ცილი დასწამოთ ისეთ პიროვნებას, რომელიც უბრალოა ამა თუ იმ საქმეში და რომელიც თვითონ მოელის კანონისაგან მფარველობას. ასეთი იყო „დროების“ რედაქტორი ივანე მაჩაბელი. ილია ჭავჭავაძე წერდა: „ჩვენის თბილისის სასამართლო პალატის მატიანეში, ერთი მეტად საგულისხმიერო ამბავი უნდა შევიტანოთ. გუშინ პალატამ დამნაშავედ არ იცნა და სრულიად გაამართლა „დროების“ რედაქტორი ივ. მაჩაბელი, რომელსაც შესწამეს ერთგვარი დანაშაულობა, კანონებში დიფამაციად ცნობილი. საქმე იმაში იყო, რომ ხსენებულმა რედაქტორმა თავის გაზეთში დაბეჭდა ზლაპრად მოწერილი ამბავი და ამ ამბავში იცნა თავისთავი ერთმა მოხელემა, თუმცა არც დასახელებული იყო და არც რაიმე ნიშნით აღნიშნული. მოხელეს რაკი თავისი თავი ეცნა და იმ ამბავში მოხსენებული საქმენი და საქციელნი ეთაკილნა, აეღო და საჩივარი შეეტანა, რომ გამპატიურესო. ამ ამბავმა ერთ დროს დიდი ალიაქოთი ასტეხა ჩვენს პატარა წრეში და „დროებას“, ჩვენდა სამწუხაროდ, ძვირად დაუჯდა. ამისთანა წინასწარი შედეგი მით უფრო სანაღვლელია, რომ დღეს პალატამ გაასამართლა ეს საქმე და დაინახა, რომ რედაქტორი და გაზეთი აქ არაფერს შუაშია. ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი არ იყო, რომ პირუთვნელი სამართალი ამ საქმეს სწორედ ასე დააბოლოვებდა. პირიქით, ჩვენ ის გვიკვირდა, რომ თვითონ ბრალდება როგორ უნდა აშენებულიყო იმისთანა უსაფუძვლო საბუთზედა, რომელიც სარჩულად დაუდვა თავის საჩივარს ტყუილუბრალოდ გულგამწყრალმა მოხელემა. ჩვენ გვეოცებოდა, რომ საქმე თვით განსამართლებამდე არ იქნა მოსპობილი და თვითონ საჩივარი უყურადღებოდ დატოვებული.

ვინ იტყვის, რომ კანონი არ უნდა უფრთხილდებოდეს ადამიანის ღირსების ხელშეუხებლობას, ვინ იტყვის, რომ იგი არ უნდა ესარჩლებოდეს ყოველ კაცს, რომლის პატივი და სახელი საქვეყნოდ გაუპატიურებულია და შეურაცხყოფილი ვისგანმე. მაგრამ მეტისმეტი დაქვეითება იქნება კანონისა, რომ კაცმა ზლაპრად დაწერილი ამბავი თავის თავზედ მიიღოს და კანონს სთხოვოს გამომესარჩლეო. განა არის ქვეყანაზე იმისთანა ნაწერი, საცა კი ადამიანია ხსენებული, რომ გაზვიადებულმა გრძნობამ თაკილობისამ კლანჭი არ გამოჰკრას რასმე და თავის-თავზედ არ მიიღოს? ყველაფერს ამას რომ კანონმა სარჩლი და ქომაგობა დაუწყოს, სად წავა, ან ამისთანა შემთხვევაში პირუთვნელმა სამართალმა თავისი სასწორიც უღელი რაზე უნდა დაანდოს?

თუნდ ეგეც არ იყო, ვთქვათ-რედაქტორს რამე მოუვიდა დასაბეჭდად და ამ მოთხრობაში არც სახელია, არც გვარი ნახსენები, არც ნიშანდობლივ რაიმე ნაჩვენები, რომ ამით მაინც მიუხვდეს, ვისზედ არის დაწერილი, განა აქვს ღა რაიმე ღონისძიება გამოიცნოს, რომ ცხრამთას იქით ესა და ეს კაცია, რომელიც ყოველს მოთხრობილს თავის-თავზედ მიიღებს, ითაკილებს და კანონს მიმართავს შემწეობისათვისაო. ამ შემთხვევაში, რომ ბრალი დაედოს რედაქტორსა, ჯერ უნდა მივანიშნოთ მას ნიჭი გულთმისნობისა, და რადგანაც ეს ნიჭი ადამიანის ხელთ არ არის, ყოველივე ბრალი ამისთანა შემთხვევაში ამ ნიჭის უქონლობაზე იქნება აშენებული. კანონი ვერ იკისრებს დასაჯოს კაცი იმიტომ, რომ გულთმისანი არ იყო.

პალატას რომ გუშინდელ გარჩეულ საქმეში რედაქტორი „დროებისა“ დამნაშავედ ეცნო, მთელ ლიტერატურას თავზარს დასცემდა. მას შემდეგ შეუძლებელი იქნებოდა კაცს რაიმე მოთხრობა, რომანი, კომედია დაეწერა, იმიტომ რომ არც ერთი ამისთანა რამე — ისე არ იწერება, რომ ადამიანის საქციელი ან ავად, ან კარგად არ იხსენებოდეს. რაკი ასეა, რათა ამგვარი ლიტერატურა თავის საგანს ადამიანთა ცხოვრებიდან იღებს და იმოდენად ქებულია, რამდენადაც ახლოა ამ ცხოვრებასთან, ამიტომ არც ის შეიძლება ამ თვალუწვდენელ ქვეყანაში ერთი ამისთანა კაცი არ მოიპოვებოდეს, რომ რაიმე მსგავსება თავისა არ იცნოს და მაშასადამე საბუთიც საჩივრისა ხელთ არ ჩაიგდოს დასასჯელად დამწერისა. თქვენი მტერი იქნებოდა, რაც საქმე ლიტერატურას დაემართებოდა, რომ ეს ასე იყოს გუშინდელმა განაჩენმა პალატისამ ჩვენდა სასიხარულოდ, დაამტკიცა, რომ ეს ასე არ არის და არც უნდა იყოს!“

მალე მეფის მთავრობის განკარგულებით გაზეთი „დროება“ დახურეს. მისმა რედაქტორმა ვანო მაჩაბელმა ისეთი ძლიერი სულიერი კრიზისი განიცადა, როგორიც ალბათ იშვიათად თუ ვინმეს განუცდია.

ვ. სიდამონიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხური ზნეობრივი პრინციპების პოეზური გამოძახილი

გ. ფეთეკაური,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

წინამდებარე წერილში განვიხილავთ ხალხური საზნეობო დიდაქტიკური ლირიკის ნიმუშებს.

ზნეობა, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმა, ადამიანთა შორის ზეპირი სახით გადმოცემული მორალური კოდექსია, რომელშიც ფიქსირებული და განზოგადებულია ხალხის მრავალსაუკუნოვანი მოწინავე ეთიკური შეხედულებები. სიკეთე და ბოროტება, დადებითი და უარყოფითი ინდივიდები, პიროვნების დადებითი და უარყოფითი თვისებები იდეალური ზნეობრივი ქცევის ნორმები ოჯახში, საზოგადოებაში, ყოველივე ეს დიდიხანია ხალხური სიტყვიერების ასახვის ობიექტია, პოეტური ფოლკლორის რეპერტუარში საზნეობო-დიდაქტიკური ფუნქციის მრავალი ხალხური ლექსია, რომლებშიც მოცემულია ადამიანის დადებითი და უარყოფითი ტიპის, აგრეთვე შესაბამისი ეთიკურ-ფსიქოლოგიური ანალიზია მოცემული.

საგმირო, საყოფაცხოვრებო, ფილოსოფიურ და სხვა ფოლკლორულ პოეტურ ნაწარმოებებში ჩამოყალიბებულია ხალხის ზნეობრივი მრწამსი, მისი მორალური პრინციპები. ამ ნაწარმოების მიხედვით ყოველი პიროვნება საუკეთესო ადამიანური თვისებებით უნდა იყოს მომადლებული. მისი სიცოცხლის მთავარი დევიზი, ცხოვრების უმაღლესი საკაცობრიო მიზანი უნდა იყოს კაცურკაცობა, ქველმოქმედება, კეთილშობილება, შრომისმოყვარეობა, თავაზიანობა და ა. შ. ასეთი ადამიანი ხალხში, საკუთარ თემში თუ ნათესავ-მეგობრებთან უმწიკვლო რეპუტაციითა და დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს. მას კი კაცის სანიმუშო ტიტული აქვს მინიჭებული და მის მიმართ ყველა მადლიერების გრძნობით არის გამსჭვალული:

> რა კარგია კაი კაცი,
> კარგს ანდეზე აგებული,
> სოფელი ჰყავს მადლიერი,
> სწორის გული მოგებული.

ყოველი ადამიანის ამქვეყნიური არსებობის ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორს, მის უპირველეს მიწიერ მიზანს თანამოძმეთა შორის სიკეთის უხვი გაცემა შეადგენს. სიკეთე როგორც ეთიკური კატეგორია, — ესეთი სათნოებაა, რომლის გამოსხივება ნათელს ჰფენს თვით სიკეთისმოქმედის მიერ განვლილ ცხოვრებისეულ გზასა და მანძილს. სწორედ სიკეთის მიხედვით იზომება პიროვნების ადამიანობა, მისი სიცოცხლის არსი, აზრი და შინაარსი.

> წუთისოფლის სტუმრები ვართ,
> ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება,
> რაც ერთმანეთს გავახარებთ, —
> იმის მეტი რა შეგვრჩება.

სიკეთე, როგორც ცხოვრებისეული ბრძოლის პროგრამა, თვითეული ჭეშმარიტი მოქალაქის დროშაზე ოქროს ასოებით უნდა იყოს ამოქარგული. იგი უნდა იქცეს ადამიანის მთელი პრაქტიკული საქმიანობის გვირგვინად, სტიმულად და იმპულსად. ერთი სიტყვით ადამიანური ბიოგრაფიის ფურცლები სიკეთის მზით უნდა იყოს განათებული. ფოლკლორის მიხედვით სიკეთე პიროვნების სამოქმედო ასპარეზის ცენტრალურ მომენტად არის სახელდებული. ამიტომაცაა, სიცოცხლის მიმწუხრის ჟამს ადამიანმა მთელ ცხოვრებას გონების თვალს რომ გადაავლებს, ამ ცხოვრების მნიშვნელობა მხოლოდ სიკეთის, მარტოოდენ სიკეთის მეოხებით უნდა შეაფასოს. თუ არა და ანგარიშგებაც არ აყოვნებს. ზოგჯერ იგი სიკეთის გამოუყენებლობით გამოწვეულ მწვავე ძინორულ განწყობილებას გადმოგვცემს:

> ნეტავი ჩემი სასახლე
> ქაღლა მთაზეა ამეგო,
> მშივრისთვის პური მეჭმია,
> გაყინულ ცეცხლით გამეთბო,
> სუყველა დამიმადლებდა,
> პატარა სული მამეგო.

ჰუმანიზმი ადამიანის შეგნებული არსებობის, მისი ინტერესებისა და მისწრაფებების მაორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განიზებელი ძალაც არის და ზნეობრივი ქცევის აუცილებელი კრიტერიუმიც:

ნეტავი იმის სოფელსა,
ვისაც ჭკუა გამოჭყვება,
...გზადაკარგულს გზას ვასწავლით,
ისიც მადლად წაგვადგება.

საყოფაცხოვრებო პოეზიის ერთ-ერთ ნიმუშში ქალისა და კაცის სავალდებულო დადებითი ადამიანური თვისებებია ჩამოთვლილი. ეს თვისებები დიდაქტიკური მოტივებით არის შეპირობებული და მათ მიმართ გარკვეული დოზით ხალხური პედაგოგიკის ელემენტებიც არის გამოყენებული. აქ ზეპირსიტყვიერების აღმზრდელობით — შემეცნებითი დანიშნულება საკმაოდ მკვეთრი ტონებით არის გამეორებული:

საწყალი კაცის ცხოვრებ:ს
არ უნდა ბევრი ხრიალი.
...ცოლი შეირთოს მშრომელი,
პატიოსანი, ზნიანი,
თითონაც იყოს მუშაკი,
ცოლშვილმოყვარე, ჭკვიანი,
მეზობელ-ნათესავებთან
ხათრიან-თავაზიანი.

ამ ლექსში მკაფიო ლოგიკურ-ემოციური აქცენტითაა მითითებული მორალური ცნებები, რომლებიც დადებით ადამიანურ თვისებებს განასახიერებს: შრომისმოყვარეობა, პატიოსნება, კეთილზნიანობა, ცოლშვილის სიყვარული, საღი ჭკუა — გონება, ხათრიანობა და თავაზიანობა...

ხალხურ პოეზიაში მშობლის ამაგი შთამბეჭდავი, წარუშლელი ფერწერული დეტალებითაა განდიდებული. ასეთია პოეტური მინიატურა, რომელიც საგანგებოდ დედის აღმზრდელობითი მოვალეობის იდეას ეძღვნება. ჰუმანური, გულისხმიერი, ყურადღებიანი დედის მშობლიური ამაგი მაშინ ზეიმობს და ღაღადებს, როდესაც ის წესიერ, პატიოსან შვილს აღზრდის და ამ შვილის „საქმედ კეთილი“ ხალხის თვალში აღზევდება და გაუკვლავდება. ასეთი დედის სამაგალითო ადამიანური ამაგი თაობებსა და საუკუნეებში წმინდა რელიკვიასავით ინახება. ყველაფერი ეს ლექსში ალეგორიული ხერხით არის გადმოცემული:

ხე ხმება და ფესვი რჩება,
ფესვი ისევ აყვავდება,
ისი დედა ერა კვდება,
რომლის შვილი დაფასდება.

სხვა ლექსში ვაუკაცის მიერ სახელის მოხვეჭას ხალხური მთქმელი დადებით ადამიანურ თვისობრივ ტენდენციად აღიარებს:

ქვეყნად თუ რჩება სახელი,
ვაუკაცისათვის მზე არი,
იმისას ვიტყვი ქებასა,
ვინც არის ლაზათიანი.

სიკეთე, სიკეთის მნიშვნელობა უძევს საფუძვლად ერთ-ერთ ხალხურ აფორიზმს, სადაც კონტრასტული პოზიციებიდანაა ნაჩვენები ალტრუისტი და ეგოისტი ადამიანების განსხვავებული ფსიქოლოგიური პორტრეტები:

კაცი უნდა ხერხი იყოს,
გაჭონდეს და გამოჭონდეს,
განა უნდა ეჩო იყოს,
სულ თავისკენ მიითლიდეს.

აქ მეტაფორიზაციის მეთოდია რეალიზებული, — ალტრუისტი ადამიანი ხერხია და „გააქვს და გამოაქვს“, ე. ი. თავის ირგვლივ სიკეთეს თესავს; ეგოისტი ადამიანი ხელეჩოა და „თავისკენ მიითლის“, ანუ მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავს, ირგვლივ კი სხვას ვერავის ამჩნევს. კონტექსტიდან აშკარად ირკვევა, რომ ხალხური ავტორი ალტრუისტს სიმპათიით ეკიდება და მის პოპულარიზაციას ისწრაფვის, ეგოისტს კი მკაცრად განაქიქებს.

ერთ-ერთ ხალხურ პოეტურ ნაწარმოებში გამოთქმულია სურვილი, რომ პიროვნების ამქვეყნიური ცხოვრება უხინჯოდ იქნას გავლილი და მოქალაქეობრივი ვალი კეთილსინდისიერად მოიხადოს:

სახიერმა შამინახოს,
კარგის თვალით დამინახოს,
რომ ამ წუთისოფლად ყოფნა
ცუდად არვინ დამიძრახოს.

სხვა ლექსში კი ხალხურ მთქმელს კმაყოფილების განცდა ეუფლება და გული დაშშვიდებული აქვს, რადგანაც მას საკუთარი ხანგრძლივი ცხოვრება სპეტაკად აქვს გატარებული. მისი „სინდისის სიგელი“ მახინჯი მოვლენებით არ არის შებღალული:

დიდება შენთვის უფალო,
ამ დროთა მოვიყარეო,
არც ვისი შევსვი, შევჭამე,
არც ვისი მოვიპარეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომაცაა, რომ ხანდაზმული ადამიანი თავისზე უმრწემესს უქადაგებს, რომ მან ცხოვრების სწორ გზას არ გადაუხვიოს, უკიდურესობებში არ გადავარდეს და საკუთარი პრესტიჟი არ შელახოს. გამამფრთხილებელი ზარის რეკვასავით გაისმის მოხუცის სიტყვები, რომლის მიხედვითაც სირცხვილი პიროვნების დამამძიმებელი და დამამცირებელი ტვირთია:

დავბერდი, მშვილდი დავაგდე,
ისარი კილო—წითელი,
სირცხვილს უფრთხილდი, ვაჟაო,
არ მოგიხაროს კისერი.

საზნეობო — დიდაქტიკურ ლირიკაში საპატიო ადგილი აქვს დათმობილი ადამიანის შინაგანი და გარეგანი კულტურის ნორმებს. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ზრდილობას ენიჭება. ზრდილობა თავისი ზოგადი გაგებით შეიძლება ითქვას პიროვნების ფსიქოლოგიური სამყაროს, მისი მოქალაქეობრივი პროფილის ძირითად გარეგნულ ატრიბუტს შეადგენს. ზრდილობა ხალხის წარმოდგენით არ არის ბიოლოგიურ-ატავისტური თვისება, რომელიც თითქოს ადამიანს თავისთავად, მექანიკურად, მემკვიდრეობით გადაეცემა, არამედ იგი თვითონ პიროვნების სუბიექტურ-მორალურ საკუთრებად გვევლინება. ზრდილობა ეს თავისებური ხალხური „ზნეობრივი უნივერსიტეტის" მთავარი „დისციპლინაა", რომელიც ყველას მოეთხოვება. ზრდილობა მართალია სხვასთან, კოლექტივთან ურთიერთობაში მყღავნდება, მაგრამ ფაქტიურად იგი პიროვნების მაღალ ეთიკურ შეგნებულობაზე მეტყველებს:

ათასად გვარი დაფასდა,
ათი ათასად ზრდილობა,
თუ კაცი თვითონ არ ვარგა,
რას არგებს გვარიშვილობა,

ფოლკლორულ ლექსებში ზრდილობასთან ერთად დადებითად არის დახასიათებული ადამიანის გარეგანი კულტურის სხვა კომპონენტი — მოთმინება. თუმცა ისიც ფართო ასპექტით საერთოდ ზრდილობიანობის სფეროს განეკუთვნება. მოთმინება ეს პიროვნების სულგრძელობის, დიდბუნებოვანობის გამოხატულებაა. როსტომის ციკლის ერთ-ერთ პოეტურ ფორმულაში მოთმინებას განსაკურებული ხაზი აქვს გასმული. იგი თვით ცხოვრებისეული გამოცდილებით არის ნაკარნახევი და გამართლებული:

როსტომ თქვა: გმირი მეც ვიყავ,
ჯირითი შემოვისრიე,
მეზობლის შეძულებასა
ისევ დათმობა ვირჩიე.

ნეგატიურად არის შეფასებული და ულმობლად გაკიცხული მოთმინების საპირისპირო ფსიქიკური პროცესი — მოუთმენლობა, რომელიც, არაკეთილშობილურ მანერად ითვლება. საერთოდ მოუთმენლობა, აფექტების იოლი გამოვლინება, უარყოფითი ემოციებისადმი, „გახელებული" გულისადმი ბრმა, მონური აყოლა, ყოველგვარ უმნიშვნელო წვრილმანზე ავადმყოფური რეაგირება, გარკვეულ რთულ სიტუაციებში სულიერი წონასწორობის დაკარგვა უტაქტობაა და იგი არცთუ იშვიათად ამა თუ იმ პიროვნების მიერ საკუთარი ზნეობრივი ქცევის სტილისადმი უყურადღებობითა და უკონტროლობით არის გამოწვეული. ხშირად „გულის მოსვლა" სუსტი ნებისყოფის ადამიანებს ახასიათებთ. ასეთი ადამიანი ხალხური სატირის თავდასხმის ობიექტი ხდება, — გული კი არ უნდა „მბრძანებლობდეს" ადამიანს, ადამიანი უნდა „მბრძანებლობდეს" საკუთარ გულს. შეიძლება გულისადმი უსაზღვრო მორჩილებას, ადამიანური ხასიათის გადაჭარბებულ ექსპანსიურობას გამოუსწორებელი ტრაგიკული შედეგები მოჰყვეს:

ბერდიათ გაგამ გიბარა,
გამახელიძევ, ქართული,
ე გული ხელით დაბღუჯე,
მაგრა ჩაუდევ საბმური.

ცუდი ტონის მანერაა აგრეთვე ამპარტავნობა, რომელიც როგორც უარყოფითი ადამიანური თვისება, ხალხურ სენტენციებსა თუ აფორიზმებში დაუნდობლადაა მხილებული. განდიდების მანიით შეპყრობა, საკუთარი „მე" უსაფუძვლო გაზვიადება, ყოყოჩობა და ქედმაღლობა ანტისოციალურ მოვლენაა და იგი საზოგადოების მოწინავე ნაწილის მიერ სამარცხვინო ბოძზეა გაკრული. მცირე ფორმის ხალხურ პოეტურ სხარტულებში მოცემულია მოწოდება, რომ ამპარტავნობა ადამიანის ცნობიერებაში ძირფესვიანად იქნას აღკვეთილი:

„კარგი ვარ" იმახ ნუ იტყვი,
თავს ნუ დაუწყებ ქებასა,
კარგი ჩვენც მოგვეწონება,
ცუდი არც თავის დედასა.

ამპარტავან პიროვნებას სრულფასოვანი ეთიკური ღირებულება არა აქვს, მის სიტყვებს — დამაჯერებლობა და რეალური მნიშვნელობა აკლია. მოკლედ რომ ვთქვათ, ასეთი ადამიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებაში დისკრედიტირებულია, ბევრჯერ კომიკურ სიტუაციაში კარდება. ერთი ლექსის მიხედვით ადამიანის ამბარტავნობას კიდევ ერთი უხამსი თვისება — სიცრუე ემატება. აქ ფერები საოცრად არის გამუქებული:

> თავსა სევდასა ნუ მისცემ,
> გულს ხავსი მოეკიდება,
> კაცი ცრუ, ამბარტავანი
> სილალეს მოეკიდება,
> ის უფრო ცუდი იქნება
> ვინც იმას წაეკიდება.

საზნეობო ლირიკაში სიცრუის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლაა გაჩაღებული. ცრუ, მატყუარა ადამიანი ხალხური მთქმელის მკაცრ მსჯავრს იმსახურებს:

> ცრუ კაცი წყალმა წაიღოს,
> აქოს, ადიდოს, გაქვიშოს,
> უბრალოდ ლაყაფს დაიწყებს,
> გუშინწინდელი არ იყოს.

ხალხური კრიტიკის გამანადგურებელი ცეცხლი სხვა უარყოფითი თვისებების — სიხარბისა და შურიანობის წინააღმდეგაც არის მიმართული:

> არის ერთი რიგის კაცი,
> ღმერთს ტყუილად ემადლება,
> ათასი რომ ბევრი ჰქონდეს,
> კიდევ სხვისა ეხარბება.

უსირცხვილობა, უნამუსობა, ფოლკლორულ პოეზიაში მწვავე სატირული განხილვის საგნად არის ქცეული. ეს ანტიეთიკური მოვლენები ჯანსაღ ზნეობრივ ტრადიციებთან არის შეპირისპირებული და გაანალიზებული. ისინი სოციალურ ცხოვრების ფონზე დისონანსებად არის წარმოდგენილი და მათი აღმოფხვრის მიზნით ხალხური საზოგადოებრივი აზრი მთელი პირდაპირობით იბრძვის:

> ნამუსისათვის გამოვა
> ულვაშები და წვერია,
> რაც გინდა ელაპარაკე,
> თუკი კაცს არა რცხვენია.

სხვა ნიმუშის მიხედვით ნამუსი მაღალ ზნეობრივ ფენომენად არის გამოცხადებული:

> სუფრავ გაშლილო ლხინი ხარ,
> ჭკვავ, ჩავარდი გონებასა,
> ნამუსი ყველას ხჯობია,
> ახის თუმნის ქონებასა.

ჭორი, ენატანობა ნეგატიურ მორალურ ფაქტორებად არის აღიარებული. იგი ადამიანებს შორის უსაფუძვლო ეჭვსა და სკეპსისს აღვივებს და ბევრი პატიოსანი მოქალაქის სპეტაკ სახელს სრულიად დაუმსახურებელ ეთიკურ ზიანს აყენებს. ჭორი ხშირად ენაჭარტალი ვაი-პიროვნების შეუზღუდავ, აღვირახსნილ ფანტაზიას ემყარება, ხელოვნურად შეთითხნილ არარსებულ ფაქტებზე არის აგებული და უდანაშაულო ადამიანთა სულებში მუდმივი შფოთი და ნერვული დაძაბულობა შეაქვს. ზოგიერთი დიდსულოვნებას იჩენს და ჭორს საერთოდ ყურადღებას არ აქცევს:

> შენი ძმობა, სიყვარული
> გუნებაში ჩამიგდია,
> ჭორი ბევრი გავიგონე,
> მაგრამ ყური არ მიგდია.

ამავე ორბიტის ლექსებში მწვავედ არის გამათრახებული უმადურობა, სიკეთის დაუნახაობა. ჭეშმარიტ ადამიანურ ღირსებებს არის მოკლებული ის პიროვნება, რომელსაც მეხსიერება „ღალატობს“ და გუშინდელი სიკეთე „აღარ ახსენდება“.

> წყალს იქით კაცმა იძახა:
> „ჩემო ძმავ გაბრიელაო,
> ბევრას კაცს ვუყავ სიკეთე,
> არვინ მყავს მადლიერაო.“

ახევე მკაცრადაა დაგმობილი მეგობრისადმი ღალატი, ორგულობა:

> ერთგულის მეორგულესა
> ხიდნიმც წყალს ჩაუცვივიან,
> მშვილდიმც გაუწყვეტს სამბურსა,
> ეხარნიმც ელეწებიან.

მარჯვე გროტესკული ხალებავებით არის გამომზეურებული ალკოჰოლური წრეგადასულობა. აქ ალკოჰოლიზმი როგორც წარსულის მავნე გადმონაშთი ლაკონიური პოეტური ფრაზებით არის გაკრიტიკებული.

> დამთვრალხარ და დაგდებულხარ
> ვითომ რომ ანეული ბელტი,
> ღვინო როგორ მოგერია,
> კაცი იყავ განა რეტი.

ფოლკლორი სიზარმაცის წინააღმდეგ ჯეროვანი მხატვრული ხერხების მომარჯვებით ილაშქრებს. ერთ-ერთ ლექსში მცონარა, უმწეო, უმაქნის პარაზიტ ელემენტს გამრჯე, ბეჯით ადამიანთან შეტოლებით ააშკარავებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაი ყმის ნაბინავარში
შეშანი დარჩებიანო,
ცუდაის ნაბინავარში
ქარნი ნაცარსა ჰყრიანო.

ხალხურ სატირულ-იუმორისტულ პოეტურ ნაწარმოებებში მხილებულია და გაკიცხული ადამიანთა სხვა მანკიერი მხარეებიც. ადამიანის ხასიათის სწორი ფორმირება, ადამიანში დადებითი თვისებების განმტკიცება, — აი, საზნეობო—დიდაქტიკური ლირიკის მთავარი მხატვრულ — ესთეტიკური ამოცანა, მისი ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპი.

საზნეობო-დიდაქტიკური ლირიკა ეს არის ერთგვარი ეთიკური პოეტური ქრესტომათია, რომლის კოლექტიური ავტორი სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში მთელი პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებაა. იგი ხალხის მოწინავე ეთიკურ-მორალური თვისებების ჩამოყალიბებაზე კოლოსალურ ზემოქმედებას ახდენდა და მასზე მრავალი ხნის განმავლობაში იზრდებოდნენ ადამიანთა თაობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისქანდერ მუნში უნდილაძეთა უკანასკნელი ღლეების შესახებ ირანში

ნ. გელაშვილი

სეფიანთა ირანის პოლიტიკურ და სამხედრო ასპარეზზე მრავალი ქართველი მოღვაწეობდა. მათ შორის განსაკუთრებული მდგომარეობა ეკავა უნდილაძეთა საგვარეულოს, რომლის უმთავრესი წარმომადგენლები იყვნენ: ალავერდი-ხანი, აგრეთვე ორი მისი ვაჟი იმამყული-ხანი და დაუდ-ხანი. ცნობები უნდილაძეების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ შემონახულია სხვადასხვა წყაროებში. წინამდებარე სტატიაში მკითხველებს გავაცნობთ დაუდ-ხან უნდილაძის მიერ მოწყობილი აჯანყების გამო მთელი ამ საგვარეულოს ამოწყვეტის ამბავს (XVII საუკუნის ცნობილი ირანელი ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის ნაშრომის — „ზეილ-ე თარიხე ალამ არაი-ე აბასის“ — მიხედვით).

ისქანდერ მუნში უნდილაძეების შესახებ მოგვითხრობს ცალკე თავში — „ალავერდი-ხანის ვაჟის დაუდ-ხანისა და მისი თეიმურაზთან შეთანხმების ამბავი“. თავდაპირველად ავტორი შენიშნავს, რომ, როგორც „თარიხე ალამ არა“-ში[1] იყო მოთხრობილი, შაჰ-აბასმა მოურავის ამბებთან დაკავშირებით, ყარაბაღის ბეგლარბეგი მოჰამედ ყული-ხან ზიადოღლი გადააყენა და მისი თანამდებობა ალვერდიხანის უმცროს ვაჟს, დაუდ-ხანს უბოძა. თეიმურაზი „ორგულ მოურავს დაუკავშირდა და შაჰს ეურჩებოდა, მაგრამ დამარცხების შემდეგ იძულებული გახდა შაჰთან შერიგების გზის ძებნა დაეწყო. ამ მიზნით თეიმურაზი დაუდხანს დაუკავშირდა. მართლაც, ამ უკანასკნელის მცდელობითა და შუამავლობით შაჰმა თეიმურაზს ცოდვები შეუნდო და პატიების სიგელი გამოუგზავნა“[2].

სპარსელი ისტორიკოსი განაგრძობს, რომ შემდეგ თეიმურაზი და დაუდ-ხანი ისე დაახლოებულან, რომ უმეტეს დროს სულ ერთად ატარებდნენ, ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს ივრისა და ალაზნის ნაპირებზე, ნადირობდნენ ყარაბაღსა და საქართველოში.

ისქანდერ მუნში გვიხსნის, თუ რამ აიძულა დაუდ-ხანი, რომ შაჰის წინააღმდეგ აჯანყებულიყო. თურმე ყაჯარ დიდებულებს დაუდ-ხანი სძულდათ და ეშინოდათ კიდეც მისი. ამიტომ ხშირად შაჰთან უჩიოდნენ და მალე საწადელსაც მიაღწიეს: ერთ საღამოს შაჰმა დაუდ-ხანი მეჯლისიდან გააძევა, მაგრამ, დასძენს ისქანდერი, მისი მამისა და ძმის დამსახურების გამო, შაჰმა ის მეტად აღარ დასჯაო. მიუხედავად ამისა განაწყენებული დაუდ-ხანი უნებართვოდ ყარაბაღს გაემართა და თეიმურზს „შეუთანხმდა, რომ ნადირობის საბაბით ივრის ნაპირას შეხვედროდნენ ერთმანეთს, მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ ყაჯარ დიდებულთა ამოწყვეტა, რომელთა მტრობა დაუდ-ხანს გულში ქონდა ჩარჩენილი. ამ მიზნით მან სანადიროდ მიიწვია ყაჯარ დიდებულთა ნაწილი. ისინიც სიამოვნებით ეახლნენ. დაუდხანმა ისინი თავისზე წინ გაუშვა ვითომცდა თეიმურაზის შესაგებებლად. თეიმურაზმაც თავის მხრივ ას კაცამდე ქართველი აზნაური დააწინაურა ყაჯარებთან საომრად, რომლებმაც „მყისვე მთელ ღაზიებს მოწამებრივი სიკვდილის შარბათი აგემეს“, მათი ქონება და აღჭურვილობა კი გაძარცვესო.

ამის შემდეგ თეიმურაზი და დაუდ-ხანი ერთმანეთს შეხვდნენ. დაუდ-ხანმა თეიმურაზი განჯის ურიცხვი ქონების ხელში ჩაგდებით მოხიბლა და აიძულა, რომ მასთან ერთად განჯაზე გაელაშქრა. მათ რამდენიმე დღე დაჰყვეს განჯაში. მართალია, გაძარცვეს ეს მხარე, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწიეს, რადგან დიდი ლაშქარი არ ახლდათ თან. ამიტომ თეიმურაზი და დაუდ-ხანი საქართველოში გაემართნენ ხალხის შესაგროვებლად და როდესაც ახალი ძალებით განჯაში დაბრუნდნენ, ყარაბაღის დაპყრობაც განიზრა-

---

[1] ისქანდერ მუნშის ძირითადი ნაშრომი, რომლის გაგრძელებაც, არის „ზეილ-ე თარიხე ალამ არაი-ე აბასი“.

[2] ისკანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმანი და შესავალი ვ. ფუთურიძის თბ., 1969, გვ. 141.

ხეს. როდესაც ამ ამბებმა შაჰ-სეფის ყურამდე მიაღწია, განრისხებულმა დაუდ-ხანს ყარაბაღი ჩამოართვა და მის ძველ მფლობელს მოჰამედ-ყული-ხან ზიად-ოღლის დაუბრუნა, ხოლო ქართლი ხოსრო-მირზა ქართველს უბოძა, რომელიც ყიზილბაშთა ურიცხვი ლაშქრით როსტომ-ბეგთან[3] ერთად აჯანყებულთა დასასჯელად გაგზავნა საქართველოში.

ისქანდერ მუნში მოგვითხრობს, რომ „წყეულმა დაუდმა მოტყუებითა და ცბიერებით გზას ააცდინა თეიმურაზი“ და შთააგონა, რომ შაჰი მის მიმართ გულწრფელი არაა და როგორც კი ხელსაყრელი შემთხვევა მიეცემა მას თავიდან მოიშორებს. კიდევ აცნობა, რომ „ქვეყნის დამპყრობელი შაჰის“ უფლისწული მის უფროს ძმასთან იმამყული-ხანთანაა ფარსში, რომელიც ამჟამად იმამყული-ხანის შვილად ითვლება და რომ სულ მალე ისინი ამ მეფის წულს გაამეფებდნენ. თეიმურაზმა დაუჯერა დაუდ-ხანს და განჯა-ყარაბაღის დალაშქვრაზე დათანხმდა. თან შირვანის, ჩუხურხაადის და ახალციხის ამირებს წერილები მისწერა და მორჩილებისაკენ მოუწოდა. ამირებმა კი იგი შაჰთან დაიბეზღეს. განრისხებულმა შაჰ-სეფიმ გადაწყვიტა ჯერ დაუდ-ხანის ძმაზე იმამ-ყული-ხანზე ეძია შური და გამოიძახა იგი, ვითომცდა, სახელმწიფო საქმეებზე მოსათათბირებლად. შეშინებულმა იმამ-ყული-ხანმა პორტუგალიელების კუნძულ ჰორმუზზე მოსვლა მოიმიზეზა და შაჰს თავისი ვაჟი საფარ-ყული-ხანი გაუგზავნა, მაგრამ გამოძახების განმეორების შემდეგ, იძულებული გახდა თვითონ ხლებოდა შაჰს[4].

როგორც ვხედავთ, ისქანდერ მუნში დაუდ-ხანის განაწყენების მიზეზად ყაჯარი თავკაცების წყალობით მეჯლისიდან მის გაძევებას თვლის. ეს მოსაზრება უსაფუძვლოდ არ გვეჩვენება. როგორც ცნობილია, დაუდ-ხანი განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგად დაინიშნა ყაჯარი მოჰამედ ყული-ხან ზიად-ოღლის ამ თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ. ამდენად, გამორიცხული არაა ყაჯარ დიდებულთა შური და მტრობა მის მიმართ.

მომდევნო თავში ისქანდერ მუნში მოგვითხრობს უშუალოდ უნდილაძეთა საგვარეულოს ამოწყვეტის ამბავს. თავდაპირველად ავტორი აღნიშნავს, რომ ის წერილები, რომელიც თეიმურაზმა და დაუდ-ხანმა მეზობელ მხარეთა ამირებს მისწერეს, გამომჟღავნდა. მათი მოკლე შინაარსი ასეთია: „ჩვენი აჯანყება იმ მეფისწულის ტახტზე აყვანას ემსახურება, რომელიც ფარსში —იმამყული-ხანთან იმყოფება“. ამ წერილებმა დიდი მითქმა მოთქმა გამოიწვია, თუმცა მათი შინაარსი სინამდვილეს ეწინააღმდეგება, — დასძენს ისქანდერი. გაბოროტებულმა შაჰ-სეფიმ საჭიროდ მიიჩნია „თავისი უბრწყინვალესი გონება ამ შფოთისაგან მოესვენებინა“ და არც დააყოვნა; ჯერ დაუდ-ხანის ახლობლებზე იძია შური; იმამყული-ხანის სამი ვაჟი მოაკვლევინა, თვით იმამყული-ხანის მოსაკლავად კი მისივე სიძეები გაგზავნა. მათ მოტყუებით გარეთ გამოიყვანეს დასაძინებლად მომზადებული იმამყული-ხანი და მოკლეს. მისი ურიცხვი ქონება კი ხელთ იგდეს.

ერთი სიტყვით, განაგრძობს სპარსელი ისტორიკოსი, ალავერდი-ხანის საგვარეულო, რომელიც წლების მანძილზე „ისპაჰანიდან ომანის სანაპირომდე ერთი თვის სავალ გზაზე ბატონობდა, წყეული დაუდის უკადრისი საქციელის გამო არარაობის ქარს მიეცა“[5]. აჯანყებულთა დასასჯელად, როგორც ზემოთ ითქვა, შაჰ-სეფიმ როსტომი (ხოსრო-მირზა) და როსტომ-ხანი გაგზავნა საქართველოში. შეშინებულმა თეიმურაზმა და დაუდ-ხანმა იმერეთს შეაფარეს თავი — ასე ამთავრებს ისქანდერ მუნში თხრობას უნდილაძეთა უკანასკნელი დღეების შესახებ.

ამგვარად, უნდილაძეთა ამოწყვეტის მთავარ მიზეზად, ისქანდერ მუნშის მიაჩნია დაუდ-ხანის განდგომა და მის მიერ მოწყობილი აჯანყება თეიმურაზ მეფესთან ერთად. მაგრამ, როგორც ზემოთ ვნახეთ, იგი სხვა მიზეზსაც ასახელებს: თითქოს როდესაც შაჰ-სეფიმ შეიტყო, რომ ძმები უნდილაძეები შაჰ-აბასის უკანონო ძის ტახტზე აყვანას აპირებდნენ, განრისხებულმა მთელი საგვარეუ-

---

3 როსტომ-ხან სააკაძე.

4 „ზელ-ე თარიხ-ე ალამ არაი-ე აბასი“ (სუჰეილი ან სარის პუბლიკაცია), თეირანი, 1939

5 ეს საგვარეულო ამოწყვიტეს, მაგრამ მათი სახელი დიდხანს არ წაშლილა ირანში. 1674 წელს შარდენი მოიხსენიებს დაუდ-ხანის ბაზარსა და ქარავასლას, აგრეთვე ინდოელ ვაჭართათვის განკუთვნილ ორასოთახიან სასახლეს. იგი ასახელებს აგრეთვე დაუდ-ხანის მიერ აგებულ სიმაგრის მსგავს ნაგებობას, რომელიც მდებარეობდა სოფელ ამნაბადთან (ისპაჰანიდან ბენდერაბასში მიმავალ გზაზე). ამ სიმაგრეში უმეტესად მაჰმადიანი ქართველობა ცხოვრობდა. აქ იყო დაუდ-ხანის რეზიდენციაც (ჯონ ჯუზეპე-ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე თბ. 1964, გვ. 81).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო ამოწყვიტა, დაუდ-ხანის გარდა, რომელმაც ოსმალეთში გაქცევით უშველა თავს.

უნდილაძეთა ამოხოცვის საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა თანამედროვე ირანელი ისტორიკოსის[6] ნასროლა ფალსაფის შეხედულება, რომელიც ძირითადად ისქანდერ მუნშის ცნობებს ეყრდნობა. ავტორი ვრცლად მოგვითხრობს ალავერდიხანიდან მოყოლებული უნდილაძეთა დაწინაურებაზე შაჰ-აბას I კარზე, დაუდ-ხანისა და იმამყული-ხანის მოღვაწეობაზე და სხვა. ისტორიკოსი ბოლოს მათი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებსაც ეხება. ავტორი მოგვითხრობს, რომ „როგორც ყველაზე დაახლოებულ და საყვარელ ადამიანს, შაჰ-აბასი იმამყული-ხანს ქალებსაც უგზავნიდა თავის ჰარამხანიდან. ერთი გაგზავნილი ქალი კი, ფეხმძიმედ აღმოჩნდა, რომელსაც მალე ვაუი შეეძინა. შაჰ-აბასის გარდაცვალების შემდეგ, შაჰ-სეფიმ იმის შიშით, რომ იმამყული-ხანს ეს ვაუი, რომელიც ვითომც შაჰ-აბასის შვილი იყო, ტახტზე არ აეყვანა, მთელი მისი საგვარეულო ამოწყვიტა“.

სხვა ადგილას ნასროლა ფალსაფი ამავე ამბავს ცოტა სხვაგვარად გადმოგვცემს: შაჰ სეფი ტახტზე ასვლისთანავე თურმე მიზეზს ეძებდა იმამყული-ხანის თავიდან მოსაშორებლად. მაგრამ რადგან ეს უკანასკნელი ერთგულად ემსახურებოდა, შაჰიც მოთმინებით ელოდა ხელსაყრელ შემთხვევას. ერთხელ შაჰ სეფიმ ყველა მხარეთა ამირები დაიბარა. დაუდ-ხანი არ გამოცხადდა, რადგან იცოდა შაჰის მტრული დამოკიდებულება მისი ძმის მიმართ. შაჰმა იგი მეორედ გამოიძახა. შეშინებული დაუდ-ხანი თეიმურაზს დაუკავშირდა და ყარაბაღის აღება შესთავაზა. ასე ამბობდნენ: დაუდ-ხანი არწმუნებდა, რომ იმამყული-ხანთან არის შაჰის ვაუი, რომელსაც ისინი მალე ტახტზე აიყვანდნენ. დაუდ-ხანის განდგომა სწორედ კარგი საბაბი იყო იმამყული-ხანის მოსაკლავად და შაჰ-სეფიმაც არ დააყოვნა: იმამ-ყული-ხანი თავისი შვილებით დახოცა. მათი თავები კი დედამისს გაუგზავნა ჰარამხანაში. (ეს უკანასკნელი განსაკუთრებით იყო დაინტერესებული იმამყული-ხანის მოკვლით). იმამყული-ხანის თანამდებობა შაჰ-სეფიმ იღურღუ-ხან ეშიყაღასი ბაშის უბოძა და დაავალა იმამყული-ხანის დანარჩენი შთამომავლობა ამოეწყვიტა, აგრეთვე მოეკლა დაუდ-ხანის ვაუი რომელიც გორგანს მართავდან.

ახლა ვნახოთ, თუ რას მოგვითხრობენ ქართული საისტორიო თხზულებები უნდილაძეების საგვარეულოს უკანასკნელი დღეების შესახებ. ცნობები დაუდ-ხანის შესახებ ქართულ წყაროებში 1629 წლის შემდეგ ჩნდება ირანში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებების გამო. როგორც ცნობილია, 1629 წელს ქართველი უფლისწულის ხოსრო-მირზას დახმარებით ირანის ტახტზე ავიდა სეფი-მირზა. მადლიერმა შაჰმა მას როსტომ-ხანი უწოდა და ყულარაღასად დანიშნა. ისპახანის ტარუღას ასეთმა აღზევებამ შეცვალა ოდინდელი ვითარება — შეირყა უნდილაძეთა გაბატონებული მდგომარეობა. როსტომ-ხანი ემუქრებოდა არა მარტო თეიმურაზის ინტერესებს ქართლში, არამედ უნდილაძეების ინტერესებსაც, რომელთა განდევნაც კი განუზრახავს. როსტომმა როგორც განუსაზღვრელი ნდობით აღჭურვილმა შაჰის კარზე, თავისი წადილი აისრულა და „ყაენსაც როსტომ მეფის გულისათვის მეჯლიშიდანმე გაეგდებინა დაუდ-ხანი“[7] (ისქანდერ მუნში არაფერს ამბობს როსტომის მონაწილეობაზე ამ გაძევებაში). ამიერიდან თეიმურაზ მეფე და დაუდ-ხანი შეთანხმებულად მოქმედებდნენ და ერთად მეთაურობდნენ ირანის ბატონობის წინააღმდეგ დაწყებულ აჯანყებას, რომელმაც დააჩქარა უნდილაძეების მრავალწლიანი ბატონობის დამხობა ირანში.

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით, ქართული წყაროებიდან უპირველეს ყოვლისა უნდა შევეხოთ ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებას, რომელიც ძირითადად ისქანდერ მუნშის ნაშრომს ეყრდნობა. მისი სიტყვებით, როცა „დაუდ-ხანის ორგულობა, ყაჯართა ამოწყვეტა, განჯა-ყარაბაღის დარბევა და აოხრება, დაუდ-ხანის ქართლში წაყვანა, შაჰ-სეფი ყაენს მოახსენეს, იგი განრისხდა და ჯერ დაუდ-ხანის უდანაშაულო ძმაზე და შვილებზე იყარა ჯავრი“, მოიხმო იგი თავისი შვილებით და ზოგი დახოცა, ზოგსაც თვალები დასთხარა, დაუდ-ხანის შვილები დახოცა. ამ ამბების გამგონე დაუდ-ხანი მიხვდა, რომ მას არც საქართველოში ედგომებოდა და ოსმალეთს გაიხიზნა[8].

ფარსადან გორგიჯანიძე არაფერს ამბობს შაჰის ვაუზე, რომელიც ვითომც იმამყული-

6 ნასროლა ფალსაფი, შაჰ აბას I—ის ცხოვრება, II. თეირანი, 1956.

7 ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძე, საისტორიო მოამბე. II, თბ., 1925.

8 ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, II. თბ., 1959.

ხანთან იზრდებოდა და რომლის ტახტზე აყვანასაც უნდილაძეები აპირებდნენ[9].

ფარსადან გორგიჯანიძისა და ისქანდერ მუნშისაგან განსხვავებით, ვახტანგ მეექვსის „სწავლულნი კაცნი "დაუდ-ხანის და იმამყული ხანის მოღვაწეობის დასასრულს ცოტა სხვაგვარად აგვიწერენ. თავდაპირველად ისინი მოკლედ გვაცნობენ ამ საგვარეულოს. შემდეგ მოგვითხრობენ, რომ შაჰ-სეფიმ შეიპყრო დაუდ-ხანის ძმა, შვილები და დახოცა. ხოლო გულმოსული დაუდ-ხანი მხოლოდ ამის შემდეგ წავიდა განჯიდან თეიმურაზთან და თან ყაჯარი თავკაცები წაიყვანა. ამის გამგონე შაჰ-სეფი განრისხდა და თეიმურაზისა და დაუდ-ხანის დასასჯელად დიდი ლაშქარი გამოგზავნა სპასალარ როსტომ საკაძისა და ხოსრო-მირზას წინამძღოლობით[10].

ამრიგად, „სწავლულ კაცთა" აზრით, დაუდ-ხანის აჯანყების მიზეზი ის იყო, რომ შაჰ-სეფიმ მისი ნათესაობა ამოწყვიტა. ფარსადან გორგიჯანიძესა და ისქანდერ მუნშისთან კი ეს მოვლენა პირიქითაა ახსნილი. ჩვენი აზრით ამ უკანასკნელთა მონათხრობი უფრო შეესაბამება სინამდვილეს. სწორედ დაუდ-ხანის განდგომისა და აჯანყების შედეგად ამოწყვიტა შაჰ-სეფიმ უნდილაძეთა საგვარეულო.

მცირე განსხვავებათა მიუხედავად, როგორც სპარსულ, ისე ქართულ საისტორიო მწერლობაში უნდილაძეთა ამოწყვეტის ძირითად მიზეზად მიჩნეულია დაუდ-ხანისა და თეიმურაზის მიერ განჯა-ყარაბაღში მოწყობილი აჯანყება. აღსანიშნავია, რომ არც ერთი ქართული წყარო არ მოიხსენიებს შაჰ-აბასის ვაჟის ამბავს, რომლის ტახტზე აყვანასაც თურმე ძმები უნდილაძეები აპირებდნენ. ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ცნობა სიმართლეს არ შეესაბამება, მითუმეტეს, რომ ერთგან ამას თითონ ისქანდერ მუნშიც შენიშნავს.

ამრიგად, დაუდ-ხანის აჯანყებამ დააჩქარა უნდილაძეების ორმოცწლიანი ბატონობის დამხობა ირანში. ცნობილია, რომ შაჰ-სეფი თავიდანვე ეჭვით უყურებდა უნდილაძეებს. მის ეჭვებს ცხადყოფს ისიც, რომ მას მძევლად ყავდა დაუდ-ხანის ერთი ცოლთაგანი და ვაჟი[11], ხოლო როდესაც შაჰ-სეფიმ აჯანყების ამბავი შეიტყო. დაუნდობლად გაუსწორდა უნდილაძეთა მთელ საგვარეულოს, ამგვარად, 1633 წელს არსებობა შეწყვიტა ამ ოდესღაც ძლიერმა ქართულმა საგვარეულომ, რომლის ფუძემდებელი ირანში ალავერდი-ხანი იყო.

---

9 ამ ცნობას ადასტურებს აგრეთვე იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი. (იხ. თ. ნატროშვილი, მაშრიყით მაღრიბამდე, თბილისი, 1974).

10 სწავლულ კაცთა მონათხრობს მთლიანად ემთხვევა ვახუშტი ბაგრატიონისა და არჩილ მეფის ცნობები. (ვახუშტი ბაგრატიონი, ქართლის ცხოვრება, IV, 1973. გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა, არჩილიანი, II. თბ., 1937).

11 ვ. გაბაშვილი, უნდილაანთ ფეოდალური სახლი XVI-XVII სს. ირანში, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, II. თბ. 1972.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვაწლმოსილი იურისტი

გერმანე იოსების ძე ქილიფთარი, თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე ყოველთვის აქტიურად იბრძოდა სიმართლისა და პატიოსნებისათვის.

გ. ი. ქილიფთარი დაიბადა 1903 წლის 22 ივნისს ოზურგეთის მაზრის სოფელ ცხემლისხიდში, ღარიბი გლეხის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო ადგილობრივ სოფლის სკოლაში. შემდეგ კი ოზურგეთის საქალაქო სასწავლებელში განაგრძო სწავლა. აქედან გადავიდა ჰუმანიტარულ ტექნიკუმში, რომლის სრული კურსი 1923 წელს დაამთავრა.

ოცი წლის ყმაწვილმა მუშაობა დაიწყო აჭარის ასსრ უმაღლეს სასამართლოში მდივნად. 1926 წელს გერმანე ქილიფთარი უკვე თბილისში მუშაობს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს მდივნად. ამის შემდეგ იგი ერთხანს მუშაობდა თბილისის გაერთიანებულ სასამართლოში, შემდეგ ამავე სასამართლოს აღმასრულებელთა ბიუროს თავმჯდომარეა.

1927 წელს სამუშაოსაგან მოუწყვეტლად სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი 1931 წელს დაამთავრა.

საინტერესოა მისი ცხოვრებიდან ერთი ეპიზოდი, რომელსაც გერმანე ქილიფთარი ასე იგონებს: „1927 წელს, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს მდივნად ვმუშაობდი, ოლქის პირველი ინსტანციის სასამართლომ გაარჩია მნიშვნელოვანი სამოქალაქო საქმე. მოსარჩლის ინტერესებს იცავდა პროფესორი შალვა ნუცუბიძე, (რომელიც მაშინ საქართველოს სსრ ადვოკატურაშიც მუშაობდა). ხოლო მოპასუხეებს იცავდნენ გამოჩენილი ადვოკატები — ცივილისტები: პარმენ გედევანიშვილი და ალექსანდრე ანდრონიკაშვილი... როცა შალვა ნუცუბიძემ ჩემს მიერ დაწერილი სხდომის ოქმი წაიკითხა, ძალიან მოეწონა და შემეკითხა: „ყმაწვილო თქვენ იურისტი ხომ არ ბრძანდებით! მე ვუპასუხე: „იურისტი არა ვარ, მაგრამ ჩემი ოცნებაა იურისტი გავხდე-მეთქი. მითხრა: „ოქმში ყველაფერი, რასაც კი იურიდიული მნიშვნელობა აქვს ამ საქმეზე, ყველაფერი კარგად არის ასახული. ასეთ ოქმს ბევრი იურისტიც ვერ შეადგენდაო“.

დაახლოებით ორი კვირაც არ იყო გასული, რომ შალვა ნუცუბიძე კვლავ მოვიდა ჩვენთან ოლქის სასამართლოში და მითხრა: „პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამომგზავნა ორი ახალგაზრდის უნივერსიტეტში (ამ დროს იგი უნივერსიტეტში პრორექტორი იყო სასწავლო ნაწილში), იურიდიულ ფაკულტეტზე თავისუფალ მსმენელად ჩასარიცხავად. ცენტრალურ კომიტეტს მესამეს ვთხოვ და შენც იქნები ჩარიცხული და ლექციებს დაესწარიო“. მართლაც შალვა ნუცუბიძის გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგულებით გ. ქილიფთარი იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტად ჩარიცხეს.

გ. ქილიფთარი საქართველოს სსრ ადვოკატურის რიგებშია 1931 წლიდან. იგი ყოველთვის ადვოკატთა კოლეგიის ერთ-ერთი აქტიური წევრია.

გ. ქილიფთარი ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში ეწეოდა ჟურნალისტურ მოღვაწეობასაც. წერილებსა და სტატიებს ბეჭდავდა ჟურნალ „საბჭოთა სამართალში" და სხვ.

სასამართლოსა და ადვოკატურაში მუშაობის 50 წლის მანძილზე გ. ქილიფთარს მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება დაუგროვდა. იმ მრავალ საქმეთაგან, რომელშიაც მას მონაწილეობა მიუღია, შეგვიძლია მაგალითად მოვიტანოთ ერთი საქმე.

თ. ტ-შვილი, რომელსაც ყარაგანდის ოლქის სასამართლოში იცავდა ადვოკატი ზ. დუნაევი, სასამართლომ დამნაშავედ იცნო ყაზახეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 88-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" პუნქტით (ხულიგნური ქვენაგრძნობით განზრახ მკვლელობის ჩადენა) და მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

ყაზახეთის სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიაში თ. დ. ტ-შვილის დაცვა მიენდო გერმანე ქილიფთარს, რომელმაც დაწერა დასაბუთებული საკასაციო საჩივარი, და განახორციელა დაცვაც. იგი ამტკიცებდა, რომ მართალია, მკვლელობა წინასწარ განზრახული იყო, მაგრამ — დამამძიმებელი გარემოებათა გარეშე. სასამართლო კოლეგიამ მთლიანად გაიზიარა ადვოკატის საკასაციო საჩივარი და მისი დაცვითი პოზიცია და ბრალდება გადააკვალიფიცირა სსკ. 88-ე მუხლის მეორე ნაწილზე და სასჯელი შეუცვალა, თ. ტ-შვილს შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა.

გ. ქილიფთარი საქართველოს სსრ ადვოკატურაში ხანგრძლივი, ნაყოფიერი და უმწიკვლო მუშაობისათვის მრავალჯერ იყო წახალისებული, ხოლო დაბადების 70 წლისა და სასამართლოსა და ადვოკატურაში მუშაობის 50 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმმა იგი დააჯილდოვა სახელობითი საათით და გამოუცხადა მადლობა. გ. ქილიფთარი დაჯილდოებული იქნა აგრეთვე საქართველოს სსრ ადვოკატურის 50 წლისთავთან დაკავშირებით.

გერმანე ქილიფთარს ორ ათეულ წელზე მეტხანს ირჩევდნენ რაიონის სასამართლო-პროკურატურის და ადვოკატურის გაერთიანებული ადგილკომის თავმჯდომარედ. იყო აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის წევრი.

გ. ქილიფთარი ათეული წლების მანძილზე კითხულობს ლექციებს პარტიის ოქტომბრის რაიკომისა და საზოგადოება „ცოდნის" დავალებით. იგი ასევე ლექციებს კითხულობს სახალხო უნივერსიტეტსა და ადვოკატთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარში. კარგი მუშაობისათვის რაიკომისა და საზოგადოება „ცოდნას" ხელმძღვანელობის მიერ ფასიანი საჩუქრებით არის დაჯილდოებული და მადლობაც გამოეცხადა.

გერმანე ქილიფთარი ხანდაზმულია, მაგრამ დღესაც ენერგიას არ იშურებს, ეხმარება ახალგაზრდა იურისტთა კადრებს კვალიფიკაციის ამაღლებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაშრომი საერთაშორისო-სამართლებრივ საკითხებზე*

გაერთიანებული ერების მრავალმხრივ ფუნქციათა შორის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანია საერთაშორისო სამართალშემოქმედებითი საქმიანობა. საერთაშორისო სამართლის სრულყოფის და განვითარების ამოცანების განხორციელება. ამ მხრივ გაეროს მოღვაწეობის გამოცდილების შესწავლა, მისი აქტების საერთაშორისო-სამართლებრივი ბუნების გარკვევა ხელს უწყობს იმას, რომ უფრო სრულად იქნას გამოვლინებული შესაძლებლობები და პერსპექტივები, რაც გააჩნია ამ მთავარ საერთაშოისო ორგანიზაციას საერთაშორისო სამართლის განვითარებაში, საერთაშორისო მართლწესრიგის განმტკიცებაში. აქედან გამომდინარე გასაგებია თუ რაოდენ აქტუალურ თემაზეა დაწერილი სარეცენზიო წიგნი.

ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნითი ნაწილისაგან. მას თან ერთვის გაეროს რიგი დეკლარაცია, რომელიც პირველადაა გამოქვეყნებული ქართულ ენაზე.

შესავალში გაშუქებულია საერთაშორისო სამართლის განვითარების კანონზომიერებანი, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის დამახასიათებელი თავისებურებანი, მის განვითარებაში გაეროს როლი. განსაკუთრებით აღნიშნულია, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, როცა საერთაშორისო ურთიერთობაში ჩაება ახალი ტიპის სახელმწიფო — საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, რომლის ლენინური საგარეო პოლიტიკის განხორციელება თავიდანვე ეყრდნობოდა ისეთ დემოკრატიულ პრინციპებს, როგორიცაა მშვიდობის, ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის, ყველა ქვეყნების დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის პრინციპები. საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური მოღვაწეობის შედეგად საერთაშორისო სამართალში დაიწყო ამ პრინციპების დანერგვა და განმტკიცება, ისეთი პროცესი, რაც ნიშნავდა ახალი საერთაშორისო სამართლის ჩამოყალიბებას. სოციალისტური სახელმწიფოების საგარეო-პოლიტიკური მოღვაწეობა მზარდ გავლენას ახდენს გაეროზე, რის დიდმნიშვნელოვანი გამოვლინებაა თანამედროვე საერთაშორისო სამართალში დემოკატიული საწყისების განმტკიცება და გაფართოება, რაც უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ამ სამართლის პროგრესული განვითარებისა და, ამასთან ამ ამოცანების შესრულებაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლის ზრდისა.

პირველ თავში გაშუქებულია გაეროს როლი საერთაშორისო სამართლის განვითარებისა და კოდიფიკაციის წახალისებაში. გაეროს დებულების შესაბამისი მუხლებისა და სხვა მასალის ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია რომ, ამ ამოცანის შესრულება გაეროს საქმიანობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, რაც გამომდინარეობს გაეროს მიზნებიდან და ორგანულ კავშირშია მის წესდებაში ჩამოყალიბებულ საეთაშორისო-სამართლებრივ პრინციპებთან. აქვე მოცემულია საერთაშორისო სამართლის პროგრესული განვითარების ცნების ახსნა-განმარტება. აღნიშნულია, რომ მის გამოხატულებას წარმოადგენს შემდეგი: თანამედროვე საერთაშორისო სამართლის შემდგომი დემოკრატიზაცია, მისი განვითარება აღმავალი გზით სრულყოფისაკენ, როცა ესა თუ ის ცვლილება (როგორც საყოველთაოდ აღიარებული დემოკრატიული პრინციპების შემდგომი დეტალიზაცია ახალ კონკრეტულ ნორმებში, ასევე ახალი დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება) ემსახურება მისი ძირითადი ფუნქციების — მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველყოფის, სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის განმტკიცება-გაფართოების ფუნქციების უკეთ განხორციელებას.

ფაქტები საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიიდან მოწმობენ, რომ საერთაშორისო სამართლის განვითარება, ცვლილებები მასში, ახალი საერთაშორისო — სამართ-

* გ. ე. ქვანია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი საერთაშორისო სამართლის განვითარებაში, გამომცემლობა „მეცნიერება", 1975, გვ. 187.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებრივი ინსტიტუტების, პრინციპებისა და ნორმების ჩამოყალიბება ყოველთვის არ იყო პროგრესული. ფართოდ აღნიშნავს რა ამას, ავტორი მართებულად აკეთებს აქცენტირებას იმ გარემოებაზე, რომ გაეროს წესდება გენერალური ასამბლეის საქმიანობის ერთ-ერთ მიზნად ისახავს საერთაშორისო სამართლის სწორედ პროგრესული განვითარებისათვის ხელის შეწყობას.

სათანადო ადგილი უჭირავს საერთაშორისო სამართლის განვითარებისა და მისი კოდიფიკაციის ურთიერთდამოკიდებულების საკითხის გარკვევას. დამაჯერებლადაა არგუმენტირებული, რომ საერთაშორისო სამართლის განვითარების პროცესი მოიცავს კოდიფიკაციასაც. ამასთან საფუძვლიანადაა კრიტიკულად მიმოხილული გაეროს ზოგიერთი მასალა წესდების მე-13 მუხლით გათვალისწინებული დებულების რეალიზებისათვის მიღებულ ღონისძიებათა შესახებ, სადაც არსებითად საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაცია წარმოდგენილია მისი განვითარების საეთო პროცესიდან გათიშულად, მისგან განცალკევებული საქმიანობის სახით.

წიგნის მომდევნო ნაწილი ეძღვნება საკვანძო საკითხებს — უნივერსალური საერთაშორისო შეთანხმებების შემუშავებასა და მიღებას გაეროს გენერალური ასამბლეის თაოსნობით, რეზოლუციებს გაეროს საშინაო ორგანიზაციულ საკითხებზე, საერთაშორისო—სამართლებრივი პრინციპების ჩამოყალიბებას გენერალური ასამბლეის დეკლარაციებში და გენერალური ასამბლეის სხვა ნორმატიულ რეზოლუციებს. დაწვრილებითაა გამორკვეული ამ აქტების იურიდიული ბუნება და მათი მნიშვნელობა საერთაშორისო სამართლის განვითარებაში. აქვე მიმოხილულია საზღვარგარეთული და საბჭოთა ავტორების შეხედულებები ამ საკითხების შესახებ.

ნაშრომში ნაჩვენებია, რომ გაეროს გენერალური ასამბლეის დეკლარაციებში ჩამოყალიბებულ პრინციპებს ისეთივე სავალდებულო ძალა აქვს, როგორც საერთაშორისო სამართლის სხვა ზოგად პინციპებს და ამიტომ გენერალური ასამბლეის დეკლარაციები თანამედროვე საერთაშორისო სამართლის წყაროა და ამდენად მისი პროგრესული განვითარების ერთ-ერთი საშუალებაცაა. ამასთან ნათქვამია, რომ ასამბლეა იღებს ისეთ რეზოლუციებსაც, რომლებშიც მსგავსად დეკლარაციებისა, ჩამოყალიბებულია არსებითად ახალი საერთაშორისო-სამართლებრივი პრინციპები და რომლებსაც იურიდიულად სავალდებულო ძალა აქვთ. ამგვარი რეზოლუციებიც მართებულადაა მიჩნეული საერთაშორისო სამართლის წყაროდ და მისი განვითარების საშუალებად.

აღნიშნულ პრობლემათა განხილვის პროცესში შესაფერისი ადგილი უჭირავს გაეროს შინაგანი ორგანიზაციული საქმეების თაოსნობაზე გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუციების იურიდიული თვისებისა და სამართლის განვითარებაში მათი როლის განხილვას. საფუძვლიანადაა გარკვეული, რომ ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგება გენერალური ასამბლეის მიერ შიგნით და საერთაშორისო სასამართლოსთან დაკავშირებით შეადგენს ძალიან ფართო კომპეტენციას და ხორციელდება გენერალური ასამბლეის რეზოლუციებით, რომლებსაც იურიდიული ძალა გააჩნიათ და მოცემულია მტკიცებულება იმისა, რომ ასეთი რეზოლუციები წარმოადგენენ საერთაშორისო სამართლის წყაროს და ავრეთვე მისი განვითარების საშუალებას.

მესამე თავში, რომელიც ეძღვნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოების უფლებამოსილებას საერთაშორისო სამართალშემოქმედების ასპექტში, უპირველეს ყოვლისა დაწვრილებითაა განხილული ფუნქცია გაეროს უმნიშვნელოვანესი ორგანოსი — უშიშროების საბჭოსი. ნაჩვენებია, რომ ამ საბჭოს უფლებამოსილება სამხედრო სანქციების გამოსაყენებლად აგრესიის აღკვეთის მიზნით და ამ უფლებამოსილების განხორციელება სამხედრო-საშტაბო კომიტეტის დახმარებით, აგრეთვე უშიშროების საბჭოს თანამშრომლობა ამავე მიზნით კოლექტიური უშიშროების რეგიონულ სისტემასთან, შეიცავს იმის შესაძლებლობას, რომ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებმა გარკვეული წვლილი შეიტანონ საერთაშორისო სამართლის განვითარებაში და საერთაშორისო მართლწესრიგის განმტკიცებაში, საეთაშორისო ურთიერთობათა მშვიდობიან რეგულირებაში.

შემდეგ განხილულია საკითხი თუ რა კავშირში იმყოფება გაეროს სამეურვეო საბჭოსა და საერთაშორისო სასამართლოს საქმიანობა საერთაშორისო სამართალშემოქმედებასთან. ამ ორგანოების შესახებ დებულებებისა და მათი მოღვაწეობის გამოცდილების გაანალიზების საფუძველზე ნაჩვენებია: სამეურვეო საბჭოს დამოუკიდებელ საქმიანობას მეურვეობის საერთაშორისო სისტემის ფარგლებში არსებითად არ გააჩნია ისეთი მნიშვნელობა, რომ ის წარმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგენდეს საერთაშორისო სამართლის განვითარების ფაქტორს, და საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკის პროცესში კი ხდება საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლებრივი ნორმების დაზუსტება — სრულყოფა, რასაც შესაძლოა გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდეს საერთაშორისო სამართლის განვითარების დარგშიც.

განსაკუთრებით საყურადღებოა ნაშრომის ის ნაწილი, რომელშიც გამოკვლეულია გაეროს წესდებისა და მისი მოღვაწეობის გამოცდილების მიხედვით გაეროს გენერალური ასამბლეისა და მისი რიგი სხვა ორგანოების აქტების იურიდიული ბუნება და მათი მნიშვნელობა საერთაშორისო სამართლის განვითარებაში.

ნაშრომში საკითხები განხილულია თანმიმდევრულად, პრობლემებთან დაკავშირებით მოტანილი მასალები კარგადაა გაანალიზებული და დასაბუთებული, მიღებული დასკვნები მეცნიერულ და პრაქტიკულ ინტერესს იწვევენ.

სარეცენზიო წიგნი, რომელიც გამართული ქართულით არის დაწერილი, იმსახურებს მაღალ შეფასებას.

ამასთან ერთად გვინდა გამოვთქვათ ზოგიერთი შენიშვნაც.

გაეროს ორგანიზაციულ საკითხებზე გენერალური ასამბლეის რეზოლუციების იურიდიული ბუნების საკითხის განხილვისას საჭირო იყო უფრო მეტი მასალის მოტანა და განხილვა.

66-ე გვერდზე (და ზოგ სხვა ადგილასაც) გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციებს ორგანიზაციულ საკითხებზე ავტორი უწოდებს რეზოლუციებს „ორგანიზაციულ-ადმინისტრაციულ საკითხებზე". აქ სიტყვა „ადმინისტრაციული" ზედმეტია. ეს უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ გაეროს შინაგანი ორგანიზაციული საკითხები, საერთაშორსო სასამართლოსთან დაკავშირებული საქმეები, რის შესახებაც ნათქვამია ნაშრომში, განიხილება და წყდება კოლეგიალურად და არა ადმინისტრაციული წესით ან გზით.

სამართალშემოქმედებასთან საერთაშორისო სასამართლოს საქმიანობის კავშირის საკითხის განხილვისას ნათქვამია: საერთაშორისო სასამართლოს მიერ საერთაშორისო სამართლის ჩვეულებითი ნორმების მიკვლევა და ფორმულირება, პრაქტიკის სხვადასხვაობისა და უზუსტობის, ფაქტებისა და გარემოებების ნაკლულების თუ მათი სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციის შესაძლებლობის გამო შეიძლება წარმოადგენდეს „არსებითად ახალი ჩვეულებითი ნორმების ჩამოყალიბებას..." (გვ. 125).

ძნელია დავეთანხმოთ ამ დასკვნას. საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საბოლოო ჯამში ადგილი აქვს ხსენებული ნორმების არსის ყოველმხრივ გარკვევას, ამა თუ იმ საქმის სწორად გადაწყვეტის ამოცანის მოთხოვნათა შესაბამისად (რასაც შეიძლება მნიშვნელობა ქონდეს ასეთი ნორმების დაზუსტებისა და სრულყოფისათვის და ამდენად ხელს უწყობდეს საერთაშორისო სამართლის განვითარებას) და არა არსებითად ახალი ჩვეულებითი ნორმების ჩამოყალიბებას.

საერთაშორისო სამართლის განვითარების და მისი კოდიფიკაციის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემის გაშუქებისას გამოთქმულია მოსაზრება, რომ საერთაშორისო სამართლის ოფიციალური კოდიფიკაცია ყოველთვის ნიშნავს მის განვითარებას (გვ. 35).

აქ საჭიროა დამატებითი ახსნა-განმარტება ან ცალკეული დაზუსტება. საქმე შემდეგშია: იმ შემთხვევაში, თუ კოდიფიკაცია საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების სისტემატიზაციით (ინკორპორირებით) იქნება განსაზღვრული, ე. ი. მხოლოდ ისინი იქნება გარკვეულ მწყობრსისტემაში მოყვანილი, საკოდიფიკაციო აქტით მათში ცვლილებების შეტანის გარეშე (კოდიფიკაციის ცნება საერთოდ არ გამორიცხავს ამას), მაშინ რაში გამოიხატება საერთაშორისო სამართალის განვითარება? შესაძლოა ითქვას, რომ ამდაგვარ გარემოებაში კოდიფიკაცია თავისთავად უფრო ნიშნავს სამართლის განვითარებისათვის ხელშემწყობ პირობას, ვიდრე მის განვითარებას. ყოველ შემთხვევაში, ეს საკითხი სადავოა.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალში დემოკრატიული პრინციპების აღიარებისა და მოქმედების მნიშვნელობის საკითხების გაშუქებისას ეს სამართალი წარმოდგენილია, როგორც საყოველთაო დემოკრატიული სამართალი (გვ. 53). შეიძლება ითქვას, რომ აქ ადგილი აქვს სამართლის დემოკრატიულობის ცნების მეტისმეტად ფართო ინტერპრეტაციის დაშვებას. მიგვაჩნია, რომ ვინაიდან არაა საყოველთაო დემოკრატია ყველა ქვეყნების მაშტაბით, დასაბუთებულად არ შეიძლება ჩაითვალოს საყოველთაო საე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთაშორისო სამართალს ეწოდოს საყოველთაო დემოკრატიული სამართალი.

89-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ გენერალური ასამბლეის ცალკეული დეკლარაციების საფუძველზე და მათი განვითარება-დაზუსტებისათვის სახელმწიფოები, გენერალური ასამბლეის თაოსნობით, საერთაშორისო ხელშეკრულებას დებენ. საკმაოდ ნათლად არაა გარკვეული, თუ რატომაა საჭირო ხელშეკრულებების დადება ამ დეკლარაციების განვითარება-დაზუსტებისათვის, როცა ამ ამოცანის შესრულება უშუალოდ შედის გენერალური ასამბლეის კომპეტენციაში.

ეს შენიშვნები და სადავო მომენტები გავლენას არ ახდენენ ნაშრომის საერთო შეფასებაზე. იგი წარმოადგენს საერთაშორისო-სამართლებრივ ლიტერატურის კარგ შენაძენს.

ხ. როგავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნგრელი მეცნიერის ნაშრომი საკუთრების საკითხებზე რომის სამართლის მიხედვით*

ძველი რომის ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა, მისი დამსახურება ცივილიზებული კაცობრიობის წინაშე მდგომარეობდა არა მარტო მის საშუამავლო როლში ანტიკურსა და თანამედროვე სამყაროს შორის, არა მხოლოდ ახალი ხალხებისათვის იმ კულტურულ ღირებულებათა და პოლიტიკურ გამოცდილებათა გადაცემაში, რაც დაგროვილ იქნა ხმელთაშუაზღვის ქვეყნებსა და მის გარემომცველი ძველი მსოფლიოს მიერ. რომმა აითვისა და წინ წასწია ძველი ხალხების კულტურა. განსაკუთრებით დიდია რომაელების დამსახურება სამართალგანვითარების სფეროში, ეს დღეს საყოველთაოდ აღიარებულია ისტორიულ მეცნიერებაში.

კლასიკური აღმოსავლეთის ქვეყნებში სამართალგანვითარებამ უმაღლეს დონეს მიაღწია ბაბილონის კანონმდებლობაში, განსაკუთრებით კი ცნობილ ხამურაბის კოდექსში, რომელიც შედგენილია ძველი წელთაღრიცხვის XVIII საუკუნეში. უნდა ითქვას, რომ რომის სამართალი IV საუკუნეში ჩვენს ერამდე თავისი განვითარების დონით ჩამორჩებოდა ძველ ბაბილონურ სამართალს, მაგრამ მდგომარეობა თანდათან რომის სასარგებლოდ იცვლებოდა. მომდევნო საუკუნეებში და განსაკუთრებით კი რომის სამართლის კლასიკურ ხანაში, როდესაც მკვეთრად გამოვლინდა რომის სამართლის სისტემის განვითარებისუნარიანობა, დაიხვეწა და განვითარდა იურიდიული ტექნიკა, დამკვიდრდა იურიდიული აზროვნების ლოგიკურობა, რომის სამართალი ახალ ისტორიულ სიმაღლეზე აღმოჩნდა ძველი ბაბილონის სამართალთან შედარებით. დიდი როლი შეასრულეს რომის სამართლის განვითარებაში მეცნიერმა იურისტებმა, რომელთა შორისაც მრავლად იყვნენ აღმოსავლეთის ხალხთა წარმომადგენლებიც (მაგ. ებრაელები: პავლე (პაულუსი), პაპინიანი, ულპიანე და ა. შ.).

რომის სამართლის ისტორია უშუალოდ დაკავშირებულია კლასობრივი ბრძოლის ისტორიასთან ძველ რომში, საწარმოო ძალების განვითარების რთულ პროცესებთან, აგრეთვე კულტურისა და პოლიტიკურ ისტორიასთანაც.

რომის სამართალში კერძო საკუთრების ინსტიტუტის განვითარების ისტორიის გაცნობას დიდი მნიშვნელობა აქვს ძველი სამყაროს ისტორიის საკითხების ღრმა და საფუძვლიანი შესწავლისათვის.

არ შეიძლება დავეთანხმოთ დღეამდე საკმაოდ გავრცელებულ მოსაზრებას, რომ საბჭოთა იურისტებისათვის რომის კერძო სამართალს, როგორც კერძო საკუთრების საწყისებზე დაფუძნებულ სამართლის სისტემას, თითქოს არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს. ასეთი მოსაზრების წინააღმდეგ ჯერ კიდევ 1949 წელს გაილაშქრა ცნობილმა ისტორიკოსმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა პროფ. ნ. ა. მაშკინმა. იურისპრუდენცია, როგორც მეცნიერება, უკვე რამდენიმე ათასი წელია რაც ვითარდება. თვით საბჭოთა სამართლისმცოდნეობა იყენებს არაერთ ცნებას, რომელთა ფესვებიც რომის სამართლიდან მოდის. მაგალითად, „ნოვაციის" ცნება, რომელიც საბჭოთა იურისპრუდენციაშიც გამოიყენება, ძველ რომში წარმოიშვა და ა. შ.

საბჭოთა იურისტებისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს იურიდიული ანალიზის იმ მეთოდების გაცნობას, რომელიც ძველ რომში იყო მიღებული. როგორც ნ. ა. მაშკინი აღნიშნავდა: «Римское право важно для понимания права капиталистических стран, с которым могут столкнуться советские юристы. Но самое главное — марксистская подготовка юриста немыслима без общей истории права, существенное звено которой составляет право древнего Рима».

სამწუხაროდ, ამ ბოლო ხანებში საბჭოთა იურისპრუდენციაში შესუსტდა ყურადღება რომის სამართლისადმი. პერეტერსკის, გრაბარის და ნოვიცკის შემდეგ სპეციალური გამოკვლევები ნაკლებად იწერება რომის სამართლის ისტორიის საკითხებზე. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ნაკლი მალე გამოსწორდება.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიე-

---

* Georgy Diósdi. Ownership in Ancient and Preclassical Roman Law. Budapest.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულ წრეებში რომის სამართლის მიმართ დიდი ყურადღების გამოხატულებაა, ის გარემოება, რომ ბუდაპეშტში უნგრელი მეცნიერი ინგლისურ ენაზე აქვეყნებს სერიოზულ ნაშრომს კერძო სამართლის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხის — საკუთრების შესახებ წინაკლასიკური რომის სამართლის მიხედვით. საკუთრების უფლება ერთ-ერთი ძირითადი სანივთო უფლებათაგანია და მისი ისტორიის კვლევაც მეტად მნიშვნელოვანი საქმეა.

სარეცენზიო ნაშრომის ავტორია უნგრელი მეცნიერი დიოშდი. აქედანვე უნდა ითქვას, რომ ავტორმა, მიუხედავად იმისა, რომ ძველ რომში საკუთრების საკითხებზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერთა მიერ მრავალი ნაშრომია გამოქვეყნებული, შეძლო საკუთარი, კარგად დასაბუთებული მოსაზრებების წამოყენება.

დიოშდის ნაშრომი შეიცავს დიდი ფორმატის 193 გვერდს, შედგება წინასიტყვაობის, წიგნში გამოყენებული ლიტერატურის შემოკლებული მითითებათა სპეციალური განმარტებისა და ორი ნაწილისაგან. თხზულების პირველი ნაწილი, რომელიც რომის „უძველესი სამართლისადმი“ მიძღვნილი, შედგება ცხრა თავისაგან, ხოლო მეორე ნაწილი, რომელიც წინაკლასიკურ ხანას ეთმობა, ხუთი თავისაგან.

ეს ნაშრომი ჩვენს რესპუბლიკაში ბიბლიოგრაფიული შვიათობითაა და მკითხველებისათვის საინტერესო იქნება ,თუ რა საკითხებს იხილავს ავტორი თავის თხზულებაში.

პირველ თავში ავტორი განიხილავს კერძო საკუთრების წარმოშობის საკითხს მოძრავ ქონებაზე უძველესი სამართლის მიხედვით, მეორეში — კერძო საკუთრების აღმოცენებას უძრავ ქონებაზე. მესამე თავში ავტორი იკვლევს საოჯახო და ინდივიდუალური (კერძო) საკუთრების ურთიერთდამოკიდებულების საკითხს რომის სამართლის წყაროების მიხედვით. მეოთხე თავში — საკუთრების აღმნიშვნელი ტერმინები და patria potestas-ის ჰომოგენურობას. მეხუთე თავი მთლიანად მიძღვნილია მანციპაციისადმი. მეექვსე თავში განხილულია უსუკაპიო (საკუთრების უფლების შეძენა ხანდაზმულობით და სხვ), მეექვსე-მეშვიდე თავებში განხილულია საკუთრების დაზიანების ანაზღაურების და სერვიტუტების ინსტიტუტის განვითარების საკითხები, ხოლო მეცხრე თავში — რომის უძველესი ხანის სამართლის მიხედვით საკუთრების ბუნება.

ნაშრომის მეორე ნაწილის პირველ და მეორე თავებში ავტორი იკვლევს საკუთრების კლასიკური განსაზღვრის და საკუთრების აბსტრაქტული ცნების გამომხატველი ტერმინის წარმოშობის მიზეზებს რომის სამართლის მიხედვით. წიგნის მესამე და მეოთხე თავებში განხილულია (სამოქალაქო ისტორიასთან კავშირში) საკუთრების წარმოშობის თანდათანობით ევოლუცია წინაკლასიკურ რომის სამართალში.

დასასრულ, სარეცენზიო ნაშრომის მეორე ნაწილის მეხუთე თავში დიოშდი იკვლევს საკუთრების ბუნებას წინაკლასიკური რომის სამართლის მიხედვით.

თითქოს ძალიან ძნელი იყო, რომ ავტორს ეთქვა ახალი სიტყვა რომში საკუთრების ისტორიის საკითხებში. საბედნიეროდ ეს ასე როდი მოხდა. ირკვევა, რომ მიუხედავად უზარმაზარი ლიტერატურის არსებობისა ძველ რომში საკუთრების ისტორიის შესახებ, მთელი რიგი საკითხებისა დღემდე საბოლოოდ გამოკვლეული არ არის. თუ წყაროებს სათანადო სიფრთხილით მოვეკიდებით და მათ რომის ისტორიის თანამედროვე შესწავლილობის დონის პრიზმით განვიხილავთ, აღმოჩნდება რომ შესაძლებელია ახალი დასკვნების გაკეთება რომის სამართლის რიგი საკითხების შესახებ.

დიოშდის თავის თხზულებაში გამოყენებული აქვს რომში საკუთრების ისტორიის საკითხების შესახებ არსებული ლიტერატურა ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, უნგრულ, რუსულ და სხვა ენებზეც. ავტორს შესწავლილი აქვს სპეციალურ ჟურნალებში გაბნეული ლიტერატურა და ა. შ. საბჭოთა ავტორებიდან დიოშდი იცნობს პერეტერსკისა და ნოვიცკის ნაშრომებს რომის სამართლის ისტორიის საკითხებზე. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დიოშდის რომ მეტი ყურადღება გამოეჩინა რევოლუციამდელი რუსეთის მეცნიერების მიღწევებისათვის რომის სამართლის ისტორიის შესწავლის საქმეში, ცხადია, ის სახელგანთქმული ი. პოკროვსკის ნაშრომებით მაინც ისარგებლებდა, ამით მისი თხუზულება მხოლოდ მოიგებდა.

სარეცენზიო ნაშრომის ერთ-ერთი მთავარ ღირსება ის არის, რომ ავტორმა შესძლო სოციალურ-ეკონომიური და სამართლებრივი განვითარების ერთმანეთთან დაკავშირება. საკუთრების სამართლის ისტორია განხილულია როგორც ერთერთი მომენტი მთლიანად აღებული რომის შინაგანი ისტორიისა.

ძველი რომის სამართლის მიხედვით უარავი ქონების ცნება გაცილებით ვიწრო იყო (საკუთვნელითურთ), ვიდრე მოგვიანებით ბურჟუაზიულ სამართალში.

ისტორიულად უძრავი და მოძრავი ქონე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ცნება ყოველთვის ერთნაირი არ ყოფილა. თავდაპირველად სახლები და სხვა ნაგებობანი მოძრავ ქონებად ითვლებოდნენ არა მარტო იმიტომ, რომ ხის სახლების და საერთოდ ხის ნაგებობათა ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა მათი არსის დაუზიანებლად შეიძლებოდა, არამედ იმიტომაც, რომ კანონმდებლის ნებით იგი ასეთად ცხადდებოდა. ამის მიხედვით ხომალდები ხან მოძრავ ქონებად ითვლებოდა, ხან უძრავად.

შუა საუკუნეების ევროპაში, უძრავი ქონება სახელმწიფოში ადამიანის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის საფუძველი გახდა, ამიტომაც უძრავი ქონების რეჟიმი უფრო დეტალურად დამუშავდა კანონმდებლობაში. სახელმწიფოს ინტერესები უფრო მეტად უძრავ ქონებაში იყო გადაწნული, ვიდრე მოძრავში, ამიტომაც მოძრავი ქონების გასხვისების რეჟიმი უფრო თავისუფალი იყო სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევისაგან.

მოგვიანებით თავისი განვითარებული სახით რომის სამართალმა უკვე არ იცოდა მოძრავ და უძრავი ქონების განსხვავებული რეჟიმი სამოქალაქო ბრუნვაში.

მაგრამ დიდხანს სამართლის სისტემაში მოძრავი ქონების დაუფლების ტიტული მფლობელობა — „პოსესიონ" იყო. ასეთი იყო იურიდიული ანდაზა. Vilis mobilium possessio.

საკუთრების უძველესი რომაული ფორმები აისახა თორმეტი ტაბულის კანონებში, სადაც მათ familia და pecunia ერქვათ. „ფამილია" იყო სახლის უფალის ხელქვეშეთი ოჯახის წევრების (თავისუფალი სტატუსის ადამიანების) და მონების ერთობა, ხოლო „პეკუნია" ნიშნავდა პირუტყვს. სახლის უფალი ანუ „პატერ ფამილიას" ერთნაირად განაგებდა საკუთრების ხსენებულ ორივე სახეობას. ხსენებულ შემთხვევაში, როდესაც პატრიარქალური მონობა იყო სახეზე, მონაც ოჯახის წევრად იყო მიჩნეული. თანდათანობით საკუთრების ხსენებული სახეობები ერთმანეთს შეერწყა, გადაეწნა და დღის წესრიგში დაისვა მათ აღსანიშნავად ერთიანი ტერმინის გამონახვა. შეიძლება მართალიც კი იყოს დიოშდი, როდესაც ფიქრობს, რომ ტერმინები „ფამილია" და „პეკუნია" იმ დროის ნაყოფია, როდესაც რომაელისთვის მთავარი შემოსავლის წყარო იყო არა მიწათმოქმედება, არამედ მესაქონლეობა. საკუთრების პირველ ობიექტებად სწორედ მონები და პირუტყვი გახდა. მაგრამ ასეთი ვითარება უნდა ვიგულისხმოთ თორმეტი ტაბულის კანონების შედგენამდე, ვინაიდან ძვ. წ. V საუკუნისათვის მიწათმოქმედება უკვე რომაელისათვის შემოსავლის ძირითად წყაროდ ითვლებოდა და თითონ მიწაც უკვე საკუთრების ობიექტად იყო ქცეული თუ მთლიანად არა, მნიშვნელოვანწილად მაინც.

რომში ძალიან ადრე ვითარდება კერძო საკუთრება მიწაზე, ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ იტალიის ბუნებრივი პირობები ისეთი იყო, რომ პატრიარქალურ ოჯახებს უკვე ცალკე შეეძლოთ მიწის საკმაოდ ვრცელი ნაკვეთების დამუშავება, თანდათან გვარის შიგნით შეძლებული ოჯახების ფენა ჩნდება. პატრიარქალურ ოჯახებში მონებზე და პირუტყვზე მოთხოვნილება იზრდება. კერძო საკუთრება ჯერ საკარმიდამო მიწებზე წარმოიშვა, ხოლო შემდეგ — სახნავ-სათეს მიწაზეც, რომელიც მანამდე მთელი გვარის საკუთრებას წარმოადგენდა.

მართებული ჩანს დიოშდის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ძველ იტალიაში მიწაზე და პირუტყვზე საგვარეულო საკუთრება კი არსებობდა ისტორიის თვალსაწიერზე, მაგრამ მონებზე კოლექტიური საკუთრების ნიშნები არ ჩანსო. მონები იმთავითვე ოჯახების, უფრო სწორად სახლის უფალის კერძო საკუთრებად იქცენენ. ბატონობა-მორჩილებითი ურთიერთობა ძველი რომის სინამდვილეში ოჯახის შიგნით ჩაისახა და მონების ურთიერთობა ბატონებთან ყოველთვის პიროვნულ ხასიათს ატარებდა. პატრიარქალურმა მონობამ დაჩქარა პირველყოფილთემური წყობილების რღვევა და კერძო საკუთრების საწყისების საბოლოო გამარჯვება. საოჯახო საკუთრება სახლის უფალის — „პატერფამილიას"-ის საკუთრებად გადაიქცა.

კერძო საკუთრების სწრაფმა განვითარებამ გამოიწვია საკუთრების აბსტრაქტული ცნების გამოსახატავი ტერმინის საჭიროება. სახლის უფალის ძალაუფლება ოჯახის თავისუფალ წევრებზე ჯერ შეიზღუდა, შემდეგ დაკნინდა. რომის აგრესიამ მეზობელ ქვეყნებში ტყვე-მონებით გაავსო რომის ბაზარი. პატრიარქალური მონობის ადგილას მთელი მონათმფლობელური სისტემა წარმოიშვა. პირადი და ქონებრივი ურთიერთობა ერთმანეთს გაემიჯნა. სახალხო მეურნეობაში სულ უფრო მეტ როლს ასრულებს არა თავისუფალი გლეხის მეურნეობა, არამედ მონათმფლობელური ლატიფუნდიები. საკუთრება, მფლობელობა, სერვიტუტები და უზუფრუქტი მკვეთრად იქნა გამიჯნული ერთმანეთისაგან. რომაელი, ბერძენი, ებრაელი იურისტების მოღვაწეობამ დიდი როლი შეასრულა რომის სამართალგანვითარებაში.

საგრძნობი იყო რომის სამართალზე ბერძნული ფილოსოფიის გავლენაც. საკუთრების

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბსტრაქტული ცნების „დომინიუმ“ (dominium) შემუშავება რომის სამართლის დიდი მიღწევაა. ასეთი რამ მანამდე არცერთ სამართალის სისტემას არ ჰქონდა შემუშავებული. აღმოსავლეთის ქვეყნებში (ჩინეთი, ინდოეთი, სპარსეთი, თურქეთი, არაბთა სახელმწიფოები) შუა საუკუნეების მიმწუხრზეც კი არ იყო შემუშავებული საკუთრების აბსტრაქტული ცნების გამომხატველი ტერმინი.

გერმანული სამართლისათვის იგი ცნობილი გახდა XIV საუკუნეში, ხოლო რუსულ სამართალში ტერმინი საკუთრება XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ჩნდება. ამჟამად თითქმის ყველა სამართლის სისტემაში მკვიდრდება ან დამკვიდრებულია საკუთრების აბსტრაქტული ცნების გამომხატველი ტერმინი. რომის სამართლის ეს მიღწევა ათვისებულ იქნა მთელი ცივილიზებული კაცობრიობის მიერ.

წინაკლასიკურ ეპოქაში რესპუბლიკის ბოლო ხანებში რომაული საკუთრების სამართალი უკვე თავისი განვითარების მაღალი დონით განცალკევებულად დგას სხვა ხალხების საკუთრების სამართალთან შედარებით.

აქვე უნდა შევნიშნოთ რომ მიუხედავად იმისა, რომ რომის სამართალი საკუთრებას უფლებას ნივთისადმი თვითნებურად მოპყრობის უფლებად თვლიდა, რომში თავი იჩინა საკუთრების შეზღუდვის არც თუ მთლად უმნიშვნელო ტენდენციებმაც (ფუფუნების შეზღუდვა, მიწის საკუთრების ოდენობის ზღვრულ ფარგლებში ჩაყენება და ა. შ.).

რომის სამართლის დიდი დამსახურება იყო საკუთრებისა და მფლობელობის ცნებათა გამიჯვნა. მაგრამ გარკვეული პერიოდიდან მასში თავი იჩინა კონსერვატიზმმა. სამწუხაროდ დიოშდის არ უცდია აეხსნა, თუ რატომ ვერ განასხვავა რომის სამართალმა უშუალო მფლობელი შუალობითი მფლობელისაგან ან უფრო სწორად რატომ ვერ შექმნა რომის სამართალმა შუალობითი მფლობელისა და უშუალო მფლობელის ცნება? როგორც ცნობილია, შუალობითი მფლობელი უშუალო მფლობელისაგან მხოლოდ გერმანიის სამოქალაქო სამართლის დებულებამ განასხვავა XX საუკუნის ზღურბლზე.

დიოშდის შეხედულებას იმის შესახებ, რომ რომში მისი ისტორიის უძველეს ხანშიც კი მონებზე საგვარეულო საკუთრება არ არსებობდაო, საბჭოთა ისტორიულ მეცნიერებაში რიგი სწავლულები არ იზიარებენ (Е. М. Штаерман, Расцвет рабовладельских отношений в Римской республике, М., 1964, стр. 163—164).

ჩვენი აზრით, დიოშდის კონცეფცია, რომელიც წყაროების სკრუპულოზურ ანალიზზეა დაფუძნებული უფრო მართებულია, ვიდრე შტაერმანისა.

დიოშდის მიხედვით რომის სინამდვილეში აღიარებული მიწის სარგებლობის ხანდაზმულობის შედეგად (us us) მოსარგებლის საკუთრების უფლების წარმოშობა მიწის ნაკვეთზე, რომელზეც საუბარია თორმეტი ტაბულის კანონებში, სამართალშემოქმედების შედეგად შექმნილი იურიდიული კონსტრუქცია კი არ იყო, არამედ პრაქტიკული მოთხოვნილებით ნაკარნახევი ინსტიტუტი: მთელი საზოგადოების ინტერესები მოითხოვდნენ, რომ სახნავ-სათესად გამოსადეგი მიწა გამოუყენებელი არ დარჩენილიყო. ამასთანავე მდიდარ მეურნეებს შესაძლებლობა ეძლეოდათ დაუმუშავებელი მიწები გაესაკუთრებინათ.

რამდენადაც XII ტაბულის კანონების შედგენის დროისათვის რომის სამართლისა და რომის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე საკმაოდ მაღალი იყო, შეიძლება ვიფიქროთ, რომ დაუმუშავებელი მიწის სარგებლობის ხანდაზმულობის შედეგად წარმოშობილი საკუთრების უფლება მარტო პრაქტიკული მოთხოვნილებით შექმნილი ინსტიტუტი კი არ იყო, არამედ პრაქტიკულ მოთხოვნილებასთან მჭიდროდ გადაწნული იურიდიული კონსტრუქციაც. უპატრონო მიწები რომში ძვ. წ. V საუკუნისათვის უკვე აღარ იყო, მაგრამ გამონაკლისის სახით თუ მიწის პირვანდელი მესაკუთრე გარდაიცვლებოდა ან ისე დაკნინდებოდა, რომ მიწას ვერ უვლიდა, ვერ ამუშავებდა, მაშინ სახელმწიფო სტიმულს იძლეოდა ასეთი მიწის დამუშავებისათვის. საკუთრების დაფერფლილი უფლება, რომელიც უკვე რეალურად წყვეტდა არსებობას, ადგილს უთმობდა მოზეიმე, ახალი საკუთრების უფლების წარმომშობ ფაქტს.

მცირე მოცულობის რეცენზიაში ძნელია დიოშდის საუცხოო მონოგრაფიაში წამოყენებული ყველა საკითხზე საუბარი. სარეცენზიო ნაშრომი უთუოდ დიდ სამსახურს გაუწევს რომის ისტორიით და რომის სამართლით დაინტერესებულ მკითხველებს და აგრეთვე ყველა იმათ, ვისაც აინტერესებს იურიდიული მეცნიერების ღრმად შესწავლა.

სასურველია ხსენებული თხუზულების რუსულ და ქართულ ენებზე თარგმნა.

ვ. თამარიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამხმარე სახელმძღვანელო მილიციის მუშაკთა იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდის შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ დიდი ადგილი დაუთმო ჩვენს ქვეყანაში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომ გაძლიერებას. ყრილობის მითითებათა საფუძველზე ბოლო წლებში ჩვენს რესპუბლიკაში უკომპრომისო ბრძოლა გაჩაღდა დამნაშავეობის წინააღმდეგ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ ბევრი მნიშვნელოვანი დადგენილება მიიღეს დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერებისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების თაობაზე. რესპუბლიკის ყველა, მათ შორის შინაგან საქმეთა ორგანოებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის თებერვლის დადგენილებას თბილისის პარტიული ორგანიზაციის ორგანიზატორული მუშაობის შესახებ სკკპ XXIV ყრილობის დადგენილებათა შესასრულებლად. დადგენილებაში მხილებული იყო თბილისის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის ნაკლოვანებანი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ და სხვა მანკიერ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებაზე ხაზგასმით ითქვა აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზეც.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ დამნაშავეობასთან ბრძოლისა და პროფილაქტიკური მუშაობის ეფექტურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული შინაგან საქმეთა ორგანოების ყველა მუშაკის პროფესიულ დაოსტატებაზე, გულისხმიერებაზე, კომუნისტური მორალით მათ შეიარაღებაზე, მათი იდეურ-პოლიტიკურ დონის ამაღლებაზე.

საკითხთა ამ წრეს ეხება სწორედ მილიციის პოლკოვნიკის კონსტანტინე მელაშვილის წიგნი „პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა მილიციის პირად შემადგენლობაში“, რომელიც გამომცემლობა „განათლებამ“ 1975 წელს გამოსცა.

სარეცენზიო ნაშრომი განკუთვნილია მილიციის სპეციალური საშუალო სკოლის მსმენელებისათვის. იგი როგორც დამხმარე სახელმძღვანელო დამტკიცებულია საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ. სახელმძღვანელო სასწავლო პროგრამის მიხედვით არის დაწერილი. ქართულ ენაზე ასეთი ნაშრომი პირველად გამოვიდა. მას არც რუსულ ენაზე ჰყავს წინამორბედი. ამიტომ ყველა საფუძველი გვაქვს მივესალმოთ ამ ფრიად საჭირო და სასარგებლო საქმეს. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ნაშრომი მილიციის ორგანოების პირად შემადგენლობაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის კურსის შექმნის პირველ ცდას წარმოადგენს. წიგნი საინტერესოა ფართო მკითხველისათვის სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდისა და მილიციის საქმიანობის პოპულარიზაციის თვალსაზრისით. დამხმარე სახელმძღვანელოს ავტორი მილიციის სკოლის პრაქტიკოსი მუშაკი და პედაგოგია. მას ოპერატიული მუშაობის სკოლაც აქვს გავლილი.

დამხმარე სახელმძღვანელო შვიდი თავისაგან შედგება. პირველ თავში გაშუქებულია სკკპ ხელმძღვანელი როლი კომუნიზმის მშენებლობაში. ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ პარტიის ავტორიტეტის ზრდა თავისთავად აძლიერებს საბჭოთა ადამიანების მისწრაფებას— დაუკავშირონ მას თავისი ცხოვრება იდეურად და ორგანიზაციულად, იბრძოლონ მის მიზანდასახულობათა განსახორციელებლად. ავტორი ლაკონურად მოუთხრობს მკითხველებს, თუ რა კეთდება პარტიის XXIV ყრილობის მითითებათა საფუძველზე დამნაშავეობის აღკვეთისა და შემცირებისათვის.

მეორე თავი დათმობილი აქვს შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიონული განყოფილებების პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციების მუშაობას. წიგნში მართებულად არის აღნიშნული, რომ პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები დიდ როლს ასრულებენ მილიციის ორგანოების პირადი შემადგენლობის მობილიზების, პროფესიული კულტურის, იდეურ-პოლიტიკური დონისა და მორალურ-მოქალაქეობრივი შეგნების ამაღლების საქმეში. აქვე ავტორი კონკრეტულად განმარტავს თუ რა უნდა გაკეთდეს უახლოეს ხანში ამ მიმართულებით.

მესამე თავში სარეცენზიო წიგნის ავტორი ეხება შინაგან საქმეთა ორგანოებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ამოცანებს, შინაარსს, ფორმებსა და მეთოდებს. ეს თავი მთავარია და შედარებით ვრცელიც ნაშრომში. მასში განსაზღვრულია ის ამოცანები, რომლებიც უნდა განხორციელდეს პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის დარგში მილიციის სკოლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და შინაგან საქმეთა ორგანოებში.

წიგნის მეოთხე და მეხუთე თავებში გაშუქებულია მილიციის პირად შემადგენლობასთან პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხები. ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგებზე უნდა ვიმსჯელოთ მილიციის მუშაკის საქმიანი ნიშნებით, მისი კულტურით, დისციპლინითა და პასუხისმგებლობის ქმედითობის ხარისხით. აქვე მკითხველი ეცნობა შეგნებული დისციპლინის რაობას, შეგნებული დისციპლინის დანერგვის დიდ სახელმწიფოებრივ ღირებულებას.

მეექვსე თავი ეხება მილიციის სამსახურებრივ-ოპერატიული ამოცანების მაღალხარისხოვნად შესრულებაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის როლს, ნაშრომის მეშვიდე თავში კი ლაპარაკია შინაგან საქმეთა ორგანოების კავშირზე ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მშრომელთა კოლექტივებთან.

სარეცენზიო ნაშრომს დართული აქვს რეკომენდირებული ლიტერატურის ვრცელი ნუსხა.

გვაქვს შენიშვნებიც: სარეცენზიო ნაშრომის მესამე თავის მოცულობის სიმცირემ განაპირობა ის, რომ მილიციის მუშაკთა აღზდის მეთოდიკური მხარე დამხმარე სახელმძღვანელოში მკრთალად არის წარმოდგენილი. ავტორი, ვფიქრობთ, უთუოდ უნდა შეჩერებულიყო კომუნისტური აღზრდის იმ ძირითად პრინციპებზე, რაც დღეს აღიარებულია საბჭოურ პედაგოგიკაში. ამ პრინციპების უცოდინრად და მოუმარჯვებლად ძნელია მილიციის მუშაკთა იდეურ-პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალხარისხოვნად განხორციელება. უნდა გვახსოვდეს, რომ სწავლებასთან ერთად აღზრდასაც გააჩნია თავისი პრინციპები, ძირითადი დებულებები, კანონები, რომელთა გამოუყენებლად პიროვნების კომუნისტურ აღზრდას მიზანმიმართულს ვერ გავხდით.

წიგნის მესამე თავში ავტორი ცალ-ცალკე ეხება ზნეობრივ და შრომით აღზრდას, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის გრძნობის ჩამოყალიბებას, მეცნიერული მსოფლმხედველობის ფორმირებას, მაგრამ, სამწუხაროდ არაფერს ამბობს, თუ კონკრეტულად რა არის თითოეული მათგანის აღზრდის მიზანი და ამოცანა. თუ გვაკლია მიზნის სიცხადე, ძნელია მისი რაციონალურად განხორციელება. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ზნეობრივი აღზრდა კომუნისტური აღზრდის პირობა კი არ არის, როგორც ეს ავტორს ჰგონია (გვ. 66), არამედ მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, ისევე როგორც გონებრივი, ფიზიკური, ესთეტიკური აღზრდა და პოლიტექნიკური განათლება.

დასანანია, რომ ავტორი სახელმძღვანელოში არაფერს ამბობს დღეისათვის მილიციის მუშაკის პედაგოგიური და ფსიქოლოგიური განათლების დიდ მნიშვნელობაზე. ძნელია ვილაპარაკოთ შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკთა საქმიანობის აღმზრდელობით ღირებულებაზე თუ მათ არა აქვთ პედაგოგიკური განათლება და კულტურა. მაგალითად, განა შეიძლება რაიმე წარმატებაზე ლაპარაკი მცირეწლოვანთა და არასრულწლოვან დამნაშავეებთან მილიციის მუშაობაზე თუ მუშაკს ან სულ არა აქვს ან ძალზე დაბალი პედაგოგიური განათლება და კულტურა აქვს?

ავტორს მილიციის საქალაქო და რაიონულ განყოფილებათა მუშაობის გამოცდილებიდან უნდა წარმოეჩინა დადებითი მაგალითები (ასეთი კი არც თუ ცოტაა), მიესადაგებინა ისინი თეორიული დებულებებისათვის და ამით კიდევ უფრო თვალსაჩინო და მისაწვდომი გაეხადა მკითხველისათვის საკითხთა არსი. ფქმა არ უნდა, ამით დამხმარე სახელმძღვანელო მხოლოდ მოიგებდა.

შ. კუჭუხიძე,
პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარევი

დამნაშავეობის ზრდა ამერიკის შეერთებულ შტატებში

1974 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში მძიმე დანაშაულობების რიცხვის ზრდამ გადააჭარბა ყველა წარსულ „რეკორდს". გამოძიების ფედერალური ბიუროს ოფიციალური მოხსენების თანახმად, 1974 წელს რეგისტრირებული იყო 10,1 მილიონი ასეთი დანაშაული, რაც 1,5 მილიონით აღემატება 1973 წლის მონაცემებს. ამრიგად ზრდა 18 პროცენტს შეადგენს. ამერიკელი სტატისტიკოსები მძიმე დანაშაულებათა რიცხვს მიაკუთვნებენ მკვლელობას, გაუპატიურებას, ძარცვას, ძალადობას, ქურდობას და ავტომანქანების გატაცებას.

ყოველ 100.000 მოსახლეზე 4821 ასეთი დანაშაული მოხდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოველ 20 სულ მოსახლეზე ერთი მძიმე დანაშაული მოდის.

დიდ ქალაქებში (რომელთა მოსახლეობა 250 ათ. კაცს აღემატება) ზრდა 12 პროცენტს უდრიდა, ხოლო სოფლად და საგარეუბნო რაიონებში —20 პროცენტს. მეტად საგულისხმოა, რომ მოქალაქეთა საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულობათა ზრდას ბევრად უფრო მკვეთრი ხასიათი აქვს, ვიდრე ძალადობრივ დანაშაულობებს, რაც ეკონომიური კრიზისით არის განპირობებული.

1975 წლის მარტში გამოქვეყნებული იყო წინასწარი მონაცემები, რომელთა თანახმად ზრდა 17 პროცენტს (18 პროცენტის ნაცვლად) შეადგენდა. ჯერ კიდევ მაშინ აშშ-ს გენერალური პროკურორი ედვარდ ლევი იძულებული იყო განეცხადებინა, რომ სტატისტიკური მონაცემები მეტყველებენ ამერიკის შეერთებულ შტატების „სისხლის სამართლის მოქმედი სისტემის ტრაგიკული მარცხის შესახებ". ისღა დაგვრჩენია, რომ დავუმატოთ: „და განა მარტო სამართლის სისტემის?!"

მოიპარა... ერთი სანთებელა

ამას წინათ ლონდონში ღამით გაძარცვეს სუვენირების ერთ-ერთი პატარა მაღაზია. მძარცველმა ჩაამტვრია ვიტრინის შუშა და ისე შევიდა მაღაზიაში. წარმოიდგინეთ მაღაზიის პატრონის გაოცება, როდესაც მან დილით მაღაზიაში იატაკზე შუშით წაჭრილი ქურდის ცხვირის წვერი აღმოაჩინა. ამის შემდეგ მას აღარ გაკვირვებია, რომ ბედუკუღმართ ქურდს მხოლოდ ხუთ გორვანქა სტერლინგად ღირებული ერთი სანთებელას მოპარვა მოუსწრია.

ძაღლმა... მონადირე დაჭრა!

ინგლისში, ქალაქ ჰალიფაქსის მიდამოებში ვინმე მაიკლ კელიმ კვირა დღეს ტყეს მიაშურა. თან მან ძაღლის ლეკვი „რორი" გაიყოლია. მოულოდნელად, გახა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისებული ლეკვი პატრონს შეახტა. „როორის“ კლანჭი სანადირო თოფის ჩახმახს მოხვდა. მხარში მძიმედ დაჭრილმა კელიმ ძლივს მიაღწია მეზობლის სახლს, რომელმაც სასწრაფო დახმარების მანქანა გამოიძახა.

დაზარალებულია საცოლე

21 წლის ლონდონელი ალან პრესკოტი ქორწილისათვის ემზადებოდა. მაგრამ მოულოდნელად მისმა დანიშნულმა უარი უთხრა ცოლად გაყოლაზე. პრესკოტმა მოსვენება დაკარგა, ხოლო როდესაც მან გაიგო, რომ სატრფოს ახალი თაყვანისმცემელი გაუჩნდა, იგი სიძულვილით აღივსო, ჩაჯდა თავისი ავტომანქანაში და ჩასაფრდა მეტოქეს. როდესაც მეტოქე გამოვიდა მისი ყოფილი საცოლის სახლიდან, პრესკოტმა ძრავა ჩართო. მანქანამ, რომელმაც 90 კმ. სიჩქარე განავითარა, გაიტანა მეტოქე, რომელიც ადგილზევე გარდაიცვალა.

პოლიციელი მოხუცებული ქალის ფორმაში

წლების მანძილზე ჯეიმს მაკ გრეტი საღამოობით ქალაქის ქუჩებში ქალის კაბასა და ნეიღონის წინდებში გამოწყობილი დასეირნობდა, რათა შეცდომაში შეეყვანა მძარცველები და დაერწმუნებინა ისინი, რომ **მათ** წინაშე უმწეო მოხუცი ქალია. ფილადელფიის (აშშ) პოლიციის დეპარტამენტთან 1965 წელს შეიქმნა „ბებიკოების რაზმი“, რომელიც გადაცმული პოლიციელებისაგან შედგება. მაკ გრეტი შექმნის პირველივე დღიდან იყო ამ რაზმის წევრი.

ცხრა წლის მანძილზე იგი 50-ჯერ გახდა მძარცველთა „მსხვერპლი“. მან უკლებლივ ყველა მოძალადე დააკავა და გადასცა მართლმსაჯულებას. ყველა მათგანი მსჯავრდებულ იქნა. თვითონ მაკ გრეტი ყველა ამ შეტაკებებში დაჭრასა და სხეულის დაზიანებას გადაურჩა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში უმნიშვნელო დაბეჟი-

ლობას. „წინასწარ ვგრძნობდი, რომ ეს ეს არის რაღაც უნდა ჩამცხონ. თითქოს მეექვსე გრძნობის მაგვარი რამ განმივითარდა“, თქვა მაკ გრეტიმ. მაგრამ ახლა, როდესაც მას შეუსრულდა 50 წელი, მაკ გრეტიმ გადადგომა ამჯობინა: „იღბალს ვერ დავემდურები, მაგრამ ვშიშობ, ადრე თუ გვიან ბედმა არ მიღალატოს“-ო.

საეჭვო დაწესებულთა ბიზნესმენები

ამ რამდენიმე წლის წინათ დანიაში პრაქტიკულად გააუქმეს ყველა კანონი, რომელიც კრძალავდა ან ზღუდავდა პორნოგრაფიას. ამ ქვეყანაში კანონი არც პროსტიტუციას კრძალავს, ამიტომ მეძავები შეუზღუდავად „საქმიანობენ“ ბარებსა და ქუჩებში. მაგრამ მეძავის შემოსავლის მითვისება, მისი ექსპლოატაცია სისხლის სამართლის დანაშაულად არის მიჩნეული.

სანდვილე მოწმობს, რომ ფაქტიურად ეს კანონიც კეთილ განზრახვად რჩება. აქ მრავლად გაიხსნა საეჭვო ხასიათის დაწესებულებები, რომლებიც თავს „სამასაჟო“ კაბინეტებად ასაღებენ, სინამდვილეში კი საროსკიპოებისაგან არაფრით განსხვავდებიან. ყოველდღე გაზეთები აჭრელებულია ასეთი განცხადებებით: „სოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეიგი გთავაზობთ სამ ახალ გოგონას — სუსანას, ბეტინას და ევას. ისინი მზად არიან გერმანული მასაჟით მოემსახურონ სერიოზულ კლიენტებს. საუნა და აბანო". და ასე შემდეგ.

როგორც წესი, ასეთი „კაბინეტების" პატრონები განგსტერები არიან. როგორც განაცხადა ქ. კოპენჰაგენის პოლიციის უფროსის მოადგილემ აქსელ ფრედერიქსენმა, 2—3 განგსტერისაგან შემდგარი ჯგუფის მფლობელობაშია ჩვეულებრივ ხუთი-ათი ასეთი „დაწესებულება", რომელშიაც 3-დან 8-მდე ქალია. ყველა მათგანი თავისი შემოსავლის 50 პროცენტამდე „პატრონს" უთმობს. განგსტერი, რომელსაც ეკუთვნის 5 „კაბინეტი" ყოველკვირეულად ღებულობს სულ ცოტა 3000 დოლარს სუფთა მოგებას. გარდა ამისა, ისინი სხვა ბოროტმოქმედებათა, განსაკუთრებით — ნარკოტიკებით ვაჭრობის მონაწილეებიც არიან. საგულისხმოა, რომ ისინი გულუხვად უმასპინძლდებიან თავიანთ ქალებს ნარკოტიკებით, რაც მორჩილ მონებად აქცევს მათ.



საქმე იოლი და ერთობ მომგებიანი აღმოჩნდა. მარტო კოპენჰაგენში 100-ზე მეტი ასეთი საროსკიპო გაიხსნა. ყოველივე ამან საზოგადოებრიობის შეშფოთება გამოიწვია. გასული წლის ნოემბერში პოლიცია თავს დაესხა „სამასაჟო" კაბინეტებს და დააპატიმრა 3 მეპატრონე, მაგრამ არ გასულა რამდენიმე დღე და ისინი თავის „ბიზნესს" დაუბრუნდნენ.

შემაძრწუნებელი მკვლელობა

ჩაიდინა 18 წლის გოგონამ

ამას წინათ იტალიაში დააპატიმრეს 18 წლის გოგონა მამამისის, დედის, უმცროსი ძმისა, ბებიისა და ბაბუას მკვლელობაში მონაწილეობის ბრალდებით. ხუთივე მათგანი მოკლეს ერთ-ერთ პატარა დაბაში ქ. ტურინის მახლობლად საღამოთი, როდესაც ისინი სახლში სატელევიზიო კომედიურ ფილმს უყურებდნენ.

პოლიცია ამტკიცებს, რომ დორეტა გრანერიხი ორგანიზატორი იყო მთელი მისი ოჯახის ამოწყვეტისა იმ განზრახვით, რომ მემკვიდრეობით მიეღო მამამისის, 45 წლის ავტომანქანების საბურავებით მოვაჭრის ქონება.

მეგობრები და მეზობლები დორეტას ახასიათებენ როგორც „მორწმუნე ქალიშვილს, რომელიც ერთგული იყო საკუთარი ოჯახისა". მაგრამ მკვლელობამდე ორი თვით ადრე მან მიატოვა მამისეული სახლი და გაყვა 22 წლის ახალგაზრდას, ვინმე გვიყო ბადინსს. გამოძიების მონაცემებით, მან დაიყოლია ბადინსი და ამ უკანასკნელის ამხანაგი, გამხდარიყვნენ შემაძრწუნებელი მკვლელობის შემსრულებლები.

კასრებში... ჰაშიშია

რა საშუალებებსა და ხერხებს არ მიმართავენ კონტრაბანდისტები და ნარკოტიკებით მოვაჭრენი?! პოლიციისა და საბაჟოს მოხელეების მეცადინეობით დააპატიმრეს კანგსტერთა ჯგუფი, რომელიც დიდ ბრიტანეთში ჰაშიშის ფარულად შეტანისათვის იყენებდა... რადიოაქტიური ნარჩენებით სავსე კასრებს. განგსტერები ვარაუდობდნენ, რომ საბაჟოს მოხელეები მოერიდებიან ამ კასრების გახსნასა და გულდაგულ შემოწმებას, რადგან რადიოაქტიური ნივთიერებები მავნეა ჯანმრთელობისათვის.

ერთ ხანს ეს ვარაუდი მართლდებოდა. პაკისტანში განგსტერებმა დაიყოლიეს ფირმის პატრონი, რომელიც რადიოაქტიური ნარჩენებით ამარაგებდა ინგლისში ჰა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუელის ატომური ენერგიის ცნობილ კვლევით ცენტრს. ლითონის კასრებიდან წინასწარ იღებდნენ საიზოლაციო მასალის ნაწილს, რომლის ადგილსაც იკავებდა ჰაშიში.

როდესაც რადიაქტიური ნარჩენების მო-

რიგი პარტია აღწევდა ხსენებულ კვლევით ცენტრს, ფირმის „წარმომადგენელი" თხოულობდა „ცარიელ" კასრებს, ვითომდა პაკისტანში დასაბრუნებლად და ამგვარად კონტრაბანდისტებს საშუალება ეძლეოდათ შეუფერხებლივ ამოეღოთ ჰაშიში.

მაგრამ ბოლოს და ბოლოს დამნაშავეებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ: საბაჟოში გაჩხრიკეს ტვირთი და აღმოაჩინეს 230 ათასი გირვანქა სტერლინგის ჰაშიში. რამდენიმე განგსტერი დააპატიმრეს და გასამართლეს. საგულისხმოა, რომ ბანდის ხელმძღვანელმა (იგი „დოქტორის" მეტსახელით იყო ცნობილი) თავს უშველა და ინგლისიდან საზღვარგარეთ გაიქცა.

სურვილი შეუსრულა

ფლორიდაში, (აშშ) ერთ-ერთი მდიდარი ფერმერის 26 წლის ვაჟიშვილმა, უილიამ რაიტმა, მისი სახლის მახლობლად ამოთხარა ღრმა ორმო, ჩააგდო შიგ თავისი ცოლი, რომელთანაც სულ ორი თვის წინათ იქორწინა, ბულდოზერის დახმარებით მიწით ამოავსო ორმო და საფლავად აქცია იგი.

როდესაც მკვლელი დააპატიმრეს, პოლიციამ დაადგინა, რომ ცოლ-ქმარს უსიამოვნება მოსვლიათ, გამწარებულ ქალს უყვირია: „ნეტავ მკვდარი ვიყოვო!" პასუხად უ. რაიტმა არ დააყოვნა და ცოცხლად დამარხა საკუთარი მეუღლე.

ოფიციალური მასალა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ახლად შექმნილ რაიონში, ქალაქში, დაბასა და სასოფლო საბჭოში

მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების არჩევნების ჩატარების წესის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. ახლად შექმნილ რაიონში, ქალაქში, დაბასა და სასოფლო საბჭოში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნები ტარდება იმ შემთხვევაში, როდესაც ახლად შექმნილ რაიონში, ქალაქში, დაბასა და სასოფლო საბჭოში შემავალ დასახლებულ პუნქტებში სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს შექმნა შეუძლებელია დეპუტატების არარსებობის ან მათი მცირე რაოდენობის გამო.

2. ახლად შექმნილ რაიონში, ქალაქში, დაბასა და სასოფლო საბჭოში არჩევნებს ნიშნავს მშრომელთა დეპუტატების ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არაუგვიანეს ერთი თვისა მას შემდეგ, როდესაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი შექმნის რაიონულ, საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს.

3. საარჩევნო კამპანიის ვადა განისაზღვრება ერთი თვით ნაცვლად „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულებით“ გათვალისწინებული 45 დღისა.

ამის შესაბამისად:

ა) მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქების სიები ქვეყნდება არაუგვიანეს 27 დღისა არჩევნებამდე;

ბ) რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების არჩევნებისა და საოლქო საარჩევნო კომისიების დამტკიცება ხდება არაუგვიანეს 25 დღისა არჩევნებამდე;

გ) საარჩევნო უბნების შექმნა და საუბნო საარჩევნო კომისიების დამტკიცება ხდება არაუგვიანეს 20 დღისა არჩევნებამდე;

დ) ამომრჩეველთა სიებს საყოველთაო გასაცნობად მშრომელთა დეპუტატების სათანადო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი გამოაკრავს 15 დღით ადრე არჩევნებამდე;

ე) დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაცია ხდება საოლქო საარჩევნო კომისიებში არაუგვიანეს 10 დღისა არჩევნებამდე; ხოლო ცნობები დეპუტატობის კანდიდატზე და საზოგადოებრივი ორგანიზაციის დასახელება, რომელმაც წამოაყენა კანდიდატი, ქვეყნდება არაუგვიანეს 7 დღისა არჩევნებამდე.

4. ამომრჩევლებს საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში „ხმის მიცემის უფლების მოწმობა“ არ მიეცემათ, ამის გამო ხმის მიცემა შეიძლება დამთავრებულად გამოცხადდეს ღამის 10 საათზე, ადრეც, თუ კი ამომრჩეველთა სიაში შეტანილი ყველა ამომრჩეველი ამ დროისათვის გამოცხადდება არჩევნებზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — ზ. კვაჭაძე

თბილისი
1976 წლის „20“ აპრილი.

ს. ვისოცკი

ცოცხლეს ფორის გაუჩინარებულნი

(გაგრძელება)*

ყველა წამოდგა და კარისაკენ გაემართა, მაგრამ უეცრად ვლადიმერ სტეფანეს-ძემ კორნილოვი შეაჩერა და ჰკითხა:

— აი, თქვენ მოგვახსენებდით, რომ მანქანებს ღამით იპარავენ. ამ დროს ქუჩები კია დაცარიელებული, მაგრამ ტაქსები ხომ დაჰქრიან. ხომ არიან ტაქსის მძღოლები. ისინი კი დაკვირვებული ხალხია, ყველაფერს იმახსოვრებენ. სცადეთ თუ არა ვინმეს გასაუბრებოდით?

— არა, არ მიცდია, ამხანაგო გენერალო — უპასუხა კორნილოვმა.

— ჩააბით ისინიც ამ საქმეში.

მთელი მეორე დღე იგორ ვასილის-ძეს თავი ქაღალდებში ჰქონდა ჩარგული, კითხულობდა მანქანების გატაცების საქმეებს, სედიკოვთან ერთად სწავლობდა საავტომობილო გზების სქემას, ყველაფერს ჰქონდა მნიშვნელობა: იმასაც თუ რომელი გზა იყო ყველაზე მოსახერხებელი ლენინგრადიდან გასასვლელად იმ ქალაქამდე სადაც მანქანის გაყიდვა შეიძლებოდა და იმასაც თუ რომელ გზაზე ჰქონდა სახელმწიფო ავტოინსპექციას უფრო მეტი პოსტი. დამნაშავენი ალბათ გვერდს აუქცევდენ მათ...

— ეშმაკმა გაცდუნა იგორ ვასილის-ძევ — ბუზღუნებდა სედიკოვი — ტექნიკური ტალონის შემოწმება, რომ დაიუნე. თავსატეხი ბევრია და ამას გარდა შეიძლება დამნაშავენიც დავაფრთხოთ. თუ რაიმეს შეიტყობენ ამ შემოწმების შესახებ... თუ მართლაც ვინმე გვწაპნიდა ტექნიკურ ტალონებს.

კორნელოვს ეცინებოდა. მას კარგად ნაცნობი გრძნობა დაეუფლა, როცა აგზნებული მოუთმენლად ისწრაფოდა ემოქმედა, რაც შეიძლება სწრაფად ემოქმედა.

ამ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ხოლმე, როცა მომქანცველი მუშაობით გატანჯულ *ლი საათების, ხანდახან დღეების განმავლობაში* კი ეძებდა სწორ გადაწყვეტილებას და ბოლოს და ბოლოს სახავდა ზუსტი მოქმედების გეგმას.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, თქვენ ნუ გადარდებთ ის, რომ დამნაშავე შეშინდება,— შეშინებული მეტ სისულელეს ჩაიდენს. უფრო მალე გამოამჟღავნებს თავის თავს... აი მე მაგალითად, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ დამნაშავე ყოველთვის თვითონვე გასცემს ხოლმე თავის თავს...

— როცა შენ გისმენ, იგორ ვასილის ძევ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს მილიცია არც არის საჭირო. მაშასადამე, ჩვენ საქმეც კი არა გვქონია, რატომღაც მე ამას აქამდე ვერ ვამჩნევდი.

— გთხოვთ სწორად გამიგოთ. მე, ამხანაგო „ავტოინსპექციავ", — თქვა კორნილოვმა და გვერდზე გადადო ქაღალდების დასტიდან გამოღებული ოპერატიული განზოგადების ის მასალები, რომელიც საკომისიო მაღაზიის მუშაობას შეეხებოდა. თქვენ ხომ ვერაფერს იტყვით იმის საწინააღმდეგოს, რომ ბოროტმოქმედის საქციელში არის ბევრი რამ ისეთი, რაც განასხვავებს მას პატიოსანი ადამიანისაგან? ყოველდღიურ ცხოვრებაშიც კი იგი ყოველ წუთს, ყოველ წამს ყურებდაქცევტილია, ყველაფერს ეჭვის თვალით უცქერის. ხომ მართალს ვამბობ? თუ ამას გარდა შეშინებულიც არის? მაშინ ბევრი სისულელის ჩადენა შეუძლია! მთავარია ამ დროს რიგიანად ადევნო თვალყური...

— დია... ა... ხ, — ჩაიცინა სედიკოვმა, მთელი საქმეც ის არის, რას და ვის ადევნოთვალყური...

— მაგალითად, შეგინიშნავთ, — განაგრძო კორნილოვმა,— რომ თვით მოურჯულებელი ბოროტმოქმედებიც კი, როცა დათვრებიან, წამოაყრანტალებენ ხოლმე საიდუმლოს. რატომ? აბა სცადეთ და თვეობით, წლობით ატარეთ თქვენს გულში საიდუმლო! ვერავითარი ფსიქიკა ვერ გაუძლებს, და აი, დგება *ჩავარდნის მომენტი.*

— *სიტყვამ მოიტანა და მინდა გკითხოთ:* როგორ ფიქრობ, ვიქტორ ივანეს ძევ, კარგი იქნებოდა, რომ ფსკოვისა და ნოვგოროდის სახავტოინსპექციისათვის გვეთხოვა, ერ-

* დასაწყისი იხ. ჟურნ. „საბჭოთა სამართლის" 1975 წლის მეხუთე ნომერში, გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი თვის განმავლობაში თვალყური ედევნებინათ ლენინგრადის ნომრიანი ყველა ვოლგისათვის, გასაუბრებოდნენ ყველა მძღოლს, შეემოწმებინათ აქვთ თუ არა მანქანის ტარების უფლება ტექნიკური პასპორტები, ჩაეწერათ მძღოლების გვარები. დაე სამ დღეში ერთხელ მოგვაწოდონ ეს მონაცემები და ნომრები ყველა ლენინგრადული მანქანისა, რომელიც კი მათ პოსტებს გაივლის. აქ კი ჩვენ შევამოწმებთ. და წარმოიდგინე ასეთი სურათი: შევამოწმეთ ორასი ნომერი, ყველაფერი რიგზეა. მაგრამ აი დავიწყეთ ორასმეერთე ნომრის შემოწმება და, მცირე შეფერხებაა—ამ ნომრიანი მანქანა ლენინგრადში არ არის აღრიცხული. ან საერთოდ არ არსებობს ასეთი ნომერი, იგი უალბია, ან კიდევ, სამი თვის წინათ მოუპარავთ სხვა მანქანიდან. და ჩვენ სასწრაფოდ მოვძებნით ამ ნომრიან მანქანას. ნომრის მეორედ გამოცვლას ვერ მოიფიქრებენ.

სედიკოვი რამდენიმე წუთს უხმოდ იჯდა და უმოწყალოდ აბოლებდა პაპიროსს. შემდეგ თქვა:

— ეს შენ კარგად მოიფიქრე. თუ მოკლე ხანში კიდევ გაიტაცებენ მანქანას, შეიძლება მივაკვლიოთ კიდეც. მაგრამ სად არის გარანტია, რომ ქალაქიდან მანქანები ლენინგრადის ნომრებით გადიან?

— რა თქმა უნდა, გარანტიაზე ლაპარაკით ამოდ დავშვრებით... — მოიღუშა კორნილოვი, — მაგრამ მე ვფიქრობ ნომრები ლენინგრადისა აქვთ. ვიდრე ქალაქიდან გავიდოდნენ, ლენინგრადის ნომრები მაინც ნაკლებ ყურადღებას მიიქცევს.

— ტელეფონი აწკარუნდა. იგორ ვასილის ძემ ყურმილი აიღო.

— კორნილოვი გისმენთ. რაო? იპოვნეთ?

მან ქაღალდის ფურცელზე რაღაც ჩაინიშნა და ყურმილი დადო.

— იპოვეს ორი „ვოლგა“, რომლებიც ჩემს სქემაში ვერ თავსდებოდენ... —როცა სედიკოვის გაოცებული მზერა შენიშნა, თქვა: — აი ისინი, რომლებიც უდროო დროს გაიტაცეს ერთი დღისით, მეორე ღამის თორმეტ საათზე. ერთი მანქანით უბრალოდ „გაისეირნეს“ და მიატოვეს ტყეში გატჩინოს იქით. მეორე მანქანა დაშალეს, თვლები მოხსნეს. ჩვეულებრივი ხულიგნობაა... აბა, რა ვქნათ, ვთხოვოთ მეზობლებს?

— ვთხოვოთ, — დაუქნია თავი სედიკოვმა. — ჩაწერე ოპერატიულ გეგმაში. მაგრამ ამ საქმის თაობაზე აუცილებელია მოვახსენოთ სამინისტროს.

— თუ გენერალი დაამტკიცებს, თავად მოახსენებს, — თქვა კორნილოვმა, — რაც მოსახდენია, მოხდეს! და აი კიდევ რა უნდა ვქნათ: შევამოწმოთ ყველა კერძო გარაჟი, ფასიანი სადგომები, წვრილი ავტომეურნეობები... გესმის? ხომ არ დგას ამ ადგილებში ხელსაყრელ დრომდე ზოგიერთი გატაცებული მანქანა.

ჯერ კიდევ გასულ კვირას, როგორც კი დავალება მიიღო, კორნილოვმა გადაწყვიტა დაზარალებულებით დაეწყო.

გამომძიებელმა კრასიკოვმა მისცა წასაკითხავად იმათი განცხადებები, ვისაც მანქანები მოჰპარეს.

დაზარალებული ვ. პ. მედკოვი წერდა: „...მაქვს თეთრი ღამის“ ფერი მანქანა „ვოლგა“ „ლეო“ 21-76, გამოშვების წელი და თვე 1968 მაისი, შასის — № 501918, ძარისა — 200633, ძრავისა —917906. მანქანა ვიყიდე 5600 მანეთად... ჩვეულებრივ, მანქანას ვტოვებდი ხოლმე ჩემს სახლთან სადარბაზოს პირდაპირ. 18 იანვარს სამსახურში წავედი ქალაქის ტრანსპორტით, და იმავე დღეს ვაპირებდი ზამთრისათვის მანქანა გარაჟში დამეყენებინა. გავრეცხე, მოვიყვანე წესრიგში, მოვხსენი აკუმულატორი. 19 იანვარს შინ დავბრუნდი ღამის სამ საათზე. ჭუჩაზე რომ გამოვიარე, მანქანა თავის ადგილას იდგა. დილით შვიდ საათზე, სამსახურში რომ მივდიოდი, ჩემი მანქანა სადარბაზოსთან აღარ იდგა...“

სხვა განცხადებებიც ამავე უაიდაზე იყო დაწერილი. მხოლოდ ნომრები იყო განსხვავებული და მანქანებს სხვა ფერი ჰქონდათ. გატაცება დაახლოებით ერთსა და იმავე დროს ხდებოდა... მაგრამ გატაცება, არავის არ ენახა. კორნილოვმა შეკითხვა დაუგზავნა რაიონულ განყოფილებებს, რომლითაც ითხოვდა ეცნობებინათ, ხომ არ იყო შემოხვევა, როცა ვინმე ჩიოდა „ვოლგის“ გატაცება სცადესო. იქნებ იყო გატაცების მცდელობა და მანქანის რომელიმე მფლობელმა დაინახა, როგორ აპირებდნენ მისი მანქანის მოპარვას?

რაიონული განყოფილებებიდან მიღებული ცნობები სანუგეშო არ იყო. და საერთოდ, საიდან უნდა მიეღოთ ასეთი სტატისტიკა? დაზარალებულებს უარს ეუბნებოდნენ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე მაშინაც კი, როდესაც მანქანის კარი შემტვრეული იყო. მერე ყველას არც შემოჰქონდა განცხადება. მანქანა ხომ ადგილზე რჩებოდა. „საძაგლობაა, —გაიფიქრა კორნილოვმა. — ხელოვანოვს უნდა მოვახსენო ამის თაობაზე. ჩვენ ხომ ბევრ მოწმეს ვკარგავთ...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მეორე დღეს იგორ ვასილის ძეს ბედმა გაუღიმა. მოსკოვის რაიონული განყოფილებიდან გამოუგზავნეს მოქალაქე ტამარინას განცხადება:

„1972 წლის 30 მარტს ღამის სამ საათზე გამომეღვიძა და გადავიხედე ფანჯრიდან. მინდოდა შემემოწმებინა ავტომანქანა ადგილზე იყო თუ არა. დავინახე, რომ მარცხენა კართან კაცი იდგა. თავზე დიდი ქუდი ეხურა და რკინის საგნით უჩხიკინებდა საქარე მინას. ეზოში რომ ჩავირბინე, მანქანასთან აღარავინ იყო. ქურდი იმით შევაშინე რომ ვერ მოვიომინე და ჯერ კიდევ სახლიდან დავუყვირე, მილიციას გამოვუძახებ-მეთქი. როცა ჩვენი სახლის კუთხეს მივაღწიე, შემოსასვლელ გზაზე მაღაზიიდან ოცი მეტრის დაშორებით მსუბუქი მანქანა „ვოლგა“ დავინახე. მანქანის ფერი და ნომერი ვერ შევნიშნე, რადგან ძალზე აღელვებული ვიყავი“.



„რა გაეწყობა, ბევრი არაფერია, მაგრამ რაღაც მაინც არის. — გაიფიქრა კორნილოვმა. — კარგი იქნებოდა დაზუსტება — იქნებ სხვა რამ საინტერესოც შენიშნა — რამდენი კაცი იჯდა მანქანაში, ხომ არ არის საქარე მინასთან ჩაჭყლეტილი ადგილები?“

მან დარეკა მოსკოვის რაიონულ განყოფილებაში და წინადადება მისცა კიდევ ერთხელ დაეკითხათ ტამარკინა. თავად კი გაესაუბრა დაზარალებულებს, რომლებიც სამმართველოში მოეწვია. ეს სხვადასხვა ჯურის ხალხი იყო — სიტყვა ძვირებიც და ენაწყლიანებიც დაღვრემილებიც და გაბრაზებულებიც... მაგრამ ყველას ერთიანებდა ის, რომ ისინი სრულიად უმნიშვნელო ცნობებს იძლეოდნენ და გაბრაზებული იყვნენ მილიციაზე, რომელმაც აქამდე ვერ მოძებნა მოპარული ავტომანქანები. ყველა ერთხმად ამტკიცებდა, რომ მანქანაზე დაყენებული ჰქონდა საიდუმლო საკეტი ან სამართავ საჭეზე ეკეთა ეშმაკური საკეტი, ერთ მათგანს — რაღაცნაირი ელექტრო რელე. მაგრამ კორნილოვი მაინც ვერ მიხვდა ამ რელეს მოწყობილობას, თუმცა მანქანის მფლობელი — ხელსაწყოების ქარხნის ინჟინერი გუსაროვი — დაწვრილებით უხსნიდა. როცა ინჟინერს მოუსმინა, მხოლოდ ჰკითხა:

— აბა მითხარით, როგორ შეძლეს ქურდებმა ამ ეშმაკური მოწყობილობის საიდუმლოს გაგება და მანქანის დაქოქვა?

ინჟინერმა მხრები აიჩეჩა.

— მილიცია თქვენა ხართ, თქვენ უკეთ უნდა იცოდეთ თანამედროვე თაღლითების ტექნიკური მომზადების დონე.

იგორ ვასილის ძემ ყურადღება მიაქცია მედკოვის ჩვენებას, რომ მანქანას აკუმულატორი მოხსნილი ჰქონდა. ეს მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავდა: ბოროტმოქმედები თავადაც მანქანით. იყვნენ. აკუმალუტორს თან ხომ არ ათრევდნენ, მეორეც — ეს უფრო ის ხალხი იყო, რომელმაც კარგად იცოდნენ ავტომობილი, პროფესიონალები.

საღამოს მოვიდა თანამშრომელი, რომელიც ტამარკინას ესაუბრა. „ვოლგა“, რომლითაც ქურდები წავიდნენ, ტაქსი იყო და შიგ სამი კაცი იჯდა...

რვა საათისათვის, როცა უკვე ათობით დაზარალებულს გაესაუბრა, იგორ ვასილის ძეს იმედი გადაეწურა, საბოლოოდ გამოიყვანა იგი წონასწორობიდან კულტურის სახლის ადმინისტრატორმა ვალერი თომას ძე მოროზოვმა.

მილიციის უგერგილობას რომ უჩიოდა, ვალერი თომას ძემ მოულოდნელად ამოიღო ჯიბიდან რაღაც ქაღალდი და გაუწოდა კორნილოვს. ეს განცხადება იყო, რომელშიც თხოულობდა ავტომობილის გამტაცებლებისათვის, როცა მათ დაიჭერდნენ, ამორტიზაციის ფული გადაეხდევინებინათ.

— კი მაგრამ, ამორტიზაციის ხარისხი ხომ ექსპერტებმა უნდა დაადგინონ, როცა მანქანა მოიძებნება — უთხრა კორნილოვმა. — და თქვენი სარჩელი უნდა გადასცეთ გამომძიებელს, რომელიც ამ საქმეს იძიებს. ხომ იყავით გამომძიებელ კრასიკოვთან?

— მაგრამ, თქვენც ხომ მილიციიდან ხართ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბრაზებით მიახალა ვალერი თომას ძემ. — რაო, გიჭირთ ჩემი სარჩელის მიღება? ჯერ-ჯერობით თქვენთან იყოს. როცა მანქანა მოიძებნება, თანხა დაზუსტდება, მთავარია — მომენტი ხელიდან არ გავუშვა.

— არ მივიღებ ამ თქვენს ქაღალდს. საამისოდ უფლებამოსილი არა ვარ, — უთხრა კორნილოვმა.

— მილიციაში გამომიძახოთ, საქმეს მომწყვიტოთ, საამისოდ ხომ ხართ უფლებამოსილი, — განაწყენდა ადმინისტრატორი.

„რა კაცია, — გაიფიქრა კორნილოვმა. — ხელსაყრელ მომენტს ხელიდან არ გაუშვებს". მერე ღიმილი შეიკავა და ჰკითხა: „ხომ არ ფიქრობთ, ვალერი თომას ძევ, გამტაცებლებს გადაახდევინოთ ის თანხაც, რაც თქვენ გეხარჯებათ ტაქსებსა და მეტროში, ვიდრე მანქანას სხვა „დაარბენინებს".

— თქვენ ეს რეალურ საქმედ მიგიჩნიათ?— ვალერი თომას ძეს თვალები გაუბრწყინდა დაიძაბა და სახეზე დიდი დაინტერესება გამოეხატა. მან ხელი გასწია სარჩელისაკენ, მაგრამ კორნილოვმა იგი უკვე ჩადო საქაღალდეში.

— არა, ვალერი თომას ძევ, — უთხრა მან, — მე არ მიმაჩნია ეს რეალურ საქმედ. უბრალოდ, ვხუმრობ. თქვენ სარჩელს კი გამომძიებელს გადავცემ.

— მაგრამ, მე მგონია, ეს არ არის ცუდი აზრი, — კორნილოვს მოეჩვენა, რომ ვალერი თომას ძე მას აბუჩად იგდებდა, — მე ხომ დიდი ზარალი მომდის.

მან დააპირა ამ თეორიის განვითარება, მაგრამ კორნილოვმა ხელი მოუწერა საშვზე, ხელში ჩასჩარა და უცერემონიოთ უთხრა:

— მე იმის დროს არა მაქვს, რომ თქვენ ფინანსები გამოგინახოთ, ვალერი თოშას ძევ. თუ სასამართლო თქვენს სარჩელს დააკმაყოფილებს, ესეც მეტისმეტად დიდი საჩუქარი იქნება.

ვალერი თომას ძემ გამოთაყვანებული თვალები შეავლო კორნილოვს და გამოუმშვიდობებლად გავარდა კაბინეტიდან.

„ეშმაკმა დალახვროს! ასეთი თავშეუკავებლობა არ მეპატიება... რაზე გადავირიე? ინანა კორნილოვმა — ცოტა უნდა გავერთო. შაბათს დედასთან წავალ სოფელში..."

ამის გაფიქრებამ კარგ გუნებაზე დააყენა, და ისევ დაიწყო მანქანების გატაცების საქმის გადათვალიერება. ისევ და ისევ ფურცლავდა გვერდებს: „ჩემი მანქანა „ვოლგა" „ზღვის ტალღის" ფერი... (ეშმაკმა უწყის რა არის, ხან „თეთრი ღამე", ხან „ზღვის ტალღა", გაიფიქრა კორნილოვმა). „ლეი" 18-12, გამოშვება 1969 წლის დეკემბერი, შასის № 731931, ძარის №..." და ისევ. შასის ნომერი, ძარის ნომერი, ძრავის ნომერი... და რამე დამატებითი ცნობები მაინც იყოს, თვალთმახვეველის რაიმე დამოწმება. ნომრები, ნომრები... ხოლო ქარხნის ნომრები, რა თქმა უნდა, დიდი ხანია გადაკეთებულია, მანქანები გადაღებული სცადეთ მათი მიგნება. საკომისიო მაღაზიებში მანქანები მოდიან უკვე ახალი, გადაკეთებული ნომრებით. ყველას ხომ არ გაგზავნი ექსპერტიზაზე! რა იქნება, რომ... — იგორ ვასილის ძე სკამის ზურგს მიეყრდნო, პაპიროსს მოუკიდა და თან ნერვულად ამტვრევდა ასანთის ღერებს— რა იქნება, რომ ავიღოთ ერთი საკომისიო მაღაზია... ერთი კი არა— რამდენიმე, და ამოვეწეროთ ყველა გაყიდული ავტომანქანის საქარხნო ნომერი?! ყველა „ვოლგისა", რომლებიც გაიყიდა, ვთქვათ, ნახევარ წელიწადში? ძარის ნომერი, შასის ნომერი ძრავის ნომერი... შემდეგ მივიდეთ ამ სიით ქარხანაში და შევამოწმოთ, კონვეერიდან ჩამოუშვიათ თუ არა ზუსტად ასე შეწყობილ ნომრებიანი მანქანები.

ძარის ნომერი, შასის ნომერი, ძრავის ნომერი — ლაქით გაპრიალებული ახალთახალი „ვოლგა".. შეამოწმეს ერთი მანქანა,— ყველა სამი ნომერი დაემთხვა, მეორე მანქანისაც დაემთხვა. ასეთი ნომრებიან „ვოლგები" გამოსულან ქარხნის ჭიშკრიდან, მაგრამ მივიდნენ ერთ ნომრამდე... და რა აღმოჩნდა? მანქანა, რომლის ნომრებიც ასე იყო შეწყობილი, ქარხანას არ გამოუშვია.

კორნილოვი სულ უფრო და უფრო მეტად ღელავდა. ნუთუ კანონზომიერებას, მეთოდს მიაგნო? „ნუ ღელავ, ნუ ღელავ... ამშვიდებდა თავის თავს. — კიდევ ერთხელ მოვზომოთ. ვთქვათ ბოროტმოქმედები — ჭკვიანი თავიანი ბიჭები არიან. როცა ქარხნის ნომერსაც ცვლიან. მაგალითად. შასის ნომერს — ზედმეტ ციფრს არ ჩასვამენ, ყველაფერს წესიერად, ზუსტად გააკეთებენ. გარეგნულად ნამდვილი ქარხნის ნომერია — თუ კვალიფიცირებული ექსპერტი არ არის, სიყალბეს ვერც შეამჩნევს. მაგრამ შეცვალეს ციფრი, მხოლოდ ერთი ციფრი — უკვე დაბეჭითებით შეიძლება ითქვას, რომ მანქანა ასე შეწყობილი შასის, მოტორისა და ძარის ნომრებით ქარხნის ჭიშკრიდან არ გამოსულა!

ძრავი, ძარა და შასი ერთხელ შეეწყვნენ ერთმანეთს ამწყობ კონვეიერზე, რათა ახალი ავტომობილისათვის მიეცათ სიცოცხლე და ამის შემდეგ განუყრელი გახდნენ— განუმეორებლად შეწყობილი ნომრები ერთი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანობის ფორმულად იქცა, მანქანის ფორმულად მის კოდად. როგორც კი ნებისმიერი სამი ნომრიდან ერთი შეიცვლება, განგაში უნდა ატეხო, მანქანას რაღაც დაემართა....“

იგორ ვასილის ძე ბოლთას სცემდა კაბინეტში. ტელეფონი წკარუნებდა, ის კი ყურადღებას არ აქცევდა, პაპიროსს პაპიროსზე ეწეოდა, თითქოს მის გარეშე ფიქრი აღარ შეეძლო. იგი ყოველთვის ასე ეწეოდა, როდესაც ძალიან ნერვიულობდა. ნომრები არ დაემთხვა?

— რა შეიძლებოდა მომხდარიყო, თუ კი ფეხზე მდგომმა დაწერა ქაღალდის ფურცელზე: „პირველი: გამოცვალეს ძარა, შასი ან ძრავა ავარიის შემდეგ“. — ეს ადვილი დასადგენია.

„მეორე: „ვოლგა“ აწყობილია. სათადარიგო ნაწილებისაგან ან სარემონტოდ დაშლილი მანქანებისაგან“. — უკვე კრიმინალია.

„მესამე: ნომრები შეცვლილია“. — აი აქ კი გავაკეთებთ ბლოკნოტში მცირე შენიშვნას და ვნახავთ, ვინ იყიდა ეს მანქანა და მივალთ მასთან და ექსპერტიზით გამოვარკვევთ, რომ ეს „ზღვის ტალღის“ ფერის „ვოლგა“, რომელსაც უკვე ნახევარი წელია ეძებს სისხლის სამართლის საძებრო, ეკუთვნოდა ამხანად ინჟინერს, რომელმაც ზედ ელექტრო სიგნალი დააყენა. და ამხანაგი, მანქანის ახალი პატრონი, გვიყვება, აჩქარებით და ნერვულად (აბა როგორ? ფულმა თქვენი ჭირი წაიღო?), თუ ვისგან იყიდა ეს მანქანა.

კორნილოვი ისევ და ისევ ამოწმებდა თავის თავს — ერთი შეხედვით ყველაფერი ერთმანეთს ემთხვეოდა. მან შეადარა მოპარული მანქანების ნომრები — ისინი სხვადასხვა იყო ძრავაზე, ძარაზე და შასზე... „შესაძლოა ეს ნომრები თითეული კვანძისათვის რიგითი ნომერი იყო, მაგრამ აწყობის დროს 000071 ნომრის მქონე ძრავას ხომ არ მოარგებენ იმავე ნომრის შასისა და ძარას?!

იგორ ვასილის ძემ დაურეკა უფროს ინსპექტორ ბელინჩიკოვს, სთხოვა ჩემთან შემოიარეო. იური ევგენის ძე შუბლშეკრული შემოვიდა, სახე ჩამოსტიროდა. „განიცდის,— გაიფიქრა კორნილოვმა. — თუმცა სასიხარულო არაფერია. გადაუშალა ბელიანჩიკოვს თავისი ვარაუდები. ბელიანჩიკოვი დიდხანს დუმდა, იღუშებოდა. შემდეგ თქვა:

— კი, მაგრამ, მოპარულ მანქანებს რომ შლიდნენ და ნაწილ-ნაწილ ყიდდნენ? ასეც ხომ მომხდარა?

— მომხდარა. საერთოდ ცხოვრებაში რა არ მომხდარა — ფილოსოფიურად შენიშნა კორნილოვმა. იგი უკვე დამშვიდდა. სქემა მართებულად ეჩვენებოდა და გრძნობდა, მთელი თავისი არსებით გრძნობდა, რომ სწორ გზას დაადგა.

— არ მომხდარა, რომ თოთხმეტი მანქანა აეწაპნოთ, ჩვენ კი ვერ გვეპოვოს? — მწარედ შენიშნა ბელინჩიკოვმა.

იგორ ვასილის ძემ მხოლოდ ამოიოხრა.

— საჭიროა ავტომაღაზიის მახლობლად კონტროლი გავაძლიეროთ, იმათზე, ვინც სათადარიგო ნაწილებს ჩუმჩუმად ჰყიდის.

— შენ ხომ ყველაფერი იცი, ბელიანჩიკოვ. მითხარი ერთი, რატომ არის ყველა საქარხნო ნომერი ძრავზე შასზე და ძარაზე სხვადასხვა?

— არ ვიცი.

აი, ხედავ? — მაშასადამე, ყველაფერი არ იცი ე. ი. შემთხვევითი არ არის, რომ ჯერჯერობით მორიგ წოდებას არ განიჭებენ.

— ჯერ ვადა არ დამდგარა, თქვა ბელინჩიკოვმა და მოულოდნელად გაიღიმა.

— რომ გცოდნოდა, რიგგარეშე მოგანიჭებდნენ.

— იგორ ვასილის ძევ, რას გადამეკიდე? რა შუაშია ეს ნომრები.

— კარგი, ბელიანჩიკოვ, რადგანაც შენ უფროსებთან არ შეგიძლია თავის დაჭერა და უბრალო კითხვებზე პასუხის გაცემა, წადი, პირადად განაგრძე ძებნა, ეძებე სათადარიგო ნაწილები მე კი დავრეკავ ქარხანაში, ვიკითხავ რატომ არის ყველა საქარხნო ნომერი სხვადასხვა ძრავზე, შასზე და ძარაზე.

ბელიანჩიკოვმა გაოცებით აიჩეჩა მხრები და გავიდა.

* * *

როცა გენერალი მივლინებიდან დაბრუნდა და თავისთან მიიწვია სისხლის სამართლის სამძებროს სამმართველოს უფროსი სელივანოვი და კორნილოვი, იგორ ვასილის ძე უკვე დარწმუნებული იყო, რომ მის სქემას წარმატების მოტანა შეეძლო.

— ამხანაგო გენერალო, მე ვფიქრობ, ჩვენ ძებნის ახალი ტაქტიკა უნდა გამოვიყენოთ, — თქვა მან და წინ დაიდო ქაღალდის ფურცელი რომელზეც მთელი მისი გამოანგარიშება და მოსაზრებები იყო.

—ოჰო! — გენერალმა ინტერესით შეხედა იგორ ვასილის ძეს — გაგვანდეთ ერთი ყველაფერი, თუ არ ხუმრობთ!

კორნილოვმა აიღო ქაღალდის ფურცელი და ისე გააქნია, თითქოს პაპიროსის ბოლის გაფანტვა სურდა.

მანქანებს ხომ კოლექციისათვის არ იპარა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენ? გასაყიდად უნდათ. მანქანების გაყიდვა კი მხოლოდ საკომისიო მაღაზიების მეშვეობით შეიძლება მოდით, შევამოწმოთ ზოგიერთი მათგანი. მაგალითად. სოჭაში, სოხუმში. შუა აზიაში.

— კი მაგრამ, მანქანებს ხომ ყალბი დოკუმენტებით ჰყიდიან, — თქვა უნდობლად გენერალმა. — თქვენ ხომ თვითონ ეჭვობდით, რომ სადღაც ხდება ტექტალონებისა და პასპორტების უკანონოდ გაცემა.

— სწორია! — აუჩქარებლად, მაგრამ ოდნავ გაცხარებით განაგრძო კორნილოვმა, — მოპარულ მანქანებს, დარწმუნებული ვარ, ნომრები შეცვლილი აქვს, და შეესაბამება იმ ნომრებს, რომლებიც ჩაწერილია ტექტალონში...

—მან თვალი მოავლო იქ მყოფთ, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო მისმენენ თუ არაო და როცა დარწმუნდა მისმინენო, დაიწყო თავისი სქემის დაწვრილებით განმარტება. როცა დაამთავრა რამდენიმე წამს ყველა დუმდა, თითქოს უნდოდათ აეწონ-დაეწონათ რამდენად გამოსადეგი იყო სქემა, მეტისმეტად რთული ხომ არ იყო.

სიჩუმე პირველად გენერალმა დაარღვია. ის როგორღაც უცებ გამხიარულდა და კორნილოვს ჰკითხა:

— როგორ მოხდა, იგორ ვასილის ძევ, რომ თქვენს სქემას კოლექტივს უმალავდით? ამას თქვენგან არ მოველოდი.

— ადრე მე თვითონ არ მიიფქრია ამ სქემაზე ვლადიმერ სტეფანეს ძევ, — ცოტა არ იყოს შეცბუნებულმა უპასუხა კორნილოვმა. — რატომღაც აზრად არ მომსვლია...

—რას იტყვით, ამხანაგებო, — გენერალმა შეხედა შეკრებილთ, — მე მგონია სქემა საინტერესოა. თუ ენერგიულად შევუდგებით საქმეს, რაიმე კვალს უნგა წავაწყდეთ... საკომისიო მაღაზიის მეშვეობით მივაგნებთ იმასაც,

ვინც იყიდა, და იმასაც, ვინც გაყიდა... — იგი დადუმდა, თითქოს კიდევ ერთხელ აწონ-დაწონა ივარგებდა თუ არა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ შევასუსტოთ სხვა დანარჩენი ოპერატიულ-სამძებრო მუშაობა. ეს დამატებითი ვარიანტი უნდა იყოს... როგორი იქნება თქვენი აზრი?

— საინტერესო წინადადებაა, — თქვა სელივანოვმა, — ასეთმა შემოწმებამ, რა თქმა უნდა, შეიძლება დაგვაყენოს დამნაშავეთა კვალზე, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მანქანების გაყიდვას საკომისიო მაღაზიაში აფორმებდნენ. და თუ მათ საერთოდ ყიდდნენ... ან არ ყიდდნენ? — იგი ცოტა ხანს შეჩერდა და დაეჭვებით გაიქნია თავი, თითქოს აზრს იკრეფსო. — მაგრამ წინადადება საინტერესოა. უკვე ვესაუბრე ამაზე იგორ ვასილის ძეს. ეს წინადადება აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. რაღაცას ვიპოვნით. აუცილებელი არ არის ის მანქანები იყოს, ლენინგრადში რომ მოიპარეს, მაგრამ რაღაცას კი ვიპოვით...

კორნილოვის დედა ლენინგრადის მახლობლად სოფელ ბოკოვოში ცხოვრობდა, სადაც იგორ ვასილის ძის ძმა — ინოკენტი უკვე ექვი წელი იყო რაც მეფრინველეობის ფაბრიკის მთავარ მექანიკოსად მუშაობდა.

კეშასთან ჩასასვლელად საჭირო იყო ვარშავის სადგურიდან სივერსკამდე ელექტრომატარებლით ევლო, იქიდან კი ოცი წუთი ავტობუსით უნდა ემგზავრა. ელექტრომატარებელში ცოტა ხალხი იყო და კორნილოვს თავდაპირველად გაუკვირდა კიდეც. ჩვეულებრივ შაბათ დილით ელექტრომატარებელში ადგილს ვერ იშოვიდი, მაგრამ ახლა უკვე შუადღის თორმეტი საათი იყო.

კორნილოვს იმის გამო შეაგვიანდა, რომ ტორტის რიგში იდგა. მას დედისთვის ქალაქიდან ყოველთვის მიჰქონდა ტორტი .

პირველ ხანებში, როცა კეშა სამუშაოდ გადავიდა მეფრინველეობის ფაბრიკაში და სახლი აიშენა ორედეყის წითელ ციცაბო ნაპირზე, მარად შრიალა ნაძვებში, კორნილოვი თითქმის ყოველ კვირას მიემგზავრებოდა ძმასთან. მას უყვარდა მდინარის ნაპირზე ჯდომა და ანკესით თევზაობა, ტყეში ხეტიალი, კეშას მოტოციკლით დაჰქროდა სოფლის დამტვერილ შარაგზებზე, ხოლო საღამოთი ყველა თავს იყრიდა სამოვართან ფერადი მინებით შემინულ ტერასაზე.

ინოკენტის ბოკოვოში წასვლა ყველასათვის მოულოდნელი იყო. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი „წითელ ვიბორგელში", მუშაობდა, ჯერ ოსტატად, შემდეგ — საამქროს უფროსად. სამუშაოთი კმაყოფილი იყო მაგრამ ერთხელ, როცა შინ გვიან დაბრუნდა, თქვა: რაიკომში გამომიძახეს. მეფრინველეობის ფაბრიკაში მთავარ მექანიკოსად წასვლა შემომთავაზეს. მე დავეთანხმე.— თან დაუმატა: — მართალია, მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობა ახლახან დაიწყო, მაგრამ, ეს უკეთესიც არის — თვითონ დავამონტაჟებ მოწყობილობას.

ინოკენტი ერთხანს გაჩუმდა. შემდეგ იგორს ეშმაკურად შეხედა და უთხრა:

წავიდეთ ერთად, იგორ? იქ მოისვენებ სისხლის სამართლის დამნაშავეებისაგან. კადრების უფროსი იქნები. ან იქნებ ძველი დრო გაიხსენო და ისევ ზეინკლობას მოჰკიდო ხელი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

კორნილოვს მაშინ გაეცინა, არ დაიჯერა, რომ კეშას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი წასვლა. ფიქრობდა მასულელებსო. მაგრამ ყველაფერი სწორედ ისე მოხდა, როგორც ძმამ თქვა, — კეშა ცოლთან ერთად გაემგზავრა, ესეც არ იკმარა და დედაც თან წაიყვანა.

ბოლო ორი-სამი წელი კორნილოვი იშვიათად ჩადიოდა ბოკოვოში. ჯერ თვითონაც ვერ გაერკვია თუ რატომ. ყველაფერი ისე ეწყობოდა, რომ უქმე დღეებში დაკავებული იყო. მაგრამ მთავარ მიზეზზე კორნილოვი ცდილობდა არ ეფიქრა. თავდაპირველად იგორ ვასილის ძე ამ ცვლილებს ვერ ხვდებოდა, უძნელდებოდა მისი შემჩნევა. იგი გაოცებული უსმენდა, რა გაფაციცებით ლაპარაკობდა კეშა თავის გეგმებზე გაეფართოებინა ბოსტანი, ბაღი, ეყიდა ძროხა. იგორ ვასილის ძე ეკითხებოდა, რად გინდაო? ხოლო კეშა ბრაზობდა:

— როგორ თუ რად მინდა? სოფელში ცხოვრობდე და კარტოფილსა და ბოსტნეულს ბაზარში ყიდულობდე? ყველა დაგცინებს.

მაგრამ იგორ ვასილის ძემ იცოდა, რომ ბოკოვოში ბევრმა უარი თქვა ბოსტანზე და არც უნანიათ. კარტოფილი და ბოსტნეული კოლმეურნეობაში შემოდგომობით კაპიკები ღირდა. ხოლო ბოსტანს რამდენი წვალება უნდოდა და არც ეს წვალება იყო საქმე. სხვა რამ არ მოსწონდა იგორ ვასილის ძეს — ბაღი და ბოსტანი ფართოვდებოდა კეშას ცოლმა ტატიანამ მოუხშირა ბაზარში სიარულს რამდენიმე ტომარა საადრეო კარტოფილის ან ხენდროს გასაყიდად. კეშას კი დიდი ხელფასი ჰქონდა.

იგორ ვასილის ძეს ისიც აწუხებდა, რომ ახლა დედაც ბევრს მუშაობდა ბოსტანში. ჩითილს რგავდა, რწყავდა, მარგლავდა... თანაც თავისი ავადმყოფი გულით!

კეშა კი საღამოობით მხიარული უჯდა გაპრიალებულ სამოვარს და გატაცებული ლაპარაკობდა თავის გეგმებზე.

— გაისად ბოსტანს გავაფართოვებთ. დედასაც ხომ ერგება თავისი წილი... კარტოფილი საკუთარი, კიტრი, ყოველგვარი ბოსტნეული, ბალახ-ბულახი. მოვიმარაგებთ მთელი წლის ნავროტს. და თუ შემოდგომაზე ძროხას ვიყიდით, რძე და კარაქიც საკუთარი გვექნება, უზრუნველად ვიცხოვრებთ.

იგორ ვასილის ძე გამკიცხავად შეხედავდა ძმას და ეტყოდა ხოლმე:

— აი მაშინ გაგიჩნდება საზრუნავი... თივა იშოვე. მოწველე, აძოვე. მერედა, თუ უცაბედად ძროხა ავად გახდა? რა უნდა უყოთ? შენ, კეშა, შენ წანათ ძროხებისა გეშინოდა, აგარაკზე რომ ვიყავით, გაურბოდი. მერე ვინ მოწველის?

— როგორ თუ ვინ? — გაიოცებდა ძმა. — ტატიანა ისწავლის. დედაც... არა? რას იტყვი დედა?

დედა დარცხვენილი იღიმებოდა, მხრებს იჩეჩდა, დუმდა. თითქოს ჭარბმა ენერგიამ აიძულაო კეშა წამოხტებოდა, ხელებს იქნევდა, მაგიდის ირგვლივ ბოლთას სცემდა. — აქ ცხოვრება შეიძლება. კარგი პირობებია. ხელფასიც არ არის მცირე. კვერცხსა და ქათმებს ფაბრიკის თანამშრომლებს თავის ფასად აძლევენ. ამას თუ დაუმატებ ძროხას, კარგ ბოსტანს... — კეშა წინ წამოსწევდა თავის სქელ ქვედა ტუჩს და გულწრფელი გაოცებით თავს გადააქნევდა. — შენ, იგორ არ გესმის. არ გესმის სოფლური ცხოვრების გემო. — მთელი მისი ჯანიანი მოსდენილი სხეული სავსე იყო ენერგიით, თვალებიდან ნაპერწკლები სცვიოდა. არა, არ მოსწონდა იგორ ვასილის ძეს ძმის ეს ფაცი-ფუცი.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაცია

საქართველოს სსრ ადვოკატთა V კონფერენცია

23 აპრილს გაიმართა საქართველოს სსრ ადვოკატთა V კონფერენცია, რომელსაც 139 დელეგატი დესწრო.

კონფერენციამ მოისმინა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის ანგარიში, რომლითაც გამოვიდა რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის **პრეზიდიუმის** თავმჯდომარის მოადგილე **გ. როინიშვილი.** შემდეგ მოისმინეს **სარევიზიო** კომისიის ანგარიში (მომხსენებელი **ვ. გაგუა**), აგრეთვე **საფინანსო ანგარიში** და 1976 წლის ხარჯთაღრიცხვა (მომხსენებელი **გ. მირზელაშვილი).**

მოხსენებათა ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობდნენ: აფხაზეთის ასსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. შამბა,** აჭარის ასსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ი. ფაღავა,** ქ. ცხინვალის იურიდიული კონსულტაციის გამგე **ა. ბეკოევი,** ადვოკატი **ა. ლომინაძე,** ქ. თბილისის ლენინის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგე **ლ. ბელიავსკაია,** ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგე **რ. თალაქვაძე,** ადვოკატები **მ. ლატუტოვა, ე. ხელაძე, შ. რჩეულიშვილი,** საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსი **ვ. ბუნტური,** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. იოსავა,** ადვოკატი **ჯ. ბაქრაძე,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე **გ. ტყეშელიაძე.**

კონფერენციამ მოისმინა და დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება, რომლითაც გამოვიდა ადვოკატი **ვ. ყურაშვილი.**

იმავე დღეს მოეწყო ადვოკატთა კოლეგიის ხელმძღვანელი ორგანოების **არჩევნები.** რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის წევრებად **არჩეული** იქნენ: **მ. ალხაზიშვილი, ბ. ბარათაშვილი, ჯ. ბაქრაძე, ს. ბეგლარიშვილი, ნ. გიგინეიშვილი, ლ. ზაიჩიკი, რ. თალაქვაძე, ზ. იოსელიანი, ფ. მამუჩაშვილი, გ. როინიშვილი, გ. უგრეხელიძე, ი. ფაღავა, მ. შამბა, ვ. ყურაშვილი, მ. ცქვიტარია.**

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის თავმჯდომარედ **არჩეულია ზ. იოსელიანი,** მოადგილედ **გ. როინიშვილი,** პასუხისმგებელ მდივნად **ლ. ზაიჩიკი.**

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ **არჩეულია დ. ბაღათურია.**

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ იუსტიციის **მინისტრი ა. შუშანაშვილი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს **იურიდიული** ვანყოფილების **გამგე მ. მაჭავარიანი,** სახელმწიფო **დაწესებულებების** ბუშაკთა **პროფკავშირების** რესპუბლიკური **კომიტეტის** თავმჯდომარე **მ. ბიბილაშვილი.**

დაწვრილებით ანგარიში **გამოქვეყნდება** ჟურნალის **მორიგ** ნომერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკურ მეცნიერებათა საბჭოთა ასოციაციაში

წლეულს 6-7 აპრილს მოსკოვში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოს და სამართლის ინსტიტუტის საქმეთა დარბაზში პოლიტიკურ მეცნიერებათა საბჭოთა ასოციაციის ინიციატივით გაიმართა სიმპოზიუმი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ ასოციაციის წევრები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებიდან და სამეცნიერო ცენტრებიდან, აგრეთვე ბულგარეთიდან, უნგრეთიდან, პოლონეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ჩინეთიდან, კანადიდან და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან ჩამოსული სტუმრები.

სიმპოზიუმზე განიხილეს ასოციაციის პრეზიდენტის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის **გ. ხ. შახნაზაროვის** მოხსენება „მშვიდობიანი თანაარსებობა და სოციალურ-პოლიტიკური განვითარება". მომხსენებელმა დაასაბუთა ლენინური დებულება იმის შესახებ, რომ თანამედროვე ეპოქაში საერთაშორისო ურთიერთობათა ერთადერთი გონივრული საფუძველია მშვიდობიანი თანაარსებობა, რომელმაც საბოლოოდ უნდა განდევნოს საერთაშორისო ასპარეზზე მანამდე გაბატონებული ძალის პრინციპი. მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების აღიარების გადამწყვეტი პირობა ამჟამად მსოფლიოში ძალთა ახალი თანაფარდობაა, რაც მარტო ცალკეულ სახელმწიფოთა და კავშირების სამხედრო ძლიერებით კი არ განისაზღვრება, არამედ მთელი საერთაშორისო ეკონომიური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ფაქტორებით, რომლებიც ყალიბდება სულ უფრო მზარდი მასობრივი საერთაშორისო მოძრაობითა და საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით.

მშვიდობიანი თანაარსებობის მხოლოდ ომის არარსებობამდე დაყვანა, აღნიშნა მომხსენებელმა, არ არის სწორი. იგი ისეთი საერთაშორისო წესრიგის დამყარებას გულისხმობს, როცა არც მოხდება ძალისა და ძალის მუქარის გამოყენება, ყველა საკითხი მშვიდობიანად გადაწყდება საერთაშორისო ურთიერთობათა თანასწორუფლებიანი მონაწილეების მიერ, ფართო გასაქანი მიეცემა სახელმწიფოთა შორის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის განვითარებას, სულ ერთია როგორი იქნება მათი სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკური წესწყობილება. ერთი წყობილებიდან მეორეზე გადასვლაც ხელს არ უნდა უშლიდეს კაცობრიობის, როგორც ერთიანი მთელის განვითარებას. ეს მიზანი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციისა და მსოფლიო მეურნეობის ინტერნაციონალიზაციის ობიექტური პროცესის პირობებში. მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი სახელმწიფოთა და არა კლასთა ურთიერთობის ნორმაა. ამიტომ ობიექტური პროცესები, რომლებსაც განსაზღვრავს ამა თუ იმ საზოგადოებრივი წყობილების ხასიათი, თავისთავად განვითარდება, როგორიც უნდა იყოს საერთაშორისო ურთიერთობათა მდგომარეობა. მაგრამ ცხადია საერთაშორისო ურთიერთობებს შეუძლია შეანელოს ან დააჩქაროს ობიექტური შინაგანი პროცესები.

დასასრულ გ. შახნაზაროვმა აღნიშნა, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების ფართოდ და მტკიცედ დამკვიდრება, თერმობირთვული კატასტროფის საფრთხის თავიდან აცილება, განიარაღების ღონისძიებათა განხორციელება ხელს შეუწყობს მომავლისადმი, ხალხებსა და თითოეული ადამიანის რწმენის განმტკიცებას, სულ უფრო მეტი სახსრები გამონთავისუფდება ადამიანთა კეთილდღეობისათვის.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოს და სამართლის ინსტიტუტის დირექტორმა პროფ. **ვ. კუდრიავცევმა**, ამავე ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომლებმა **დ. ბარათაშვილმა** და **ნ. უშაკოვმა**, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა **ჯ. ქერიმოვმა**, პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოს და სამართლის ინსტიტუტის დირექტორმა **პროფ. ა. ლოპატკამ**, ლენინგრადის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის **პროფესორმა რ. ბობროვმა**, **პროფ. ვ. ტენენბაუმმა** (სარატოვი), **პროფ. მ. მელიქოვამ** (აზერბაიჯანის უნივერსიტეტი), პოლიტიკურ მეცნიერებათა საბჭოთა ასოციაციის წევრმა თბილისის უნივერსიტეტის **პროფესორმა გ. ინწკირველმა** და სხვებმა.

სიმპოზიუმის მონაწილეებისათვის **პოლიტიკურ** მეცნიერებათა საბჭოთა ასოციაციამ ქ. მოსკოვში მეცნიერებათა სახლში მიღება მოაწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნის განხილვა

1976 წლის 9 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტთან ერთად მოაწყო იურიდიულ მეცნიერებთაა კანდიდატის ოთარ გამყრელიძის წიგნის — „დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა“ — განხილვა. განხილვას დაესწრნენ უმაღლესი სასამართლოს, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის, რესპუბლიკის პროკურატურის მუშაკები, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, ადვოკატები.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა პროფ. თ. წერეთელმა. მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ივ. ჟორდანია, ო. გამყრელიძის წიგნი — აღნიშნა მან — დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობის და თანაამსრულებლობის პრობლემის საყურადღებო გამოკვლევაა. განსაკუთრებით საინტერესოა წიგნის ის ნაწილი, სადაც ავტორი თანამონაწილეობის ბუნების შესახებ მსჯელობს. ავტორს საკუთარი ორიგინალურად და ღრმა მეცნიერული არგუმენტებით აქვს დასაბუთებული, რომ თანამონაწილეობა თავისი ბუნებით აქცესორულია.

დასასრულ, ივ. ჟორდანიამ ნაშრომის მიმართ რამდენიმე შენიშვნა გამოთქვა. იგი არ დაეთანხმა ავტორს, თითქოს ზოგიერთი სპეციალური დელიქტის თანაამსრულებლობა არასპეციალურ სუბიექტსაც შეეძლოს. რეცენზენტის აზრით, სასურველი იყო ავტორს წიგნში ჩვენი სასამართლოს პრაქტიკიდანაც მოეყვანა მაგალითები.

კამათში გამოვიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი მ. უგრეხელიძე, რომელმაც საუკეთესო შეფასება მისცა ნაშრომს.

ო. გამყრელიძემ მადლობა გადაუხადა მომხსენებელს, სიტყვით გამოსულს, დამსწრე საზოგადოებას და უპასუხა გამოთქმულ შენიშვნებს.

პროფ. თ. წერეთელმა შეაჯამა განხილვის შედეგები. ისეთი ღრმა გამოკვლევა, როგორიც ო. გამყრელიძის წიგნია, — თქვა თ. წერეთელმა — საერთოდ იშვიათად ქვეყნდება. მასში განხილული პრობლემა ნამდვილად მაღალ მეცნიერულ დონეზეა შესწავლილი... მაგრამ არ ვეთანხმები ზოგიერთი საკითხის ავტორისეულ გადაწყვეტას...

თ. წერეთელმა სწორად მიიჩნია მომხსენებლის გამოთქმული შენიშვნა წიგნის მიმართ იმის თაობაზე, შესაძლებელია თუ არა ზოგიერთი სპეციალური დელიქტის თანაამსრულებლობა არასპეციალური სუბიექტის მიერ.

გარდა ამისა, პროფ. თ. წერეთელმა გააკრიტიკა წიგნის ის ადგილი, სადაც ავტორი ამტკიცებს, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ განზრახ მკვლელობაში თანამონაწილეობისათვის (ანგარებით მკვლელობა) პასუხი არ უნდა აგოს იმ წამქეზებელმა, რომელსაც შურისძიების მოტივი ამოძრავებდა.

გამოითქვა აზრი, რომ მიზანშეწონილია წიგნი ითარგმნოს რუსულ ენაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლე ცნობები

ამხანაგური სასამართლოების სელმძღვანელთა თათბირ-სემინარი

მშრომელთა დეპუტატების საჩხერის რაისაბჭოს აღმასკომმა, რაიონის სახალხო სასამართლომ და სოფლის მეურნეობის დამზადებისა და მუშაკთა პროფკავშირის რაიკომმა სახალხო სასამართლოს სხდომათა დარბაზში მოაწყო რაიონის ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარეებისა და მოადგილეების ერთდღიანი თათბირ-სემინარი, რომელსაც 117 კაცი ესწრებოდა.

თათბირ-სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშაკთა პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარემ ზ. ივანიშვილმა. თათბირ-სემინარის მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს მოხსენებები თემებზე: „ამხანაგური სასამართლოების როლი და ამოცანები სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში“ — მომხსენებელი —რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. *ო. მიროტაძე*; „მოქალაქეთა შეგნების დონის ამაღლება და ბრძოლა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ“ — მომხსენებელი — სოფლის მეურნეობის დამზადების მუშაკთა პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარე *ზ. ივანიშვილი*; „ამხანაგური სასამართლოებში საქმის განხილვის ფორმები და მეთოდები“— მომხსენებელი — რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგე *ა. დუშუაშვილი*.

თათბირ-სემინარის მუშაობაში მონაწილეობდა და შემაჯამებელი სიტყვა წარმოთქვა მშრომელთა დეპუტატების საჩხერის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ *გ. სუთიძემ*.

კითხვა-პასუხის საღამოები

ხარაგაულის რაიონის პროკურატურის, შინაგან საქმეთა განყოფილებისა და სახალხო სასამართლოს თაოსნობით წლეულს 3 და 5 თებერვალს მოეწყო კითხვა-პასუხის საღამოები სოფელ ბაზალეთის კოლმეურნეობაში და მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკაში.

კოლმეურნეობაში კითხვა-პასუხის საღამო გახსნა ბაზელეთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ *ზ. დევდარიანმა*, ავეჯის ფაბრიკაში კი — ფაბრიკის დირექტორმა *თ. გორშკოვმა*.

კითხვა-პასუხის საღამოებს 300-მდე კოლმეურნე და მუშა-მოსამსახურე დაესწრო. შემოსულ შეკითხვებს პასუხი გასცეს: რაიონის პროკურორმა, იუსტიციის უმცროსმა მრჩეველმა *ო. მარღიშვილმა*, სახალხო მოსამართლემ *კ. გუდაძემ*, შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსმა *შ. ფანცულაიამ*, რაისაბჭოს აღმასკომის სოცუზრუნველყოფის განყოფილების გამგემ *პ. ლოლაძემ* და იურისკონსულტმა *დ. მეტრეველმა*.

ასეთივე საღამოები მოეწყობა ბორითის, წყალფორეთის, ვარძიის, მოლითის კოლმეურნეობებში და სადაბო საბჭოს ტერიტორიაზე არსებულ საწარმო-დაწესებულებებში.

ა. ანასაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთალმცოდნეოების სახალხო უნივერსიტეტი ზესტაფონში

ნაყოფიერად მუშაობს ზესტაფონის რაიონის სახალხო სასამართლოსთან შექმნილი სახელმწიფო სამართლისა და საბჭოთა აღმშენებლობის სამწლიანი სახალხო უნივერსიტეტი (რექტორი — რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ვლადიმერ სამხარაძე, პრორექტორი — რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგე გიორგი კიკნაძე, დეკანი ადვოკატი თომა ბოგვერაძე). რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო უნივერსიტეტის მსმენელები არიან: ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარეები, პროფკავშირის ადგილკომის თავმჯდომარეები და მოადგილეები, სახალხო სასამართლოს მსაჯულები.

უნივერსიტეტში მეცადინეობა ეწყობა თვეში ერთხელ. ორი აკადემიური საათის განმავლობაში კვალიფიციური ლექცია-მოხსენებებით დამტკიცებული პროგრამების მიხედვით გამოდიან კვალიფიციური ლექტორები.

ლექციები — წაიკითხეს რაიონის პროკურორის თანაშემწემ *გ. ცქიტიშვილმა*, რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგემ *გ. კიკნაძემ*, რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ *ვ. სამხარაძემ*, ადვოკატმა *დ. ცხადაძემ* და სხვ.

უნივერსიტეტის მსმენელთა გამოშვება მოხდება 1978 წლის მაისში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეკროლოგი

დ. ბ. კაკაბაძე



გარდაიცვალა ღვაწლმოსილი იურისტი, ადვოკატი დავით ბესარიონის-ძე კაკაბაძე.

დ. კაკაბაძე დაიბადა ქ. ქუთაისში 1888 წლის 27 ივლისს ღარიბი გლეხის ოჯახში. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დასრულების შემდეგ დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, რომლის შემდეგ მუშაობა დაიწყო ზუგდიდის მაზრის წალენჯიხის სასამართლოს გამომძიებლად. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მუშაობდა სახალხო მოსამართლედ და საზოგადოებრივ ბრალმდებლად, ხოლო 1922 წლიდან 1958 წლამდე — პენსიაზე გასვლამდე—ადვოკატად. ადვოკატუში მუშაობის პარალელურად იურიდიულ მომსახურებას უწევდა სარეწაო კოოპერაციის არტელებს, საწარმო-დაწესებულებებს, მტსებს, სახელმწიფო ბანკს, საზოგადოებრივ საწყისებზე იურიდიულ კონსულტაციას უწევდა ქალაქის მოსახლეობას.

ამასთან ერთად დ. კაკაბაძე ეწეოდა საზოგადოებრივ და მეცნიერულ კვლევით მოღვაწეობას. თანამშრომლობდა რესპუბლიკურ და ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში. მისი ბევრი წერილი გამოქვეყნებულია გაზეთებში „კუტაისკაია პრავდა", „ქუთაისში" „ახალგაზრდა კომუნისტში" და სხვ.

დ. ბ. კაკაბაძე ცნობილია, როგორც მთარგმნელიც. ქართველ მკითხველებს მიაწოდა იაროსლავ ჰეტიკის წიგნი „სინდისი", მის კალამს ეკუთვნის 1965 წელს ქართულ ენაზე ნათარგმნი გიორგი კარასლავოვის „ლენკო". მას დარჩა ცალკე წიგნად გამოუქვეყნებელი „თქმულება ბარაბანოვის შესახებ", ნაშრომი „ხალხთა მეგობრობაზე" და სხვა.

იგი ავტორია 1969 წელს გამოქვეყნებული წიგნისა „გიორგი მაიაშვილი („ზდანოვიჩი)". წლების მანძილზე დ. კაკაბაძე მუშაობდა „რუსულ ქართული განმარტებითი იურიდიული ლექსიკონის" შედგენაზე.

დ. კაკაბაძის „მივიწყებული გმირი ოფიცერი", როგორც ისტორიული გამოკვლევა, საქართველოს სახელმწიფო ისტორიულმა მუზეუმმა ისტორიულ წიგნთა ფონდში შეიტანა.

დ. კაკაბაძე დაჯილდოებული იყო მედლით — „შრომითი მამაცობისათვის" — და სიგელებით.

ღვაწლმოსილი მოქალაქის და გულისხმიერი ადამიანის დ. ბ. კაკაბაძის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრებისა და კოლეგების გულში.

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეკროლოგი

ნ. ი. ლასხიშვილი



ქართველ იურისტთა რიგებს გამოაკლდა მაღალი მოქალაქეობრივი ზნეობის ადამიანი — ნონა ივლიანეს ასული ლასხიშვილი.

თავისი საქმის უზომოდ მოტრფიალე, მძიმე ავადმყოფობის დროსაც კი საქმისთვის თავდადებული, უანგარო მეგობარი და პატიოსნების ქომაგი. — აი ასეთად იცნობდა ყველა ნონა ლასხიშვილს.

ნონა ცნობილი ქართველი იურისტის — ივლიანე ლასხიშვილის ოჯახში დაიბადა 1919 წელს.

ვიდრე საკავშირო დაუსწრებელი იურიდიული ინსტიტუტის თბილისის ფილიალში სწავლას დაასრულებდა (1947 წ.), მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტიც დაამთავრა (1943 წ) და სწავლის პერიოდშივე დაიწყო მუშაობა საქართველოს მედსანშრომის პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორად. 1947 წელს ის საქართველოს პროფსაბჭოს იურიდიული განყოფილების იურისკონსულტად მუშაობდა. 1949 წლის ოქტომბერში ქ. თბილისის სტალინის სახ. რაიონის I უბნის სახალხო მოსამართლედ აირჩიეს და ვიდრე ამ უბნის ლიკვიდაცია არ მოხდა (1954 წ. დეკემბერი), ღირსეულად ეწეოდა მოსამართლის კეთილშობილსა და პასუხსაგებ მოვალეობას.

1955 წლიდან საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კონსულტანტი-კოდიფიკატორი იყო. ხოლო 1958 წლიდან — სამეცნიერო-კვლევითი კრიმინალისტიკური ლაბორატორიის ექსპერტი.

ნონა ლასხიშვილი 1948 წლიდან სკკპ პარტიის წევრი იყო. 1968-1971 წლებში არჩეული იყო ლაბორატორიის პარტორგანიზაციის მდივნად.

გარდა პრაქტიკული მოღვაწეობისა, ნონა სამეცნიერო ნაშრომებსაც აქვეყნებდა იურისპუდენციის დარგში, მაგრამ არც თავისი ფილოლოგიური განათლება ჰქონდა დავიწყებული.

მან რამდენიმე მხატვრული თარგმანი გამოაქვეყნა სხვადასხვა წლებში.

ნიჭიერი იურისტის, უზადო მოქალაქის, გულისხმიერი მეგობრის ნონა ლასხიშვილის სახელს ყოველთვის მოკრძალებითა და პატივისცემით მოიგონებს საზოგადოება.

ამხანაგების ჯგუფი

b.17/149.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 50 კაპ.

ИНДЕКС 70185

САБЧОТА САМАРТАЛИ № 2

(На грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Министерства Юстиции Грузинской ССР